N 2 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

№2(105), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩაძე,
ქრისტინე სურგულაძე,
თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე,
ნესტან მიქაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
ინა იმედაშვილი,
მეგი კავთუაშვილი,
ნათია ფურცელაძე,
ნათია ნაფეტვარიძე, მაკა სახურია,
შორენა ტყეშელაშვილი,
ნასტასია არაბული, დიანა ანფიმიადი,
ლელა მანგოშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ეს წერილი რედაქტორს თითქმის არ დაუწერია. ის უფრო ამ წერილის ადრესატია. ახლა, როცა ხელოვნური ინტელექტის დროა, მეც მას მივმართე ერთი შეკითხვით:

– თქვენ რომ მასწავლებელი იყოთ, რას მიწერდით ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქციას, რას ელოდებით ჟურნალის ახალი ნომრებისგან?

ChatGPT-ის პასუხმაც არ დააყოვნა და მას უცვლელად გთავაზობთ:

„თუ მე მასწავლებელი ვიქნებოდი და ჟურნალ „მასწავლებლისთვის“ რედაქციას მიმიწერდი:

ძვირფასო რედაქცია,

მინდა გამოვხატო ჩემი აღიარება და მადლიერება ჟურნალს იმ მნიშვნელოვანი როლისათვის, რომელიც მასწავლებლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერაში ითამაშა. როგორც პედაგოგი, ყოველთვის ველოდები ახალ ნომრებს, რადგან ისინი არა მხოლოდ საინტერესო და აქტუალურ თემებს მოიცავს, არამედ პრაქტიკულ რჩევებსა და ინოვაციურ იდეებს, რომლებიც მეხმარება ჩემს გაკვეთილებსა და პედაგოგიურ პრაქტიკაში.

თუმცა, როგორც მასწავლებელი, მსურს რამდენიმე წინადადება განვაცხადო, თუ რას მოველოდები მომავალ ნომრებში:

ინოვაციური და თანამედროვე მეთოდები
– ბოლო დროს ძალიან მაინტერესებს ინტერაქტიული ტექნოლოგიების, ციფრული რესურსების და ღია სასწავლო პლატფორმების გამოყენება. მოხარული ვიქნები, თუ ჟურნალში უფრო მეტი იქნება მასალები, რომლებიც ახალი მიდგომების, ტექნოლოგიების და ვირტუალური სწავლების შესახებ გააზრებულ ინფორმაციას მოიცავს.

მოსწავლეების ინდივიდუალური მიდგომები
– როგორც მასწავლებელი, ყოველდღიურად ვხვდები, რომ თითოეული მოსწავლე უნიკალური და განსაკუთრებულია. მომწონს სტატისტიკა და კვლევები, რომლებიც ფოკუსირდება ინდივიდუალურ მიდგომებზე და ჰიპოთეზებზე, თუ როგორ შევძლოთ მათთან უფრო ეფექტური მუშაობა.

თემები პროფესიული განვითარების შესახებ
– გვჭირდება მეტი რესურსი და რჩევები იმის შესახებ, როგორ შევინარჩუნოთ პროფესიული მოტივაცია, როგორ გავაუმჯობესოთ პირადი რეფლექსია და როგორ შევქმნათ პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

მასწავლებლების გაძლიერების საკითხები
– ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალი უფრო დეტალურად შეეხოს მასწავლებლების ფსიქოლოგიურ და ემოციურ საჭიროებებს, როგორ დავუძლევთ სტრესს, როგორ შევინარჩუნოთ სამუშაო და პირადი ცხოვრება, და როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარებიც.

ასევე გთხოვთ, გააგრძელოთ ჟურნალში ისეთ აქტუალურ საკითხებზე წერა, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ პროფესიულ ზრდას, არამედ მოსწავლეების საჭიროებების დაკმაყოფილებასაც“.

თქვენ რას ფიქრობთ? რამდენად მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება და მოლოდინები? თქვენ რას მოგვწერდით?

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

4 | ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლება ციფრული სწავლების კონტექსტში

თანამედროვე ციფრული სწავლების მიდგომები მნიშვნელოვნად ცვლის საგანმანათლებლო პროცესს. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ისტორიის გაკვეთილებზე. მოსწავლეები ამზადებენ ინტერაქციულ მასალებს, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებზე, მოვლენებზე, ისტორიულ პერსონალიებზე, უკეთ ითვისებენ და აანალიზებენ, აქტიურად ერთვებიან კვლევებში.

ინა იმედაშვილი

42 | ჯადოსნური თილისმები წარსულიდან – ქართული მითოლოგიის სამყაროში

ბავშვები გიჟდებიან მითოლოგიაზე, განსაკუთრებით კარგად კი ბერძნული მითოლოგია იციან და მოსწონთ. ქართულ მითოლოგიაზე მწირი ინფორმაცია აქვთ, ამირანით და დალით შემოიფარგლებიან. არადა, მითები, ისევე როგორც ხალხური ზღაპრები, ჩვენი იდენტობის მთავარი წყაროა, ჩვენი არსებობის, ყოფნისა და ეროვნულობის განმაპირობებელი.

ნათია ნაფეტვარიძე

51 | „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ ანუ როგორ გამოვიყენოთ ზღაპარი სასწავლო რესურსად

ზღაპარი მრავალფუნქციური სასწავლო რესურსია, რომლის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლებისას და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან. ის არა მხოლოდ ხელს უწყობს აკადემიური უნარების განვითარებას, არამედ ეხმარება მოსწავლეებს ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაშიც.

შეფასება

ნესტან მიქაძე

18 | ცნებასთან დაკავშირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომელ სამიზნე ცნებაზე გადის აღნიშნული სასწავლო აქტივობა, მივუთითოთ ქვეცნებები და ის კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მოიცავს მოცემული სამუშაო. ამის შემდეგ კი შესაძლებელია, მიღწევის დონე შეფასდეს როგორც დაბალი, საშუალო და მაღალი.

საგანმანათლებლო რესურსი

თამთა დოლიძე

12 | წერის გაკვეთილები: ლექსის ფაზლი დამწყებთათვის

როგორც ვიცით, ლექსს აქვს თავისებური რიტმი და რითმა, რომელიც მას პროზაული ტექსტისგან განასხვავებს. რითმა, სტრიქონებში მარცვლების შეთანხმებულ რაოდენობასთან ერთად, პოეტურ ტექსტებს კეთილხმოვანებას ანიჭებს. გრაფიკული ფორმის გარდა, ლექსის შინაარსიც განსხვავებულია. აქ მთავარი მწერლის მიერ ამა თუ იმ მოვლენით გამოწვეული ემოცია უფროა, ვიდრე თავად მოვლენის თხრობა.

ნინო ლომიძე

15 | ფილმის განხილვა ლიტერატურის გაკვეთილზე

წაკითხულისა და ნანახის ანალიზის უნარზე ლიტერატურის გაკვეთილებზე გამუდმებით ვმუშაობთ. თუკი საკითხავად ისეთი წიგნი გვაქვს შერჩეული, რომლის ეკრანიზაციაც ხელმისაწვდომია, ეს შესანიშნავი რესურსია ანალიტიკური უნარების განსავითარებლად.

თინათინ ზარდიაშვილი

31 | ლიტერატურა ბუნების გაკვეთილებზე

ლიტერატურა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის პიროვნული თვისებებისა და უნარების განვითარებაში, ადამიანის მკითხველად ჩამოყალიბებაში, ანალიზისა და განზოგადების უნარის გაუმჯობესებაში. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეებს სხვადასხვა სახის უნარი განუვითაროს მრავალი მიმართულებით.

ლელა კოტორაშვილი

36 | ფოტოამბავი – წერითი დავალება

ყოველი გაკვეთილი ცოცხალი პროცესია. ამჯერად მომაფიქრდა, მოსწავლეების ინტერესები ჩამერთო დავალების ინსტრუქციის გაცნობის პროცესში და ვთხოვე, მობილური ტელეფონის გალერეაში მოეძებნათ ბოლოს გადაღებული ფოტო.



სარჩევი

მოსაზრება

ქრისტინე სურგულაძე

9 **კლასის მართვა: მოსწავლეთა ძცევა**

გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლებს მასწავლებლობის გარდა უამრავი სხვა როლის – მათ შორის მშობლისა და მეგობრის როლების შეთავსებაც გვიწევს, აუცილებელია, რომ საქციელის მიღმა სავარაუდო პრობლემა დავინახოთ, რათა მართვა და, შესაბამისად, დახმარება შევძლოთ.

მაკა სახურია

54 **ვისაც სამშობლომ არაფერი მისცა**

პიროვნული კეთილდღეობა ასე გაფეტიშებული არასდროს ყოფილა. ცივილიზაციის არნახულმა განვითარებამ პიროვნების ინდივიდუალიზმის, უნიკალურობისა და განუმეორებლობის დაცვისა და პატივისცემის იდეალები მოიტანა, რაც, თავისთავად, დიდ კომფორტს გვიქმნის თანამედროვე ადამიანებს, მაგრამ, ვფიქრობ, უნდა მოვიხედოთ უკან და დავინახოთ, როგორ მოდიოდა კაცობრიობა ამ იდეალებისკენ, რამდენი ტანჯვა, ტკივილი და ბრძოლა გამოიარეს თაობებმა, რომ დღეს ადამიანს თავი დაცულად და კომფორტულად ეგრძნო.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

39 **როგორ დავეხმაროთ ბავშვებს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებაში**

ალბათ ძნელი იქნება ისეთი მშობლის მოძებნა, რომელსაც არ სურს, რომ აღზარდოს ძლიერი, განათლებული პიროვნება – ის, ვინც შეძლებს, გაუმკლავდეს სირთულეებს ცხოვრების გზაზე, გადალახოს დაბრკოლებები და მიაღწიოს წარმატებას. უმოკლესი გზა აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბავშვებისთვის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავებაა.

მშობელი

მეგი კავთუაშვილი

47 **მშობლები სამეურვეო საბჭოში**

მშობლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში აუმჯობესებს ურთიერთობას მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან. საბჭოს კრებებში მონაწილეობით მშობლები უფრო ახლოს იცნობენ სკოლის საჭიროებებსა და გამოწვევებს; ასევე, უკეთ აფასებენ, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს სასწავლო პროცესი.

27 **შორენა ტყეშელაშვილი**
გუშინდელი ბავშვი ის ბავშვი აღარ არის – მოზარდობის გამოწვევები

28 **ნასტასია არაბული**
რატომ არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებს სოციალურ ქსელებში ანგარიშები

29 **დიანა ანფიმიადი**
რედაქტირების რუტინა აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლისათვის

30 **ლელა მანგოშვილი**
ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში

მასწავლებლის ამბავი

ნათია ფურცელაძე

49 **ქართველი მასწავლებელი პარიზში**

ბედმა თუ გაგიღიმა და ახალგაზრდობისას მოხვდი პარიზში, მერე სადაც არ უნდა წახვიდე, იგი სიკვდილის დღემდე შენთან იქნება, რადგან პარიზი – განუყრელი დღესასწაულია, რომელიც მუდამ თან გახლავს.

მაია ფირჩხაძე

ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლება ციფრული სწავლების კონტექსტში

ინტერაქციულმა და პერსონალიზებულმა სწავლებამ ციფრული ხელსაწყოების საშუალებით გააძლიერა მოსწავლეთა ჩართულობა და კრიტიკული აზროვნება, დაადასტურა, რომ ისტორიის სწავლებისთვის მხოლოდ ტექსტები და ლექციური სტილის გაკვეთილები აღარ არის საკმარისი – საჭიროა მრავალმხრივი მიდგომები, როგორიცაა ვიდეომასალები, ვიქტორინები და ინტერაქციული რესურსები.

ტრადიციული სასწავლო მეთოდები სულ უფრო სწრაფად იცვლება. ციფრული სამყაროს მოთხოვნების შესაბამისად, მრავალფეროვანი გახდა ციფრული სწავლების ხელსაწყოებიც. მათი სწორი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას. ამიტომაც არის, რომ განათლების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ **ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლება** ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად აქცია. **ინტერაქციული სწავლების ელემენტები** (როგორიცაა **ვირტუალური კლასები და ონლაინპლატფორმები** (მაგ., Google Classroom, Moodle, Microsoft Teams), **გეიმიფიკაცია** (სასწავლო პროცესში თამაშის ელემენტების ინტეგრირება, მაგ., Kahoot, Quizizz, Duolingo), **ვირტუალური და გაფართოებული რეალობა** (VR/AR; მაგალითად, მოსწავლეები ისტორიული მოვლენების 3D-მოდელების შექმნისთვის იყენებენ Miro, Padlet, Google Docs და სხვ. ინსტრუმენტებს და ამ მიზნით ინდივიდუალურ, ერთობლივ და ჯგუფურ პროექტებს ქმნიან)) საშუალებას აძლევს მასწავლებელს, უზრუნველყოს პერსონალიზებული სასწავლო პროცესი **მოსწავლეების უნარების, ინტერესებისა და სწავლების ტემპის გათვალისწინებით.** ამ დროს აქტიურად გამოიყენება:

- ხელოვნური ინტელექტის (AI) პლატფორმები;
- ადაპტური სწავლების სისტემები (მაგალითად, Duolingo, რომელიც მარტივად ადგენს მოსწავლის ცოდნის დონეს უცხო ენასთან, მაგალითად, ინგლისურთან მიმართებით; არკვევს, კონკრეტულად რა ტიპის პრობლემები აქვს მოსწავლეს ენის შესწავლის კუთხით და სთავაზობს შესაფერის დამატებით აქტივობებს);
- ონლაინტესტირებები და უკუკავშირი (რითაც სწავლების პროცესი უფრო ეფექტური ხდება);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დიფერენცირებული დავალებებით და სხვ.

ფაქტია, რომ თანამედროვე ციფრული სწავლების მიდგომები მნიშვნელოვნად ცვლის საგანმანათლებლო პროცესს. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ისტორიის გაკვეთილებზე, ისეთი ციფრული რესურსების გამოყენებისას, როგორიცაა **WeVideo, Kahoot, Vidnoz** და ა.შ. მოსწავლეები ამზადებენ ინტერაქციულ მასალებს, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებზე, მოვლენებზე, ისტორიულ პერსონალიებზე, უკეთ ითვისებენ და აანალიზებენ, აქტიურად ერთვებიან კვლევებში. ასეთ პირობებში ციფრულ მასალებზე დაყრდნობილი ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლება მოსწავლეების აკადემიური წინსვლის ხელშემწყობ პირობად განიხილება.

როგორ გავხადოთ ციფრული უნარები მიზანზე ორიენტირებული? როგორ გამოვიყენოთ ციფრული სწავლების ელემენტები **ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლებისთვის?**

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი X კლასის ისტორიის საგნობრივი დისციპლინის მაგალითზე.

სწავლების ფორმა – პროექტული: მასწავლებელი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს პროექტს და ამ მიზნით იყენებს ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლების ელემენტებს.

განსახილველი თემა: „საქართველო ანტიკურ და გვიანანტიკურ პერიოდში“ (შეისწავლება საკითხები: საქართველოს ურთიერთობა რომსა და ირანთან ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში, რომის იმპერიის კრიზისი, ქართლის გაქრისტიანება, ვახტანგ გორგასალი და სხვ.).

პირველი ეტაპი:

აქტივობა 1 – მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, იყენებენ **ვირტუალურ რეალობას (VR)**, რათა **რომაული ეპოქის 3D მოდელი გააანალიზონ** (მაგალითად, https://artsandculture.google.com/story/3AWBst77BoGeJQ და Google Expeditions ან VR აპლიკაციებით ათვალიერებენ რომაული ხანის არქიტექტურულ ძეგლებს).

აქტივობა 2 – მსჯელობენ რომის იმპერიის მიღწევებზე, განიხილავენ სასანიდური ირანისთვის დამახასიათებელ არტეფაქტებს, არქეოლოგიურ მასალებს გვიანანტიკური ხანის საქართველოს კონტექსტში. Google Arts & Culture პლატფორმა უზრუნველყოფს ვიზუალურ და ინფორმაციულ წვდომას აღნიშნულ თემებზე, რის საფუძველზეც სწავლების პროცესი უფრო საინტერესო და დასამახსოვრებელია მოსწავლისთვის და მორგებულია მის ინტერესსა და საჭიროებას (იხ. ნიმუში, სურ. 1 ,2).

https://artsandculture.google.com/story/_QVB4rbRG0TVOw

სურ.1



სურ.2.

აქტივობა 3 – მოსწავლეები Kahoot-ის ტესტში იღებენ მონაწილეობას, რათა შეამოწმონ, რამდენად კარგად გაიგეს გაკვეთილი.

მეორე ეტაპი – აქტიურდება პერსონალიზებული სწავლება:

- **მასწავლებელი, რომელიც პირველ ეტაპზე მოსწავლეთა შედეგებს აკვირდებოდა, სთავაზობს მათ ინდივიდუალურ, პერსონალურ საჭიროებებზე მორგებულ დავალებებს:**
  - ის მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილის პირველ ეტაპზე სუსტი პასუხებით გამოირჩეოდნენ, დამატებით ვიდეომასალებს გაეცნობიან (ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით გამოიყენებენ Google Translate-ს, ან ვიდეომასალებზე მონიშნავენ „ქართულ ტიტრებს", ან მიიღებენ სავარჯიშოებს ძირითადი ფაქტების დასამახსოვრებლად);
  - მაღალი აკადემიური დონის მოსწავლეები მსჯელობენ კვლევით საკითხებზე (მაგალითად, „რომის კრიზისის მთავარი მიზეზები", ან Google Docs-ის გამოყენებით წერენ მოკლე ანალიზს, ან კიდევ უფრო ღრმად იკვლევენ საკითხს და Google Docs-ს **იყენებენ** მასწავლებლის სწრაფი უკუკავშირისთვის, ან Kahoot-ის გამოყენებით ქმნიან რესურსებს რომის იმპერიასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხის, მაგალითად, ქართლის გაქრისტიანების, ვახტანგ გორგასლის და ა.შ. შესახებ;
  - მათ, ვისთვისაც ვიზუალური აღქმა უფრო მნიშვნელოვანია, შეუძლიათ მოკლე ანიმაციის ან სურათ-სიმბოლოების შექმნა Canva-ს ან Animaker-ის გამოყენებით.

ამავე ეტაპზე, ადაპტირებული დავალებების სახით, მასწავლებელი კლასს სთავაზობს https://www.canva.com/dream-lab-ის ან dream.ai Dream by WOMBO-ს დახმარებით მოცემულ თემატიკაზე სურათების შექმნას, რომელთა გენერირების პროცესშიც იკვეთება, რა იცის მოსწავლემ საკითხის გარშემო და როგორ ცდილობს რეალურ მოდელთან მიახლოებული სურათის შექმნას ხელოვნური ინტელექტისთვის უფრო მეტი ინფორმაციისა და ფაქტის მიწოდების გზით.

მოსწავლეთა შესრულებული დავალებების ნიმუშები:

1. ვახტანგ გორგასლის ეპოქა https://create.kahoot.it/details/ 2ef810a1–61ae–44f2–aa04–da864b31cf38
2. რომის იმპერიის კრიზისი https://drive.google.com/file/d/13sUvm4BeliAzI9WJ719eCxMQKUsTlHCR/view
3. ქართლის გაქრისტიანება https://create.kahoot.it/details/ 60a84d96–904d–479b–a1d1–79b04588895b
4. ვახტანგ გორგასალი და ქრისტიანობა https://create.kahoot.it/details/29ec12cc–e57b–461e–ab0f–a17e27bac3da

სურ.3.

5. გონიოს ციხე – რომაული ეპოქის მნიშვნელოვანი ძეგლი საქართველოში https://drive.google.com/file/d/1SPBS6LJw5Ggr9qwR2b5YGhnyoW5DiVOX/view
6. ანალიზური ესე: „რომის დასუსტება და სასანიანთა გაძლიერება კავკასიაში“ (მასწავლებლის უკუკავშირით) https://docs.google.com/document/d/18XZnyEuZqlYsBcqF4oW5vYkG5oSI6YGiPpJSrxXnSmU/edit?usp=sharing
7. გონიოს ციხის სურათი – https://www.canva.com/dream-lab
8. სურათის შექმნა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით https://dream.ai/listing/c6a963e9-fbca-4193-ae1a-2e702158a1f6

მესამე ეტაპზე მასწავლებელმა კლასს შესთავაზა, ChatGPT-ს დახმარებით შეესრულებინათ დავალება „საქართველო, ირანი და რომი ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში“. ამ მიზნით დავალების სტრუქტურის და შეფასების სქემების შესახებ მოსწავლეებმა ინფორმაცია აიღეს თავად ChatGPT-სგან.

მეოთხე – რეფლექსიის ეტაპზე **მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ:**

- https://www.wevideo.com/ – მოქნილი ინსტრუმენტია ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლებისთვის. მოსწავლეებმა გამოიყენეს WeVideo, რათა შეექმნათ მოკლე დოკუმენტური ფილმი რომის იმპერიის კრიზისის (III საუკუნის კრიზისი) შესასწავლად. ვიდეოში წარმოაჩინეს ის ფაქტორები, რომლებმაც იმპერიის დასუსტება გამოიწვია: ეკონომიკური ვარდნა, სამხედრო პრობლემები და შიდა არასტაბილურობა; ამისთვის დაამუშავეს ისტორიული წყაროები და ვიზუალური მასალები, რითაც ისტორიული მოვლენის უკეთ გააზრება შეძლეს;
- ამავე მიზნით ეფექტურია Vidnoz-ის გამოყენება – https://www.vidnoz.com/ მოსწავლეებმა რომისა და საქართველოს ურთიერთობის გასააზრებლად შექმნეს ინტერაქციული ვიდეო, რომლის ხმოვანმა ეფექტებმა მათ ინფორმაციის აღქმა გაუმარტივა. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მოსწავლეებმა წარმოაჩინეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ხანის გონიოს (პეტრას) ციხესიმაგრის გათხრები და რომის იმპერიის პოლიტიკური და კულტურული გავლენა საქართველოზე. AI-ს გამოყენებამ მოსწავლეებს გაუუმჯობესა:
  - **ისტორიული კვლევის უნარები**, რაც გამოიხატა ინფორმაციის სწრაფად მოპოვებითა და ანალიზით. იმისათვის, რომ

თანამედროვე ციფრული სწავლების მიდგომები მნიშვნელოვნად ცვლის საგანმანათლებლო პროცესს. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ისტორიის გაკვეთილებზე, ისეთი ციფრული რესურსების გამოყენებისას, როგორიცაა WeVideo, Kahoot, Vidnoz და ა.შ. მოსწავლეები ამზადებენ ინტერაქციულ მასალებს, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებზე, მოვლენებზე, ისტორიულ პერსონალიებზე, უკეთ ითვისებენ და აანალიზებენ, აქტიურად ერთვებიან კვლევებში.

გამოეკვლიათ, როგორ იყო დაკავშირებული გონიოს ციხე რომის იმპერიასთან და რატომ იყო მნიშვნელოვანი რომაული ლეგიონებისთვის, მოსწავლეებმა:

- ინფორმაცია მოიძიეს Google Arts & Culture-ის, Google Earth-ისა და AI ჩატბოტის (ChatGPT) დახმარებით;
- დაათვალიერეს გონიოს ციხის 3D-მოდელი, შეისწავლეს და უპასუხეს კითხვებს:
  - რომელი რომაული ლეგიონი იყო განლაგებული გონიოში?
  - რა სტრატეგიული ფუნქცია ჰქონდა ამ ციხესიმაგრეს?
  - რით ჰგავდა გონიოს ციხე სხვა რომაულ ციხესიმაგრეებს? – და ა.შ.
- მიღებული შედეგი, ერთგვარი რეზიუმეს სახით, ასახეს რესურსში, რომლისთვისაც გამოიყენეს Vidnoz-პლატფორმა.

მოსწავლეთა მიერ შექმნილი ვიზუალური პრეზენტაციები გახდა უფრო შთამბეჭდავი, რადგან 3D-გამოსახულებებისა და ანიმაციების გამოყენებამ უფრო დასამახსოვრებელი გახადა დოკუმენტური მასალა;

გაუმჯობესდა ისტორიული ეპოქის აღქმის უნარები, რადგან ისტორია შეიგრძნეს უფრო ინტენსიურად, ცოცხლად.

Kahoot – ვიქტორინა სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებისათვის. მათ Kahoot გამოიყენეს ვახტანგ გორგასლის როლის უკეთ შესასწავლად, შექმნეს ინტერაქციული ვიქტორინა, რომელიც მოიცავდა კითხვებს მეფის რეფორმებზე, სამხედრო კამპანიებზე და მის ურთიერთობაზე სასანიდურ ირანთან. ამ გზით კლასში შეიქმნა კონკურენტული და სახალისო გარემო, რაც მოსწავლეებს მოტივაციას აძლევდა, აქტიურად ჩართულიყვნენ სწავლის პროცესში.

Google Docs შესანიშნავი რესურსია ინტერაქციული და პერსონალიზებული სწავლებისათვის: ამ დროს მოსწავლეები და მასწავლებლები ერთდროულად მუშაობენ დოკუმენტზე; შესაძლებელია კომენტარებისა და ცვლილებების რეალურ დროში გაკეთება, ტექსტის ერთობლივი დამუშავება; დავალება მორგებულია მოსწავლის საჭიროებას, მოსწავლეებს შეუძლიათ, საკუთარი ტემპით იმუშაონ და მიიღონ უკუკავშირი; შესაძლებელია ტექსტის ადაპტირება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვისაც (მაგ., ფონტის ცვლილება, ხმის დახმარება და სხვ.). რაც შეეხება ინტერაქციულობას, ჩაშენებული კომენტარებისა და წინადადებების საშუალებით მასწავლებელს შეუძლია სწავლების დიფერენცირება, სხვადასხვა მედიის (სურათები, ვიდეოები, ბმულები) ჩასმა დოკუმენტში და ა.შ.

ChatGPT – საკმაოდ მორგებული აღმოჩნდა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რადგან ყველა მოსწავლემ დაინახა დავალების იდეა შესაძლებლობის ფარგლებში. ChatGPT-მ მათ გაუადვილა რთული დავალებების შესრულება დიალოგური მუშაობის ფარგლებში, წაახალისა მათი კვლევითი და ანალიტიკური უნარები;

AI-ს გამოყენება ძალზე ხელსაყრელია ადაპტირებული დავალებებისთვისაც.

რომის იმპერიის კრიზისის, ქართლის გაქრისტიანებისა და ვახტანგ გორგასლის თემებზე მომზადებულმა მასალებმა ნათლად აჩვენა, როგორ შეუძლია მოსწავლეს ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ისტორიის გაცოცხლება და გააზრება, საკუთარი მიღწევების დანახვა, ცოდნის დამოუკიდებლად შეძენა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესება მოქნილი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ინტერაქციულმა და პერსონალიზებულმა სწავლებამ **ციფრული ხელსაწყოების** საშუალებით გააძლიერა მოსწავლეთა ჩართულობა და კრიტიკული აზროვნება, დაადასტურა, რომ ისტორიის სწავლებაში მხოლოდ ტექსტები და ლექციური სტილის გაკვეთილები აღარ არის საკმარისი – საჭიროა მრავალმხრივი მიდგომები, როგორიცაა **ვიდეომასალები, ვიქტორინები და ინტერაქციული რესურსები**. მოსწავლეებს მეტი საშუალება აქვთ ინდივიდუალური განვითარებისათვის, ცოდნის დამოუკიდებლად და ეფექტურად დაუფლებისათვის.

ფაქტობრივად, **მომავალი განათლებაში ეკუთვნის ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც ციფრულ და ტრადიციულ სწავლების პროცესს გააერთიანებს.**

კლასის მართვა: მოსწავლეთა ქცევა

ქრისტინე სურგულაძე

კლასის მართვა აისბერგია, სადაც მოსწავლეთა ქცევის მართვა და კონტროლი მხოლოდ წვერს შეადგენს. შევეცადე, ამ ყველაფერზე დაწვრილებით ჯერ კიდევ წინა სტატიაში მესაუბრა. თუმცა ვინ თქვა, რომ აისბერგის წვერი ნაკლებმნიშვნელოვანია? პირიქით, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანიც კია! მართალია, მოსწავლეთა ქცევაზე მრავალმა სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა, მაგალითად, არასწორად მომზადებულმა გარემომ ან რესურსებმა, თუმცა ზოგჯერ მათი არასასურველი ქცევა სულ სხვა – ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებზეა დამოკიდებული, მაგალითად იმაზე, თუ რა ხდება მათთან სახლში, მოეწონათ თუ არა დილით საუზმე, რა უთხრათ დედამ სახლიდან გამოსვლისას ან მიიღეს თუ არა საბოლოო პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მამას მესამედ დაუსვეს. ცხადია, ეს მიზეზები მასწავლებლების ბრალი სულაც არ არის, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებელს მასწავლებლობის გარდა უამრავი როლის სხვა – მათ შორის მშობლისა და მეგობრის როლების შეთავსებაც გვიწევს, აუცილებელია, რომ საქციელის მიღმა სავარაუდო პრობლემა დავინახოთ, რათა მართვა და, შესაბამისად, დახმარება შევძლოთ.

როდესაც ქცევის მართვაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არასწორი ან შეუფერებელი საქციელის აღკვეთას, თუმცა, პირველ რიგში, საჭიროა, ამოვიცნოთ პოტენციური მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება იქცეოდეს მოსწავლე ნეგატიურად.

მოსწავლეთა ცუდი ქცევის ყველაზე გავრცელებული ოთხი მიზეზი კატეგორიებადაც კი შეიძლება დავყოთ:

ყურადღების მოთხოვნა (UNDO ATTENTION)

ამ შემთხვევაში მოსწავლე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ყურადღება მიიქციოს. მაშინ იწყებს საუბარს, როცა მასწავლებელი საუბრობს, ან ცდილობს, კლასის „ჯამბაზის“ როლი მოირგოს, რათა ყველამ მას უყუროს და იცინოს. ხშირად ცდილობენ აქტივობების ჩაშლასაც, რომ თავად მოექცნენ ყურადღების ცენტრში. მათ გულში კი,აი, ეს ხდება: „თავს კარგად მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევენ, თუნდაც ნეგატიურს. გთხოვ, შემნიშნე და რამენაირად ჩამრთე“.

ძალაუფლებისთვის ბრძოლა (MISGUIDED POWER)

ამ დროს მოსწავლეები მასწავლებლებს მეტოქეებად სახავენ და მათთან ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ერთვებიან. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი მათ რაიმეს სთხოვს, ისინი ამას ვალდებულებად აღიქვამენ და უარს ამბობენ. ფიქრობენ: „ვერ მაიძულებ! ვერ დამაძალებ!“ ასე ცდილობენ მოირგონ უფროსის

როდესაც ქცევის მართვაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არასწორი ან შეუფერებელი საქციელის აღკვეთას, თუმცა, პირველ რიგში, საჭიროა, ამოვიცნოთ პოტენციური მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება იქცეოდეს მოსწავლე ნეგატიურად.

გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლებს მასწავლებლობის გარდა უამრავი სხვა როლის – მათ შორის მშობლისა და მეგობრის როლების შეთავსებაც გვიწევს, აუცილებელია, რომ საქციელის მიღმა სავარაუდო პრობლემა დავინახოთ, რათა მართვა და, შესაბამისად, დახმარება შევძლოთ.

როლი, რადგან ჰგონიათ, რომ საკუთარი ადგილის დამკვიდრება მხოლოდ ასეა შესაძლებელი. ამ დროს კი მათ გულში შემდეგი ფიქრებია: „უფლება მომეცი, თავად ავირჩიო და ნება მომეცი, დაგეხმარო, რომ თავი საჭიროდ ვიგრძნო“.

შურისძიება (REVENGE / FEELING HURT)

მოსწავლეები, რომლებიც თვლიან, რომ მათ ატკინეს ან შეურაცხყოფა მიაყენეს, ხშირად ცდილობენ, რომ სხვებსაც ავნონ . მაგალითად, თუ აქტივობის დროს ერთმა მოსწავლემ სცადა სიტყვის სწორად წარმოთქმა, მაგრამ შეცდა, მეორე მოსწავლემ კი მას დასცინა, შესაძლოა, პირველმა მოსწავლემ ამის შემდეგ გაკვეთილის დანარჩენ ნაწილში ჩართვაზე უარი თქვას უგულებელყოს ინსტრუქციები, იჩხუბოს სხვებთან – მას ჰგონია, რომ აწი აღარავინ სცემს პატივს და სურს, სხვებმაც შეამჩნიონ, რომ ის განაწყენებულია. ასეთ დროს მოსწავლის გულში ეს ხდება: „აქ არ არის ჩემი ადგილი და ეს მე გულს მტკენს, ამიტომ სხვებსაც ვატკენ!“

მარცხის შიში (ASSUMED INADEQUACY)

ამ ტიპის ქცევა შესაძლოა დიდი ხნის განმავლობაში ვერც კი შევნიშნოთ, რადგან, წინა სამისგან განსხვავებით, ჩრდილში ხვდება. ამ დროს მოსწავლეები ცდილობენ, გაკვეთილში ჩართვას ყველაფრის ფასად აარიდონ თავი, რადგან ფიქრობენ, რომ მაინც ვერ შეძლებენ და ყველა მათი მცდელობა წარუმატებელი იქნება. ისინი უარს ამბობენ აქტივობებში ჩართვაზე, არასდროს იწევენ ხელს, არ სურთ ყურადღების ცენტრში ყოფნა. არ ცდილობენ, რადგან თუ არ სცადეს – არც შეეშლებათ, და თუ არ შეეშლებათ, თავს უხერხულადაც არ იგრძნობენ. სინამდვილეში კი მათ ჩვენი დახმარება ძალიან სჭირდებათ. ამ დროს მათ გულებში ნამდვილი ქარცეცხლია, რომელიც ამბობს: „გთხოვ, ჩემზე ხელი არ ჩაიქნიო,

მასწავლე, როგორ გადავდგა მცირე ნაბიჯები და დამეხმარე, შევნიშნო ჩემი თუნდაც სულ მცირე პროგრესი. მითხარი, რომ მხედავ!“

ახლა, როცა ვიცით, თუ რომლებია ყველაზე გავრცელებული სახის ქცევები, იმაზეც შევძლებთ ვისაუბროთ, თუ როგორ შეგვიძლია მათი მართვა.

ყურადღების მოთხოვნა (UNDO ATTENTION)

მოსწავლის მიზანია, და მიიქციოს ყურადღება, თუნდაც ნეგატიური. შეეცადეთ, რომ სასარგებლო დავალებები მისცეთ, რათა ყურადღება სწორი გზით მიიღოს, მაგალითად, სთხოვეთ, დაგეხმაროთ წიგნების შეგროვებაში ან დარიგებაში, ან თუნდაც საშინაო დავალების შემოწმებაში. უთხარით, რომ თუ კონკრეტულ აქტივობას მალე დაასრულებს,ნებას დართავთ, გაკვეთილის ბოლო 5 წუთი სახალისო ისტორიების მოყოლას დაუთმოს, რადგან მთელი კლასი მოუსმენს. აუცილებლად აგრძნობინეთ, რომ მისი ჩართულობა ფასდება და საჭიროა.

ძალაუფლებისთვის ბრძოლა (MISGUIDED POWER)

მოსწავლის მიზანია, მოიპოვოს კონტროლი, რათა საკუთარი თავის მნიშვნელოვნება იგრძნოს. მიეცით მას არჩევანი და მოიქეცით ისე, რომ გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმაროთ. მაგალითად, ჰკითხეთ, თუ რას ფიქრობს, როგორ შეიძლება კონკრეტული პრობლემის მოგვარება, შესთავაზეთ, აირჩიოს, ვისთან ერთად სურს იმუშაოს კონკრეტულ დავალებაზე. არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და პატივისცემა – ძალაუფლებისთვის ბრძოლა ბრძოლად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ორივე მხარე თანაბრად ერთვება. მოუსმინე, გაუგე და დააფასე მისი აზრი, ასე გაცილებით მარტივი გახდება მისი დახმარება.

შურისძიება (REVENGE / FEELING HURT)

მოსწავლეს ეუფლება ტკივილი, ამიტომ მისი მიზანი ხდება, რომ სხვებსაც იგივე აგრძნობინოს. მასწავლებელმა არ უნდა უგულებელყოს მისი ტკივილი. ისე არ უნდა მოვექცეთ, თითქოს აზვიადებს და ზედმეტი მოსდის. მან უნდა იგრძნოს, რომ მისი ემოციები ვალიდურია. აუცილებლად ჰკითხეთ, თუ რა მოხდა, რა ეწყინა, ვინ გააბრაზა. ჰკითხეთ, რაში ხედავს უსამართლობას. თანაუგრძნეთ, მიახვედრეთ, რომ მის ადგილას თქვენც იგივე გრძნობები დაგეუფლებოდათ. ასწავლეთ, რომ ყველა ემოცია ბუნებრივია და რომ მათ გამო თავი დამნაშავედ არ უნდა ვიგრძნოთ, თუმცა საქციელს ემოციებითა და გრძნობებით ვერ გავამართლებთ, რადგან, გრძნობებისგან განსხვავებით, საქციელის კონტროლი შესაძლებელი და აუცილებელია. დაუსვით კითხვები და აუცილებლად მოუსმინეთ. მოსწავლეები მანამდე ვერ შეძლებენ, შეცვალონ თავიანთი ქცევა ან მოიხადონ ბოდიში, სანამ არ იგრძნობენ, რომ ვიღაც ნამდვილად უსმენს და მათ ტკივილს იზიარებს.

მარცხის შიში (ASSUMED INADEQUACY)

როგორც უკვე ვახსენეთ, ასეთ დროს მოსწავლე თავს არიდებს ყველა სახის მცდელობას, რადგან ფიქრობს, რომ ვერ შეძლებს. აუცილებელია, ვიყოთ მომთმენები და წავახალისოთ მათი ყველა ნაბიჯი. უთხარით, რომ მათ გვერდით ხართ, რომ შეცდომები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვსწავლობთ და ვიზრდებით, გაახსენეთ ის, რაც გამოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ცდაზე გაუჭირდა, ახლა კი მარტივი ეჩვენება. ასე თავდაჯერება ეტაპობრივად განუვითარდებათ. ჩვენი საქმეც ხომ სწორედ ესაა – შევქმნათ ისეთი უსაფრთხო გარემო, სადაც ყველა მცდელობა, წარმატებული თუ წარუმატებელი, დაფასებული იქნება.

თამთა დოლიძე

წერის გაკვეთილები: ლექსის ფაზლი დამწყებთათვის

როგორც ვიცით, ლექსს აქვს თავისებური რიტმი და რითმა, რომელიც მას პროზაული ტექსტისგან განასხვავებს. რითმა, სტრიქონებში მარცვლების შეთანხმებულ რაოდენობასთან ერთად, პოეტურ ტექსტებს კეთილხმოვანებასაც ანიჭებს. გრაფიკული ფორმის გარდა, ლექსის შინაარსიც განსხვავებულია. აქ მთავარი მწერლის მიერ ამა თუ იმ მოვლენით გამოწვეული ემოცია უფროა, ვიდრე თავად მოვლენის თხრობა.

ერთ დღეს მოსწავლეებს ლექსის დაწერა რომ დაავალოთ, მათგან აუცილებლად გაიგონებთ საყოველთაოდ გავრცელებულ შეგონებას, რომ ლექსის წერას სპეციფიკური უნარები სჭირდება, ყველას როდი შეუძლია „კარგად თქმა“, ანუ შემოქმედებითი წერა მხოლოდ „ზეგარდმო ნიჭით“ დაჯილდოებულთა ხვედრია.

მას შემდეგ, რაც სკოლაში ვასწავლი, ვცდილობ, წერის პროცესს თამაშის სახე მივცე და ამ გზით მიუწვდომელი მეტ-ნაკლებად მისაწვდომი გავხადო, რათა მოსწავლეებს ცოტათი მაინც შევუცვალო ზემოაღნიშნული შეხედულება და დავაჯერო, რომ სურვილის შემთხვევაში, რიტმული ტექსტების შედგენა მათაც შეუძლიათ. ამ წერილში რამდენიმე ასეთ თამაშს და მათ შედეგად აგებულ ე.წ. ლექსის ფაზლებს წარმოგიდგენთ.

რითმობანა

როგორც ვიცით, ლექსს აქვს თავისებური რიტმი და რითმა, რომელიც მას პროზაული ტექსტისგან განასხვავებს. რითმა, სტრიქონებში მარცვლების შეთანხმებულ რაოდენობასთან ერთად, პოეტურ ტექსტებს კეთილხმოვანებასაც ანიჭებს. გრაფიკული ფორმის გარდა, ლექსის შინაარსიც განსხვავებულია. აქ მთავარი მწერლის მიერ ამა თუ იმ მოვლენით გამოწვეული ემოცია უფროა, ვიდრე თავად მოვლენის თხრობა. ემოციის სწორად გადმოცემას კი მნიშვნელოვნად გვიადვილებს ლექსის მუსიკა, რომელსაც რითმებით გაწყობილი რიტმული სტრიქონები ქმნიან.

ქართული რითმა საკმაოდ მრავალფეროვანია. რითმები ერთმანეთისგან განირჩევიან შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობისა (ერთ-, ორ-, სამ- და მეტმარცვლიანი) და ადგილმდებარეობის (პარალელური, ჯვარედინი, რკალური, გარე, შიდა და სხვ.), კეთილხმოვანებისა (ზუსტი/არაზუსტი, მდიდარი/ღარიბი, ღია/დახურული და ა.შ.) თუ შინაარსის (ომონიმური, ტავტოლოგიური, კალამბურული, ზმნური და სხვ.) მიხედვით.

რადგან წერილში დაწყებითი საფეხურისთვის შედგენილ „ლექსის ფაზლებს“ წარმოგიდგენთ, პოეტური ტექსტების აგებულების თავისებურებათა დეტალურ აღწერაზე აღარ შევჩერდები და რითმების აწყობის რამდენიმე მარტივ ხერხს შემოგთავაზებთ.

შეცვალე პირველი ასო-ბგერა

აღნიშნული მეთოდი I-II კლასებში მარტივი რითმების ასაგებად გამოგადგებათ. მაგალითისთვის, ავიღოთ სიტყვა „ხელი“ და მისი პირველი ასო ჩავანაცვლოთ სხვა ბგერით/ბგერებით (ც, ნ, ძ, წ, ვ, გვ, სა და ა.შ.). შედგენილი სიტყვები შეგვიძლია ტაეპების ბოლო სიტყვებად ჩამოვწეროთ (პარალელური რითმა) და შევავსოთ სასურველი შინაარსის ტექსტით. თავდაპირველად ვიყენებ ე.წ. სიტყვის ფაზლებს. სარითმო სიტყვებს მოს-

წავლეებს ვადგენინებ, სტრიქონების შესავსებად საჭირო სიტყვებს კი თავად ვთავაზობ (სასურველია, არეულად და მეტობით ჩამოვწეროთ რითმებთან მისასადაგებელი სიტყვები და თავად იპოვონ საჭირო ვარიანტები). თავიდან ვიწყებთ რითმებთან თითო სიტყვის მისადაგებით, მაგალითად:

მომეცი ***ხელი,***
გავიდა ***წელი,***
აყვავდა ***ველი,***
მე ისევ ***გელი.***

ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ სტრიქონების შევსების მეთოდი: მოსწავლეებს ვაძლევთ ნაცნობ თემაზე შედგენილ, სასწავლო საფეხურის შესაბამისი სირთულის უცნობ ლექსს, რომელსაც აკლია რითმები და თავად უნდა მიუსადაგონ. დასაწყისისთვის მოსწავლეებს ვაწვდით რითმების ჩამონათვალს რამდენიმე არასაჭირო სიტყვის ჩამატებით, რათა საჭირო სიტყვები იპოვონ და სწორად მიუსადაგონ ლექსის სტრიქონებს.

ასაკის და გამოცდილების მატების შესაბამისად, შეგვიძლია გავართულოთ დავალება და



ქართული რითმა საკმაოდ მრავალფეროვანია. რითმები ერთმანეთისგან განირჩევიან შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობისა (ერთ-, ორ-, სამ- და მეტმარცვლიანი) და ადგილმდებარეობის (პარალელური, ჯვარედინი, რკალური, გარე, შიდა და სხვ.), კეთილხმოვანებისა (ზუსტი/არაზუსტი, მდიდარი/ღარიბი, ღია/დახურული და ა.შ.) თუ შინაარსის (ომონიმური, ტავტოლოგიური, კალამბურული, ზმნური და სხვ.) მიხედვით.

მოსწავლეებს ლექსის დამოუკიდებლად შევსება ვთხოვოთ. ბუნებრივია, ბავშვების მიერ შერჩეული რითმები ავტორისეულს იშვიათად ემთხვევა, თუმცა ლექსს შინაარსობრივად მიესადაგება, რაც ამ ერთგვარ ექსპერიმენტს მეტად სახალისოს და, რაც მთავარია, სასარგებლოს ხდის. საილუსტრაციოდ გთავაზობთ ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულის“ ერთ-ერთი მოსწავლის მიერ შევსებულ ვარიანტს:

*ტყემ მოისხა **ყვავილი,***
*აგერ მერცხალი **გალობს,***
*ბაღში ვაზი **გაზრდილი***
*მეტის ლხენითა **ხარობს.***

ახალი ლექსი ძველი რითმებით

ეს თამაში შეგვიძლია V-VI კლასის მოსწავლეებს შევთავაზოთ. ამოვიწეროთ რომელიმე ლექსის რითმები და მოსწავლეებს მათი გამოყენებით ახალი რიტმული ტექსტის შეთხზვა ვთხოვოთ (ჯობს, უცნობი ლექსის რითმები გამოვიყენოთ, რათა მოსწავლეებს განსხვავებული ვარიანტის შექმნა გაუადვილდეთ). მაგალითისთვის ისევ ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულს“ გამოვიყენებ:

***ტყეში ბევრია მწვანე** ფოთოლი,*
***ტყეში ბუდეა, შიგ ბარტყი** ჭყივის,*
***არ ჰყავს მშობელი, არის** ობოლი*
***და ამიტომაც ხმამაღლა** ტირის.*

ზემოაღნიშნული აქტივობა საკმაოდ შრომატევად ლექსის ფაზლს წარმოადგენს. მას სჭირდება წინარე ცოდნა და გამოცდილება, ამასთან, თემის, სათქმელის და ემოციის სწორად შერჩევა. თუ აღნიშნულ გარემოებებსაც თამაშის სახეს მივცემთ, მოსწავლეებს წერის პროცესს მნიშვნელოვნად გავუმარტივებთ.

თემებისა და ემოციების ხურჯინი

ნაჭრის პატარა ტომსიკებში ვათავსებთ შერჩეული რითმებისთვის შესაფერის თემებსა და ემოციებს და მოსწავლეებს თითო-თითო ფურცლის ამოღებას ვთხოვთ. შედეგად, ისინი კონკრეტულ თემასა და ემოციაზე კონცენტრირდებიან და არჩევანის გაკეთებაზე დროს აღარ კარგავენ (დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა დიდ ნაწილს უძნელდება კონკრეტული საყრდენების/მინიშნებების გარეშე დავალებისთვის თავის გართმევა).

ითამაშე ლექსებით

I-III კლასებში, მოტივაციის ასამაღლებლად, ხშირად ვანაცვლებ ნაცნობი თამაშების ან საბავშვო გათვლების (მაგალითად, „წეროები“, „ენკი-ბენკი“ და სხვ.) ტექსტებს მოსწავლეთა მიერ ნასწავლი თუ შედგენილი ლექსებით. ვთამაშობთ „წეროებს“ შეცვლილი ტექსტით ან ვირჩევთ სალექსო რიტმის შესაბამის მუსიკალურ რიტმს/მელოდიას და ჩვენ მიერ შეთხზულ ტექსტებს ვრეპავთ/ვმღერით.

ზემოაღნიშნულ აქტივობებს ხშირად ვიყენებ დაწყებით საფეხურზე. შედეგად, პოეზიისადმი მოსწავლეების არასასურველი დამოკიდებულებაც იცვლება (წერას რომ თავი დავანებოთ, მათი წაკითხვა-გაგებაც ეძნელებათ) და შემოქმედებითი წერის ტექნიკაც იხვეწება. რაც შეეხება მეთოდების მრავალფეროვნებას, მათ სიმწირეს ნამდვილად არ ვუჩივით. მთავარია, თითოეულმა ჩვენგანმა იპოვოს კლასისთვის შესაფერისი/საინტერესო აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს პოეზიასთან დამეგობრებას გაუადვილებს.

ნინო ლომიძე

ფილმის განხილვა ლიტერატურის გაკვეთილზე

შემეცნების პროცესი ხალისსა და თამაშსაც უნდა მოიცავდეს. რუტინა მომქანცველი და მომთენთავი რამაა. ფილმის ნახვა და ნანახის შესახებ მოსაზრებების გაზიარება ნამდვილად შეგვიძლია ვაქციოთ სახალისო-შემეცნებით თავგადასავლად. ამ წერილში გთავაზობთ დეტალურად გაწერილ ტექნიკას.

წაკითხულისა და ნანახის ანალიზის უნარზე ლიტერატურის გაკვეთილებზე გამუდმებით ვმუშაობთ. თუკი საკითხავად ისეთი წიგნი გვაქვს შერჩეული, რომლის ეკრანიზაციაც ხელმისაწვდომია, ეს შესანიშნავი რესურსია ანალიტიკური უნარების განსავითარებლად.

შემეცნების პროცესი ხალისსა და თამაშსაც უნდა მოიცავდეს. რუტინა მომქანცველი და მომთენთავი რამაა. ფილმის ნახვა და ნანახის შესახებ მოსაზრებების გაზიარება ნამდვილად შეგვიძლია ვაქციოთ სახალისო-შემეცნებით თავგადასავლად. ამ წერილში გთავაზობთ დეტალურად გაწერილ ტექნიკას.

მეცხრე კლასში ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ ეპიზოდი გვქონდა დასამუშავებელი (სულაკაურის გამომცემლობის სახელმძღვანელო, მე-9 კლასი, გვ.161). ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ ეკრანიზაციის ნახვა დავგეგმეთ. ის 1962 წელსაა გადაღებული რეჟისორ რობერტ მალიგანის მიერ. ფილმი შავ-თეთრია, რეჟისორი მინიმალისტურ სტილსა და რეალისტურ კომპოზიციურ გადაწყვეტებს იყენებს. სწრაფად ცვალებად კადრებს, ბლოკბასტერებსა და ჰოლივუდურ ესთეტიკას ნაჩვევი თვალისთვის მალიგანის კინოენა ნელია, „გაწელილი“, ატმოსფერული, მშვენიერი, უჩვეულო. ეს ის ეპითეტებია, რომლებიც თავად მეცხრეკლასელებმა გამოიყენეს ფილმის დასრულების შემდეგ პირველი შთაბეჭდილებების გაზიარებისას.

შემდეგი გაკვეთილისთვის კი ფილმის გააზრება და ნაზრევის ერთმანეთისთვის გაზიარება გადაწყდა.

ამისთვის მოსწავლეებს ასეთი თამაში შევთავაზე:

წინასწარ შევიძინე ფერადბურთულებიანი შოკოლადის ორი შეკვრა. შეკვრაში წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი და ნარინჯისფერი ბურთულები ყრია.

შიგთავსი ლამაზ თასში ჩავყარე.

ფერად ფურცლებზე (ფურცლებიც შესაბამისი ფერების შევარჩიე. შესაძლებელია, კითხვები თავად დაიტოვოთ იმ ფორმით ამობეჭდილი, რა ფორმითაც აქ არის მოცემული. ამ შემთხვევაში მოსწავლე იღებს ბურთულას და ასახელებს ნომერს, თქვენ კი შესაბამისი ფერის/ნუმერაციის კითხვას სვამთ) ჩამოვწერე კითხვები, რომლებიც ნანახის გაგება-გააზრებაში დაეხმარებათ. სურვილის მიხედვით მოსწავლე გამოდის, იღებს თასიდან შოკოლადის ბურთულას და ფერის მიხედვით არჩევს კითხვას. აცნობს კლასს. თუ დრო სჭირდება მოსაფიქრებლად, ითხოვს ერთ წუთს. ფიქრობს. როგორც კი მზადაა საპასუხოდ, ნააზრევს უზიარებს კლასელებს და თვითონაც ისმენს სხვის ნააზრევს. მას თავად შეუძლია

წაკითხულისა და ნანახის ანალიზის უნარზე ლიტერატურის გაკვეთილებზე გამუდმებით ვმუშაობთ. თუკი საკითხავად ისეთი წიგნი გვაქვს შერჩეული, რომლის ეკრანიზაციაც ხელმისაწვდომია, ეს შესანიშნავი რესურსია ანალიტიკური უნარების განსავითარებლად.

მოდერაცია, დამატებითი კითხვების დასმა. ინიციატივა აქ მთლიანად მოსწავლის ხელშია. მასწავლებელი დამკვირვებელია.

კითხვები, რომლებიც აქ არის თავმოყრილი, ზოგადი ხასიათისაა და შეიძლება, ნებისმიერ სხვა ფილმს მიუსადაგოთ (რასაკვირველია, მხატვრული, და ფაქტობრივ-შინაარსობრივი და კომპოზიციური დეტალების ჩანაცვლების შემდეგ).

კითხვები მოიცავს კომპოზიციურ, შინაარსობრივ, თემატურ, სააზროვნო მიმართულებებს და მოსწავლეებს ფიქრისა და გააზრების სტიმულს აძლევს.

კითხვების რაოდენობა მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით უნდა შეამციროთ ან გაზარდოთ.

წითელი

1. რობერტ მალიგანის ფილმი შავ-თეთრია. გაიხსენე ეპიზოდები, რომლებიც ემოციურ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. რის მეშვეობით ახერხებს რეჟი-

სორი სათანადო ემოციის აღძვრას? მაგალითად, ბუას სახლის პირქუში გარემო ან საშიში სცენები როგორ იყო გადმოცემული?
2. სასამართლოს სცენის გადაღებისას გამოყენებული იყო ახლო კადრები. მაგალითად, ტომ რობინსონის, ატიკუს ფინჩისა და დამბრალებელი გოგოს სახეები ხშირად იყო კამერის ფოკუსში. შენი აზრით, რატომ?
3. ფილმის რომელ სცენას გააუმჯობესებდი და რით?
4. შენი დაკვირვებით, რამდენად სწრაფად იცვლებოდა კადრები? კინემატოგრაფიული თხრობისას სხვადასხვა რეჟისორი სხვადასხვა ხერხს იყენებს ხოლმე. თანამედროვე ჰოლივუდურ ფილმებში კადრის ხანგრძლივობა საშუალოდ 5-8 წამია. კადრების ცვალებადობა კი სწრაფია. ნანახ ფილმზე რას იტყვი ამ მხრივ?

ყავისფერი

1. ფილმის რომელი პერსონაჟი იყო შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი? რით დაგამახსოვრა თავი?
2. რომელმა პერსონაჟმა გამოიწვია ყველაზე მძლავრი ემოცია – დადებითიც და უარყოფითიც? რატომ?
3. რას ფიქრობ ატიკუს ფინჩზე როგორც მამაზე?
4. და-ძმა ჭყიტა და ჯემი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხასიათით. რა აქვთ მათ აბსოლუტურად განსხვავებული და რით ჰგვანან ერთმანეთს?

მწვანე

1. ნანახი ფილმის პერსონაჟისთვის კითხვების დასმის საშუალება რომ გქონდეს, ვის აარჩევდი და რას ჰკითხავდი?
2. შენმა თანატოლმა რომ გკითხოს აზრი ამ ფილმის ყურებასთან დაკავშირებით, რას ურჩევდი?
3. ჭყიტას გმირთან რაიმე საერთო თუ შეგიძლია გამონახო? რა თვისებაზე იტყოდი, მეც მაქვსო? ემეგობრებოდი ჭყიტას? რატომ?
4. გაიხსენე და აღწერე რომელიმე სცენა ფილმიდან ისე, თითქოს ამბავს უყვები შენს თანატოლს.

ყვითელი

1. შენთვის რომ შეეთავაზებინათ ამ ფილმში მონაწილეობა, ვინ იქნებოდი და რატომ?
2. დაასახელე ერთი თემა, რომელზეც ფილმშია ყურადღება გამახვილებული. რა არის ნათქვამი ამ თემაზე ფილმში? რას ფიქრობ შენ?
3. ატიკუს ფინჩმა ჩიტუნა ჯაფარაზე თქვა, რომ მისი მოკვლა არ შეიძლება, ცოდვაა. გაიხსენე ეს მომენტი, მოჰყევი და გააკეთე საინტერესო კომენტარი.

ლურჯი

1. ბუა რედლი ფილმში ძალიან ცოტა ხნით ჩნდება. რით დაგამახსოვრა თავი ამ გმირმა?
2. როდესაც ფილმი დასრულდა, რა ემოცია გქონდა? რა შთაბეჭდილება დატოვა ფილმმა შენზე?

ნარინჯისფერი

1. გაიხსენე ფილმის ფინალი. შეაფასე შერიფის გადაწყვეტილება.
2. ატიკუს ფინჩმა თქვა: კაცს ვერასოდეს ბოლომდე ვერ გაიცნობ, თუ დროებით მის ტყავში არ ჩაძვრები და ისე არ გაივლ-გამოივლიო. რას ნიშნავს ეს გამონათქვამი შენთვის?
3. გაიხსენე, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები და რა ვითარებაშია წარმოთქმული ისინი: „ჩვენს ქვეყანაში სასამართლო გვევლინება უდიდეს მაწონასწორებლად – აქ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია!“

ანალიტიკური უნარების განვითარებასთან ერთად ეს აქტივობა შეუცვლელია კლასში ხალისიანი შემეცნებითი ატმოსფეროს შესაქმნელად. საინტერესო შემეცნებით თავგადასავალს გისურვებთ!

ნესტან მიქაძე

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის გამოყენება შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესში, შემოქმედებითი დავალებების და პროექტებით სწავლების დროს. სასწავლო პროცესი გულისხმობს მოკლევადიან და შუალედურ სასწავლო მიზნებზე მუშაობის შედეგად გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მისიაა მოსწავლის ჰოლისტური – შემეცნებითი, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური – განვითარება. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ფუნდამენტური აკადემიური უნარების, წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგ-ნიერების განვითარების ხელშეწყობა, სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამო-კიდებულების ჩამოყალიბება, საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოზარდის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და მხარდაჭერა, დამოუკიდებელი სასწავლო და შრო-მითი უნარების განვითარება, სისტემური ცოდნის კონსტრუირება. საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო, აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრ-ძელებისთვის ან პროფესიული საქმიანობისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანია, მოს-წავლემ შეძლოს:

- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ინფორმაციის გააზრება, მიზნებისა და აუდი-ტორიის გათვალისწინებით – აზრის, იდეის ჩამოყალიბება;
- ახალ სიტუაციასთან მიმართებით კანონ-ზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება. სასწავლო მასალის მეცნიერულ კონტექსტში გააზრება;
- მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგო-მების საშუალებით, სასწავლო და ცხოვრები-სეული ამოცანების წარმატებით გადაჭრა;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი მსოფლმხედველობის რეფლექსია;
- შეძენილი ცოდნის საკუთარი, საზოგადოებ-რივი თუ სახელმწიფოებრივი მიზნებისა და საჭიროებებისთვის გამოყენება.

სასწავლო შედეგი, უპირველესად, გულისხმობს საგნობრივ ცოდნას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში **გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით.** ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება **საგნობრივ სამიზნე ცნებას. ყველა საგნისთვის განსაზღვ-რულია რამდენიმე სამიზნე ცნება.** შედეგებთან ერთად მათი დაუფლება წარმოადგენს საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს. **გრძელ-ვადიან მიზნებს, შედეგებსა და სამიზნე ცნებებს** აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული **ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდ-გენები და შესაბამისი დასასწავლი საკითხები.**





გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საჭიროა, სასწავლო პროცესი **დაიყოს შუალედურ სასწავლო მიზნებად**. გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური მიზნების გამოსაყოფად აუცილებელია სასწავლო თემის როგორც სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელობის გააზრება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. მნიშვნელოვანია, **მასწავლებელმა სწორად დაინახოს,** თემის ფარგლებში **რა** კონკრეტულ **სახეს მიიღებს** ეროვნული სასწავლო გეგმის **გრძელვადიანი მიზნები – შედეგები და სამიზნე ცნებები.**

სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

მკვიდრი წარმოდგენები შემოფარგლავს ცნების მოცულობას და განსაზღვრავს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს საფეხურის ბოლოს ამ ცნებასთან მიმართებით. მათი საშუალებით წარმოჩნდება განზოგადებები, რომლებამდეც მოზარდი უნდა მივიდეს ნებისმიერი თემის სწავლა-სწავლების პროცესში. მკვიდრი წარმოდგენები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ისინი განისაზღვრება სასკოლო კურიკულუმის და არა ეროვნული სასწავლო გეგმის დონეზე.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, **შუალედური მიზანი გულისხმობს სამ აუცილებელ კომპონენტს:**

- ძირითადი საკითხი, რომელსაც შეეხება სასწავლო აქტივობა;
- პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე (მაგ.: კვლევითი ნაშრომი, მოდელი, ვირტუალური მოდელი, ინსტრუქცია, რჩევების კრებული და სხვა);
- შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

შუალედური სასწავლო მიზნების რაოდენობა და მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტული სკოლის, კლასის მოცემულობაზე. მაგალითად, შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- **შუალედური მიზანი,** რომელიც ერთ საკითხს და **ერთ სამიზნე ცნებას შეეხება;**
- **შუალედური მიზანი,** რომელიც ერთი საკითხის გამოყენებით **2-3 სამიზნე ცნების** დამუშავებას გულისხმობს;
- **შუალედური მიზანი,** რომლის საფუძველზეც თემის ფარგლებში **ყველა სამიზნე ცნებასთან** დაკავშირებული საკითხები ერთობლივად დამუშავდება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გაზომვაში გვეხმარება შედეგების შეფასების და ფუნქციურ-კოგნიტიურ უნარებზე დაფუძნებული **განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.** მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის მართვა. **შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი.**

მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

- მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- მოსწავლის წინსვლის, სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
- მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას. განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს ადგენს თავად სკოლა.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომელ სამიზნე ცნებაზე გადის აღნიშნული სასწავლო აქტივობა, მივუთითოთ ქვეცნებები და ის კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მოიცავს მოცემული სამუშაო. ამის შემდეგ კი შესაძლებელია, მიღწევის დონე შეფასდეს როგორც დაბალი, საშუალო და მაღალი.

განმავითარებელი შეფასება:

- აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, პროგრესს;
- ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.

მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე. განმავითარებელ შეფასებაში შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც. სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, თვითშეფასების მიზნით გასცენ და მიიღონ უკუკავშირი თანაკლასელებისგან და ასევე აქტიურად გამოიყენონ მეტაკოგნიტიური და კოგნიტიური სტრატეგიები. სწავლის პროცესის შეფასებაში ამგვარი ჩართულობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი შინაარსის შეფასების რუბრიკები:

- საშინაო წერითი დავალების შეფასება;
- საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასება;
- დამოუკიდებელი წერითი სამუშაოს შეფასება;
- საპრეზენტაციო თემის და პრეზენტაციის პროცესის შეფასება;
- ჯგუფური სამუშაოს შეფასება;
- მოსწავლის მიერ კვლევითი სამუშაოს შეფასება;
- სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული განმავითარებელი შეფასების სქემა.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების და კონსტრუირების საშუალებას. **განმავითარებელი შეფასებისას** მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს განმავითარებელი შეფასების 5 სტრატეგია-ფაქტორი:

- რომელ მიზანზეა (გრძელვადიანი/შუალედური) ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება;
- რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას;
- რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად;
- რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს;
- რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტიურ ასპექტებს.

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებლის თვითრეფლექსია იმის გასაანალიზებლად, რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის გამოყენება შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესში, შემოქმედებითი დავალებების და პროექტებით სწავლების დროს. სასწავლო პროცესი გულისხმობს მოკლევადიან და შუალედურ სასწავლო მიზნებზე მუშაობის შედეგად გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომელ სამიზნე ცნებაზე გადის აღნიშნული სასწავლო აქტივობა, მივუთითოთ ქვეცნებები და ის კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მოიცავს მოცემული სამუშაო. ამის შემდეგ კი შესაძლებელია, მიღწევის დონე შეფასდეს როგორც დაბალი, საშუალო და მაღალი.

საკითხის უკეთ გასააზრებლად წარმოგიდგენთ **სასწავლო კვლევითი პროექტის მოკლე გეგმის ნიმუშს ფიზიკაში და შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკას, რომელიც ფარავს სამიზნე ცნების, ქვეცნების და საკითხების ჩამონათვალს.** ამავე ფორმატით შესაძლებელია ნებისმიერი საგნის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შედგენა.

პროექტის სახელწოდება	**კულონის კანონი. მსოფლიო მიზიდულობის კანონი**
პროექტის მონაწილეები	მე-10 კლასის მოსწავლეები; ასაკობრივი ჯგუფი – 15-16 წელი
პრობლემის ანალიზი	**მოსწავლეებს უჭირთ:** ● მსოფლიო მიზიდულობის კანონის სიღრმისეული გააზრება (მაგ., რატომ ეცემა ვაშლი დედამიწას და არა პირიქით, დედამიწა – ვაშლს); ● უხილავ (დამუხტულ) ნაწილაკებზე მსჯელობა, მათი კანონზომიერებების ფიზიკური შინაარსის გააზრება, ლოგიკური და ანალიტიკური მსჯელობა; ● საკუთარი აზრის გამოთქმა, წარმოსახვა და შემოქმედებითად აზროვნება.
პროექტის მიზანი	**მოსწავლეები:** ● გაიღრმავებენ ცოდნას ფიზიკაში; შეძლებენ, დაადგინონ მსგავსება გრავიტაციულ და ელექტრულ ურთიერთქმედებებს შორის; ● ვირტუალური ექსპერიმენტებით შეისწავლიან მსოფლიო მიზიდულობის და კულონის კანონებს; იმსჯელებენ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე.
მოსალოდნელი შედეგები	**მოსწავლეებს:** ● განუვითარდებათ დაკვირვების, აღწერის, ინფორმაციის მოძიების, პრობლემის დასმისა და გადაჭრის, მონაცემთა ინტერპრეტაციის, ანალიზის, საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და გადაცემის უნარები; ● გამოუმუშავდებათ უნარ-ჩვევები საინფორმაციო ტექნოლოგიებში – ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის აწყობა და აუდიტორიის წინაშე წარდგენა; ● განუვითარდებათ წარმოსახვითი, შემოქმედებითი აზროვნების, ვარაუდის ფორმულირების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები; ● გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობათ წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერების, ციფრული წიგნიერების, სემიოტიკური წიგნიერების, სწავლის სწავლის, ცოდნის ტრანსფერული უნარების განვითარებაში.
პროექტის ამოცანები	**მოსწავლეები:** ● დაამუშავებენ პროექტით გათვალისწინებულ თეორიულ საკითხებს და ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით ჩაატარებენ შესაბამის ექსპერიმენტებს; ● უფრო ღრმად და მრავალმხრივად გააანალიზებენ მოვლენებსა და ფაქტებს.
სტანდარტთან კავშირი	● ფიზ.საბ.1.2.3.4.5.6.7.8.9.10.11 ● ფიზ.საშ.1.2.3.4

პროექტის სახელწოდება	**კულონის კანონი. მსოფლიო მიზიდულობის კანონი**
კვლევა – მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ:	● კვლევის მეთოდებია: ცდა (ექსპერიმენტი), ინფორმაციის მოძიება, მონაცემების დამუშავება (ანალიზურად, გრაფიკულად, დიაგრამებით), ვირტუალურ ლაბორატორიაში რეალური მოვლენის მოდელირება და სხვა; ● რეალური მოვლენის მოდელირებისას შესაძლოა უგულებელყოფილ იქნეს გარკვეული ფაქტორები, რის გამოც რეალობისაგან აცდენილ შედეგს მივიღებთ. ● მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის აუცილებელია აღმოჩენები, ხოლო სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
ქვეცნება, საკითხები	**მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება**
სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** **მატერია –** ● გრავიტაციული/ელექტრული/მაგნიტური ველის შემქმნელი ობიექტების მახასიათებელი ფიზიკური სიდიდეების (მასა და მუხტი) **დაკავშირება** მათ მიერ შექმნილ ველებთან; აღნიშნული ველების თვისებების ზოგადი აღწერა; ● მატერიის სახეების ფიზიკური თვისებების ცოდნის მნიშვნელობის შესახებ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** და ამ ცოდნის დაკავშირება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან; ● მატერიის სახეების ფიზიკური თვისებების გამოსაკვლევად შესაბამისი საკლასო/საშინაო ექსპერიმენტების ორგანიზება, მოსალოდნელი შედეგების წინასწარ **განჭვრეტა** და **შედარება** ექსპერიმენტის შედეგებთან; ● მატერიის სახეებისა და მათი თვისებების მახასიათებელ ფიზიკურ სიდიდეთა გამოყენებით შესაბამისი სიტუაციური, ცხოვრებისეული და პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანების ამოხსნა/გადაჭრა; ● ელემენტარული მუხტისა და სხეულის მუხტის შესახებ მსჯელობა მუხტის შენახვის კანონის გასაანალიზებლად; ● მსჯელობა მუხტებს შორის ელექტრული ურთიერთქმედების აღსაწერად (ანალოგია გრავიტაციული ველის მახასიათებლებთან). **ენერგია –** ● სისტემის შიგნით ენერგიის გარდაქმნებისა და სისტემის სრული ენერგიის ცვლილების მოვლენების **ახსნა** გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით; ● ენერგიის სახეების (მექანიკური, ელექტრომაგნიტური) თვისებრივი და რაოდენობრივი **დახასიათება**, შესაბამისი მახასიათებლების მიხედვით ერთმანეთთან **შედარება**. **ძალა –** ● ურთიერთქმედების სახეების (გრავიტაციული, ელექტრული) თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება; ბუნების მოვლენების მიმდინარეობაში ამ ურთიერთქმედებების როლის/მნიშვნელობის შესახებ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება ადვილად დაკვირვებად მაგალითებზე დაყრდნობით; ● ადვილად დაკვირვებადი ძალების თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება, შედარება მათი წარმოქმნის მექანიზმისა და მოქმედების ხასიათის მიხედვით;

- ადვილად დაკვირვებადი ძალების გამოსაკვლევად შესაბამისი საკლასო/საშინაო ექსპერიმენტების ორგანიზება, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და შედარება ექსპერიმენტის შედეგებთან;
- წერტილოვან მუხტებს შორის ურთიერთქმედების ძალის რაოდენობრივად დახასიათება (ანალოგია მსოფლიო მიზიდულობის კანონთან) და შესაბამისი მოცემულობების ახსნა პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანების გადასაჭრელად;
- ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ექსპერიმენტების დაგეგმვა და უსაფრთხოდ ჩატარება დამუხტული სხეულების ურთიერთქმედების შესასწავლად.

ფიზიკური პროცესი –

- ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების (მაგ.: მექანიკური, ელექტრული) თვისებრივი და რაოდენობრივი **დახასიათება**;
- ფიზიკურ მოვლენათა/პროცესთა **შედარება** მათი მახასიათებლების მიხედვით;
- ბუნების მოვლენების აღმწერი კანონების მნიშვნელობის შესახებ საკუთარი მოსაზრებების **დასაბუთება** და ამ კანონების გამოყენებით შესაბამისი სიტუაციური, ცხოვრებისეული და პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანების ამოხსნა/გადაჭრა;
- სხვადასხვა ფიზიკური მოვლენისა და პროცესის სადემონსტრაციო საკლასო/საშინაო ექსპერიმენტების ორგანიზება, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და **შედარება** ექსპერიმენტის შედეგებთან;
- ფიზიკური პროცესის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან **დაკავშირება** და ამ კავშირების განმაპირობებელი ფაქტორების **ახსნა**.

ამოცანების განსახორციელებლად საჭირო აქტივობები

აქტივობა 1. მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის პროექტის იდეის გაცნობა;

აქტივობა 2. მოსწავლეებთან ერთად სამუშაო გეგმის შედგენა და დავალებების განაწილება;

პრეზენტაციების მომზადება შემდეგ საკითხებზე:

- მსოფლიო მიზიდულობის კანონი. გრავიტაციული მუდმივას რიცხვითი მნიშვნელობა;
- დამუხტულ ნაწილაკთა ურთიერთქმედება. კულონის კანონი;
- ამოცანის განხილვა იმის გამოსაანგარიშებლად, რამდენჯერ მეტია ელექტრული ურთიერთქმედების ძალა გრავიტაციული ურთიერთქმედების ძალაზე;
- გრავიტაციული და ელექტრული ურთიერთქმედებების შესწავლა ვირტუალური ლაბორატორიის საშუალებით.
- ვენის დიაგრამის საშუალებით კულონის კანონსა და მსოფლიო მიზიდულობის კანონს შორის მსგავსების და განსხვავების დადგენა.



აქტივობა 3. მიცემული დავალებების მიხედვით სამუშაო შეხვედრების ჩატარება და მონიტორინგი;

აქტივობა 4. პროექტის პრეზენტაცია;

აქტივობა 5. პროექტის შეფასება შეფასების რუბრიკის საშუალებით.

სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

თემა	საკითხები, საკითხი	სამიზნე ცნებასთან მიმართება	შეფასება		
			დაბალი – *მოსწავლეს განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს არასტრუქტურირებული წარმოდგენა.* *მოიპოვებს მწირ ინფორმაციას.* *ვერ ერთვება კვლევის პროცესში.*	**საშუალო** – *მოსწავლეს განსახილველი საკითხის არსი ესმის საშუალო დონეზე. საკითხთან მიმართებით ხედავს ურთიერთმიმართებებს.* *მონაწილეობს კვლევაში და იაზრებს კვლევის შედეგებს.* *უჭირს ცოდნის ტრანსფერი.*	**მაღალი** – *მოსწავლეს საკითხის არსი გააზრებული აქვს სიღრმისეულად.* *შეუძლია ცოდნის განზოგადება და სხვა მსგავს მაგალითებთან შედარება.* *ატარებს კვლევას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.* *ახდენს ცოდნის ტრანსფერს.*
ძალები	მსოფლიო მიზიდულობის კანონი	მატერია	**მოსწავლეს უჭირს გააზრება:** ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, არის მატერია. იგი ორი სახისაა: ნივთიერება და ველი. ყველა ნივთიერება შედგება უმცირესი ნაწილაკებისგან.	**მოსწავლეს საშუალოდ ესმის:** ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, არის მატერია. იგი ორი სახისაა: ნივთიერება და ველი. ყველა ნივთიერება შედგება უმცირესი ნაწილაკებისგან. ველის ფიზიკური თვისებები დამოკიდებულია ველის შემქმნელი ობიექტების პარამეტრებზე (მასა, მუხტი) და ამ ობიექტების განლაგებაზე.	**მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის:** ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, არის მატერია. იგი ორი სახისაა: ნივთიერება და ველი. ყველა ნივთიერება შედგება უმცირესი ნაწილაკებისგან. ველის ფიზიკური თვისებები დამოკიდებულია ველის შემქმნელი ობიექტების პარამეტრებზე (მასა, მუხტი) და ამ ობიექტების განლაგებაზე. მატერიის ფიზიკური თვისებები შეიძლება შეიცვალოს შიდა/გარე ფაქტორების გავლენით. ეს თვისებები და მათი ცვლილება ხასიათდება ფიზიკური სიდიდეებით, რომლებიც იზომება ექსპერიმენტულად.

ელექტრო-სტატიკა	ელექტრული მუხტი და ელემენტარული ნაწილაკები დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება კულონის კანონი	ენერგია	**მოსწავლეს უჭირს გააზრება:** სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) ერთობლიობა ქმნის სისტემას. სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) სისტემას, მასში შემავალი სხეულების (დამუხტული ნაწილაკების) მოძრაობის ან/და მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედების გამო, აქვს ენერგია.	**მოსწავლეს საშუალოდ ესმის:** სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) ერთობლიობა ქმნის სისტემას. სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) სისტემას, მასში შემავალი სხეულების (დამუხტული ნაწილაკების) მოძრაობის ან/და მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედების გამო, აქვს ენერგია. ენერგია სისტემის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია.	**მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის:** სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) ერთობლიობა ქმნის სისტემას. სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) სისტემას, მასში შემავალი სხეულების (დამუხტული ნაწილაკების) მოძრაობის ან/და მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედების გამო, აქვს ენერგია. ენერგია სისტემის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია. სისტემაში ენერგიის გარდაქმნა განპირობებულია შიდა ფაქტორებით, ხოლო სისტემის სრული ენერგიის ცვლილება – გარე ფაქტორებით.
		ძალა	**მოსწავლეს უჭირს გააზრება:** ბუნებაში მიმდინარე მოვლენების უმრავლესობა სხეულთა ურთიერთქმედებით ხორციელდება. სხეულებს შორის ურთიერთქმედება ხასიათდება ფიზიკური სიდიდით – ძალით. ძალის მოქმედების შედეგი დამოკიდებულია ძალის მოდულზე, მიმართულებასა და მოდების წერტილზე.	**მოსწავლეს საშუალოდ ესმის:** ბუნებაში მიმდინარე მოვლენების უმრავლესობა სხეულთა ურთიერთქმედებით ხორციელდება. სხეულებს შორის ურთიერთქმედება ხასიათდება ფიზიკური სიდიდით – ძალით. ძალის (მაგალითად, მსოფლიო მიზიდულობის ძალა, ელექტრული ძალა) მოქმედების შედეგი დამოკიდებულია ძალის მოდულზე, მიმართულებასა და მოდების წერტილზე. წერტილოვან მუხტებს შორის ურთიერთქმედების ძალის რაოდენობრივად დახასიათება შესაძლებელია ანალოგიით მსოფლიო მიზიდულობის კანონთან.	**მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის:** ბუნებაში მიმდინარე მოვლენების უმრავლესობა სხეულთა ურთიერთქმედებით ხორციელდება. სხეულებს შორის ურთიერთქმედება ხასიათდება ფიზიკური სიდიდით – ძალით. ძალის (მაგალითად, მსოფლიო მიზიდულობის ძალა, ელექტრული ძალა) მოქმედება განსაზღვრავს სხეულის მოძრაობის ცვლილებას, შედეგი კი დამოკიდებულია ძალის მოდულზე, მიმართულებასა და მოდების წერტილზე.

				მონაწილეობს ამოცანების ამოხსნის პროცესში. მონაწილეობს ექსპერიმენტებში სხეულების (დამუხტული ნაწილაკების) ურთიერთქმედების შესასწავლად.	წერტილოვან მუხტებს შორის ურთიერთქმედების ძალის რაოდენობრივად დახასიათება შესაძლებელია ანალოგიით მსოფლიო მიზიდულობის კანონთან. ხსნის შესაბამის პრობლემაზე ორიენტირებულ ამოცანებს. შეუძლია ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ექსპერიმენტების დაგეგმვა და უსაფრთხოდ ჩატარება.
		ფიზიკური პროცესი	**მოსწავლეს უჭირს გააზრება:** ბუნებაში ყოველდღიურად ვხვდებით უამრავ ცვლილებას, რომელთაც ბუნების მოვლენებს ვუწოდებთ. აღნიშნული მოვლენების დასახასიათებლად საჭიროა პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება.	**მოსწავლეს საშუალოდ ესმის:** ბუნებაში ყოველდღიურად ვხვდებით უამრავ ცვლილებას, რომელთაც ბუნების მოვლენებს ვუწოდებთ. აღნიშნული მოვლენების დასახასიათებლად საჭიროა შესაბამისი ფიზიკური პროცესის/პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება. ყველა ფიზიკური მოვლენის დაკავშირება შესაძლებელია ბუნების კანონებთან.	**მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის:** ბუნებაში ყოველდღიურად ვხვდებით უამრავ ცვლილებას, რომელთაც ბუნების მოვლენებს ვუწოდებთ. აღნიშნული მოვლენების დასახასიათებლად საჭიროა შესაბამისი ფიზიკური პროცესის/პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი დახასიათება. ყველა ფიზიკურ მოვლენას/პროცესს (მაგალითად, სხეულთა (დამუხტულ ნაწილაკთა) ურთიერთქმედებას აქვს მიზეზი და მოჰყვება შედეგი, რომელთა დაკავშირებაც შესაძლებელია ბუნების კანონების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა
2. „ფიზიკა, გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, 2022 წ.
3. საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტი;
4. ქ. ტატიშვილი, ფიზიკა, მე-9 კლასი, მასწავლებლის წიგნი;
5. ქ. ტატიშვილი, ფიზიკა, მე-10 კლასი, მასწავლებლის წიგნი.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

გუშინდელი ბავშვი ის ბავშვი აღარ არის – მოზარდობის გამოწვევები

მოზარდობა რთული და მტკივნეული ეტაპია თავად მოზარდისთვის, ოჯახისთვის, სკოლისა და იმ სოციალური გარემოსთვის, რომელშიც მას უწევს ყოფნა. ამ დროს რთული გამოწვევები იჩენს თავს – მან უნდა გაიცნოს საკუთარი თავი, უნდა გაიცნოს სხვები და სხვებსაც უნდა გააცნოს სხვა „მე“, იმისგან განსხვავებული, ვინც აქამდე იყო და ვინც უნდა, რომ იყოს მომავალში – ახალი სურვილებით, ინტერესებითა და გატაცებებით სავსე ადამიანი.

ეს ხანგრძლივი მოსამზადებელი გზაა ზრდასრულობის პასუხისმგებლობიან პერიოდამდე და შეიძლება იყოს მსუბუქიც და მოულოდნელობებით, სირთულეებით სავსეც.

მოზარდი ამ დროს იწყებს საკუთარი ადგილის ძებნას და ცდილობს, გააცნობიეროს თავისი როლი ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში. მისი მთავარი ინტერესია, იმ გარემოში, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია, იპოვოს „მთავარი პერსონაჟის“ ადგილი, რომელსაც აღიარებენ, მოუსმენენ და მის სიტყვას ანგარიშს გაუწევენ.

ერთ საღამოს, როდესაც სამუშაო შეხვედრიდან დავბრუნდი, ჩემმა 12 წლის შვილმა ასეთი კითხვა დამისვა: „ვინ იყო შეხვედრის მთავარი პერსონაჟი?“ ამ კითხვას ახლდა მოზარდული ირონიაც და გულწრფელი ინტერესიც ადამიანური ურთიერთობების მიმართ. ამ კითხვამ დამაფიქრა, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, იყვნენ აღიარებულნი, დაფასებულნი, პატივს სცემდნენ მათ შეხედულებებს და ინტერესით უსმენდნენ მათ აზრებს.

მოზარდობისას, როდესაც ბავშვი პატარა აღარ არის, ის აქტიურად ეძებს უნიკალურ ნიშას, მისთვის შესაფერის ადგილს, ერთგვარ პლატფორმას, სადაც საკუთარი უნარების, ცოდნის, გამოცდილებებისა და მისწრაფებების აქტუალიზებას შეძლებს. მას ახლა მნიშვნელოვანი გზები აქვს გასავლელი – საცალფეხო გზები, ე.წ. ბეწვის ხიდები – ზრდასრულობამდე. მოზარდობის გზა იმ ბეწვის ხიდს წააგავს, რომელზე სიარულის დროსაც საჭიროა წონასწორობის შენარჩუნება, შიშის გადალახვა, თავის გამხნევება, ყურადღების კონცენტრაცია, თავდაჯერების მოპოვება და მოქნილობა.

ბეწვის ხიდზე სიარულისას მოზარდს სჭირდება „დამჭერი“, ერთგვარი ყავარჯენი ისეთი ადამიანის სახით, რომელიც მას უპირობო სიყვარულს, მიმღებლობასა და სითბოს აჩვენებს; რომელშიც ბოლომდე იქნება დარწმუნებული, რომ, შეცდომების მიუხედავად, არასდროს მიატოვებს, მასთან ერთად ეცდება პრობლემების გადალახვას და არ დადგამს „დრამას“. როგორც ვხედავ, მოზარდები ყველაზე ცუდ გამოცდილებას, ყველაზე ცუდ გაკვეთილს სწორედ მშობლების მიერ „დრამის დადგმის“ დროს იღებენ და გულგრილად ისხლეტენ მათ გადაჭარბებულ ემოციურ რეაქციებს.

მოზარდს გვერდით სჭირდება ყურადღებიანი, მოსიყვარულე, სანდო ზრდასრული, რომელიც ამ ბეწვის ხიდზე უშიშრად გაჰყვება, იქნება მისი შემწე, უშიშრად გაატარებს განსაცდელს, გადაიყვანს სამშვიდობოს და ყველა მის უნარს, ნიჭსა და გამოცდილებას წარმართავს სწორი მიმართულებით. მოზარდობის ბეწვის ხიდზე სიარული მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდაა მშობლისთვისაც და მოზარდისთვისაც და ორივესთვის თანაბრად საპასუხისმგებლოა.

ეს პერიოდი განსაკუთრებით უნდა გვაფიქრებდეს არა მარტო მშობლებს – ასევე დამაფიქრებელი უნდა იყოს პედაგოგებისთვისაც. საკლასო გარემოში, ისევე როგორც ოჯახში, ხშირია შეცდომები, რომლებიც ზოგჯერ შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, ძალიან დიდი ბზარი გააჩინოს ურთიერთობებში, პიროვნებაში და მოზარდის მომავალიც კი განსაზღვროს.

მოზარდები განსაკუთრებით მწვავედ და კრიტიკულად აღიქვამენ ამ დროს თითოეულ უხეშ სიტყვას, გადაკრულ ფრაზას, უადგილო ირონიას, რომელიც საშინლად შეურაცხმყოფელია მათთვის და ანგრევს მათ თვითშეფასებას.

მშობლებსაც და მასწავლებლებსაც გვჭირდება განსაკუთრებული საკომუნიკაციო ენის შესწავლა, რომელსაც გულწრფელი სიყვარულის ენა ჰქვია, რომელიც გულისხმობს ლმობიერებასაც, რაციონალურ კრიტიკასაც, საყვედურსაც, თანამგრძნობ დამოკიდებულებასაც, მაგრამ არა შეურაცხყოფას, დამცირებასა და თანატოლთა წინაშე შერცხვენას.

რა თქმა უნდა, მოზარდსაც აქვს პასუხისმგებლობები, მასაც ევალება, იყოს თანამგრძნობი, რაციონალური, მომთმენი, ლმობიერი და გამოირჩეოდეს მისაღები ქცევით, თუმცა ამის მაგალითი ზრდასრულებმა უნდა მივცეთ.

ნასტასია არაბული

რატომ არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებს სოციალურ ქსელებში ანგარიშები

ჩემი არცერთი შვილი ჯერ არ არის 13 წლის, ანუ იმ ასაკის, როცა ლეგალურად შეუძლია სოციალურ ქსელებში ანგარიშის შექმნა – მე ამ წესს მკაცრად ვიცავ და ყოველ ჯერზე, როცა მთხოვენ, რომ სჭირდებათ ექაუნთი კლასელების მესენჯერჯგუფში გაერთიანებისთვის, ან რაიმეს გამოსაწერად, ან სურთ, იუთუბერობა სცადონ, ვეუბნები, რომ ჯერ არა, ჯერ უნდა გაიზარდონ.

მიზეზები, რომლების გამოც მათ სოციალურ ქსელებში ანგარიშების გაკეთებაზე უარს ვეუბნები, ბევრია და ისინი ერთად არაერთხელ განგვიხილავს, მაგრამ რადგან უფრო და უფრო მეტი ბავშვი ჩემ გარშემო თავისუფლად დანავარდობს სოციალურ ქსელებში, საჭიროდ მივიჩნევ ამ საკითხზე ოჯახის მიღმა საუბარსაც. მიზეზებს შორის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მათი ფიზიკური უსაფრთხოება და მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის წვერია, როგორც ამბობენ ხოლმე დიდ პრობლემაზე საუბრისას. აი, სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები:

- **ფსიქოლოგიური ზეგავლენა:** ბავშვების ფსიქიკა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და სოციალური ქსელების გამოყენებამ შეიძლება გაამწვაოს თვითშეფასების პრობლემები და გამოიწვიოს შფოთვა და დეპრესია.
- **კიბერბულინგი, შეურაცხყოფა და სექსუალური შევიწროება:** სოციალური ქსელები ხშირად ხდება კიბერბულინგის ადგილი, რაც განსაკუთრებით საზიანოა ბავშვებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ემოციური მდგრადობა, რომ ასეთ სტრესს გაუმკლავდნენ. სოციალურ ქსელებში ბავშვები მოწყვლადები არიან როგორც თანატოლების მხრიდან მომდინარე საფრთხეების, ასევე ზრდასრულებისგან ზეწოლის, სექსუალური შევიწროების თუ ძალადობის მიმართ. საქართველოში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როცა მოზარდებს გაცილებით უფროსები სთხოვენ შიშველი ფოტოების გაგზავნას, აბამენ მათთან ეროტიკული შინაარსის მიმოწერას, აშანტაჟებენ ამ მიმოწერით და მათი ნების საწინააღმდეგო ქმედებების ჩადენას სთხოვენ.
- **პირადი მონაცემების დაცვა:** გამოქვეყნებული ფოტოებით მათ შეიძლება ადვილად გასცენ ინფორმაცია იმ სკოლების შესახებ, რომლებშიც სწავლობენ; მარშრუტზე, რომელსაც დღის განმავლობაში გადიან; თავიანთ ინტერესებსა და ემოციებზე, რაც მათ მავნე პირებისთვის მოწყვლადს ხდის და მონაცემთა მოპარვის რისკის წინაშე აყენებს. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვების შესახებ ინფორმაციისა და ფოტოების გავრცელებისას უფროსებსაც გვმართებს სიფრთხილე.
- **დამოკიდებულების რისკი:** სოციალური ქსელების ალგორითმები განკუთვნილია მომხმარებლების ყურადღების ხანგრძლივი დაკავებისთვის, რაც ბავშვებში იწვევს დამოკიდებულებას და ხელს უშლის მათ ნორმალურ განვითარებასა და სწავლაში.
- **აკადემიური შედეგების გაუარესება:** სოციალური ქსელების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება შეამციროს კონცენტრაცია, რაც უარყოფითად აისახება სასკოლო დავალების შესრულებაზე. სოციალურ მედიაში გატარებული დრო ბავშვების დასვენებისთვის, გართობისა და მეცადინეობისთვის წართმეული დროა. ჯობს, მათ ხარისხიან გართობასა და დასვენების უნარების გამომუშავებაში დავეხმაროთ.
- **არასათანადო შინაარსთან წვდომა:** ბავშვები ადვილად შეიძლება წააწყდნენ ძალადობრივ, სექსუალურ ან სხვა არასასურველ კონტენტს, რაც დააზიანებს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას.
- **კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა:** 13 წლამდე ბავშვები ჯერ კიდევ არ ფლობენ კრიტიკული აზროვნების ისეთ უნარს, როგორიც აუცილებელია დეზინფორმაციისა და მანიპულაციური კონტენტის ამოსაცნობად. მაგალითად, 2020 წელს ტიკ-ტოკზე გავრცელებულ „Benadryl Challange“-ს რამდენიმე ბავშვის სიცოცხლეც კი ემსხვერპლა. გამოწვევის ფარგლებში მოზარდები წამალ ბენადრილის გადაჭარბებულ დოზას იღებდნენ, რომელსაც ჰალუცინაციების გამოწვევა შეეძლო.
- **დასვენებისა და ფიზიკური აქტივობის დეფიციტი:** სოციალური ქსელების გადაჭარბებული გამოყენება ამცირებს ფიზიკურ აქტივობას, რაც უარყოფითად აისახება ჯანმრთელობასა და ზოგად განვითარებაზე.
- **სოციალური უნარების დაქვეითება:** ბავშვები, რომლებიც ბევრ დროს ატარებენ ონლაინ, ხშირად ნაკლებად ვითარდებიან სოციალურ ურთიერთობებსა და რეალურ კომუნიკაციაში. დროთა განმავლობაში ხდებიან ჩაკეტილი ან ცოცხალ ურთიერთობებს ვირტუალური ნაცნობებით ანაცვლებენ, რაც მათ მოწყვლადს ხდის და გარკვეულწილად პარალელურ რეალობაში აცხოვრებს.
- **ნეგატიური როლური მოდელები:** სოციალურ ქსელებში ხშირად ხდება არასათანადო ქცევის პროპაგანდა, მაგალითად, აგრესია ან ზედმეტი მატერიალიზმი, რაც გავლენას ახდენს ბავშვების ღირებულებებზე. „ინფლუენსერების“ გაზრდილი როლის პირობებში ეფემერული წარმატებებითა და მყიფე პოპულარობით მათი ცდუნება შესაძლოა უფრო მიმზიდველი იყოს, ვიდრე ღირებულებებზე დაფუძნებული აკადემიური განათლება და ბეჯითი შრომით მიღწეული წარმატება.
- **ემოციური რეგულაციის უნარის დაქვეითება:** „ლაიქებისა“ და „კომენტარების“ რაოდენობის კონტროლი ბავშვებში იწვევს ემოციურ დამოკიდებულებას სხვების მხრიდან აღიარების მიმართ.

სოციალური ქსელების შეზღუდვის ალტერნატივა: მოზარდებს შეუძლიათ ინტერნეტისა და ეკრანების გამოყენება ისეთი საქმეებისთვის, რაც მათ გაართობს, დაინტერესებს და დანაკლისის განცდას არ გაუჩენს. შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად, სხეულზე ზრუნვის ჩვევების გამოსამუშავებლად და თვითგანათლების პროცესის დასაორგანიზებლად განკუთვნილი ონლაინკურსების, აპლიკაციებისა და გზამკვლევების გამოყენება მათ უნარებს გაცილებით სანდო კალაპოტს მისცემს და ტექნოლოგიების სამყაროში ნავიგაციასაც უფრო უსაფრთხო გზებით ასწავლის.

დიანა ანფიმიადი

რედაქტირების რუტინა აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლისათვის

ტექსტის წაკითხვისა და გასწორების, რედაქტირების გამართული პროცესის დაგეგმვა მოსწავლეთა აქილევსის ქუსლია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე ელექტრონული რედაქტირების გვერდი და აპლიკაცია არსებობს, მათ შორის ქართულ ენაზე, რედაქტირებული და მოწესრიგებული საშინაო დავალება მაინც იშვიათი სიამოვნებაა.

ციფრული კომუნიკაციის ეპოქამ რედაქტირების სირთულეებს ახალი, ციფრული კვალი დააჩნია. მაგალითად, ჩვენი მოსწავლეები თითქმის აღარ იყენებენ აბზაცებს, პუნქტუაციის ნიშნებს, არ ზრუნავენ ტექსტის ერთგვარ ეკოლოგიაზე, რომელიც მნიშვნელოვანი უნარია, რადგან თვითორგანიზაციისა და დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებელი კომპონენტია.

განსაკუთრებული სირთულე რედაქტირების ნაწილის შესასრულებლად შეიძლება ჰქონდეთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, თუმცა, თუ განვაზოგადებთ, სპეციალური და განსაკუთრებული საგანმანათლებლო მიდგომა და საჭიროება ყველა მოსწავლეს აქვს, რედაქტირება ყველასთვის რთული და მოსაბეზრებელი რუტინაა, მაგრამ აუცილებელი.

როგორ უნდა ვასწავლოთ ტექსტის რედაქტირება აუტიზმის მქონე მოსწავლეს? – რასაკვირველია, მისთვის ყველაზე გასაგები და მარტივი – სტრუქტურირებული და თვალსაჩინო რეკომენდაციებით, რომლებიც წინასწარ უნდა მოვამზადოთ.

როგორ უნდა მოვიქცეთ?

წინასწარ შევქმნათ რედაქტირების გეგმა:

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიები იყოს სტრუქტურირებული, ვიზუალური და ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ განსახორციელებელი. აუცილებელია, გეგმა ისე იყოს შედგენილი, რომ მოსწავლეს სწავლა დაასწავლოს, პრაქტიკული ჩვევები გამოუმუშაოს.

აუცილებელია, რომ მოსწავლემ იცოდეს, რისთვის სჭირდება რედაქტირება და როგორ უნდა გააკეთოს. ამისათვის წინასწარ განვსაზღვროთ ეტაპები:

მაგალითად:

- შეცდომების მოძიება,
- გაუმჯობესების ვარიანტების განხილვა,
- საბოლოო რედაქტირება.
- დაგვჭირდება კონკრეტული საკონტროლო სია – ვიზუალური ან წერილობითი, რომელიც მოსწავლეს გაახსენებს, რა უნდა გადაამოწმოს. მაგალითად: გასაგებია თუ არა ძირითადი აზრი? სიტყვები სწორად არის გამოყენებული? არის თუ არა გრამატიკული შეცდომები?
- ვიზუალური მხარდაჭერა: ვიზუალური საშუალებები აუტიზმის მქონე მოსწავლეებისთვის ეფექტურია. მაგალითად: ფერადი კოდირება, სადაც მორფოლოგიური შეცდომა მწვანე იქნება, სინტაქსური – წითელი, ლექსიკური – ლურჯი, სტილისტიკური – იასამნისფერი, აზრობრივი – ყვითელი.
- დაგვჭირდება ტექსტის სტრუქტურის ვიზუალიზაცია, მაგალითად, აბზაცების გაყოფა და ძირითადი აზრის გამოკვეთა. ცვლილებამდელი და შემდგომი ტექსტების თვალსაჩინო შედარება და სხვა.
- წინასწარ მომზადებული ტექნოლოგიური მხარდაჭერა, მაგალითად, ტექსტის მოსმენა ან სხვადასხვა სახის გრამატიკული დამხმარე აპლიკაცია თუ ავტოკორექტორი.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

1. გასაგებია ტექსტის შინაარსი?
2. ზედმეტი წინადადებები ხომ არ არის?
3. ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია?
4. სწორად წერია სიტყვები?
5. სწორად წერია წინადადებები?
6. აბზაცები გამართულია?
7. წინადადებები გრძელია თუ მოკლე (შეგვიძლია თუ არა, წინადადებაში სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა წინასწარ გავწეროთ)?
8. ყველა წინადადება მთავრდება წერტილით, კითხვითი ან ძახილის ნიშნით?
9. ფრჩხილები, მძიმეები და სხვა სიმბოლოები სწორად არის გამოყენებული?
10. გამოყოფილია აბზაცები?
11. ტექსტი მარტივად იკითხება?
12. თავიდან ბოლომდე წაიკითხე?
13. დაუსვი საკუთარ თავს კითხვები ტექსტზე?
14. საჭირო ცვლილებები შეიტანე და კიდევ ერთხელ გადაამოწმე?
15. რამდენი შეცდომა იპოვე?
16. რომელ ნაწილში გაქვს ყველაზე მეტი შეცდომა?
17. რა ისწავლე რედაქტირებისას?
18. რომელი საკითხია, რომელიც ბოლომდე ვერ გაარკვიე?
19. რომელი საკითხია, სადაც მენტორის დახმარება დაგჭირდება?

ასეთი ინსტრუქციები ყველა მოსწავლეს გამოადგება, შეგიძლიათ ცვალოთ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ან ახალი ამოცანები დაუსახოთ.

ლელა მანგოშვილი

ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში

ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში გულისხმობს ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების სკოლაში ინტეგრირების პროცესს.

მისი მიზანია, მოსწავლეებისთვის განათლება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, მოქნილი და პერსონალიზებული. ამასთან, მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ უფრო ეფექტურად. ეს გულისხმობს სწავლების ტრადიციული მეთოდების გადახედვას და ახალ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან ადაპტაციას.

განვიხილოთ ციფრული ტრანსფორმაციის რამდენიმე მიმართულება.

აპარატურა და მოწყობილობები

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა საკლასო ოთახების ძირითადი ინსტრუმენტები ტრადიციული დაფებიდან და სახელმძღვანელოებიდან ციფრულ დაფებამდე და ელექტრონულ მოწყობილობებამდე გარდაქმნა.

სკოლები ახლა იყენებენ ლეპტოპებს, პლანშეტებსა და სმარტფონებს სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

ტექნიკისა და მოწყობილობების ინტეგრაციამ საკლასო ოთახებში სწავლა ინტერაქციული, მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გახადა.

ონლაინ და შერეული სწავლება

ონლაინ და შერეული სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ინტერნეტის, მობილური მოწყობილობების და ონლაინპლატფორმების (Microsoft Teams, Google Classroom, Zoom) გამოყენებით მიიღონ საგანმანათლებლო რესურსები და ჩაერთონ სასწავლო აქტივობებში ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს.

სწავლის ეს მოდელი უფრო მეტად მოქნილია მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სურთ, ისწავლონ მათზე მორგებული გრაფიკით.

პერსონალიზებული სწავლება

პერსონალიზებული სწავლება არის განათლების მიდგომა, რომელიც აღიარებს, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს უნიკალური სასწავლო საჭიროებები, ინტერესები და ძლიერი მხარეები. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მათზე მორგებული ინსტრუქციების შესაბამისად წარმართონ სასწავლო პროცესი, ნაცვლად ერთი მიდგომისა, რომელიც ხშირად გამოიყენება ტრადიციულ საკლასო ოთახებში.

პერსონალიზებულ სწავლებაში მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების როლი და ადაპტური სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც შეუძლია, შეცვალოს მასალის სირთულის დონე მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კვლევების მიხედვით, სწავლისადმი პერსონალიზებული მიდგომით გაუმჯობესდა მოსწავლეთა ჩართულობა, მოტივაცია და აკადემიური მოსწრება.

ხელოვნური ინტელექტი (AI) CHATGPT

AI-ს ჩატბოტები მოსწავლეებს სთავაზობენ მყისიერ და მათზე მორგებულ მხარდაჭერას, პერსონალურ დახმარებას, უამრავ კითხვაზე პასუხს, რაც საბოლოოდ აუმჯობესებს მათი სწავლის დონეს და მიღწეულ შედეგებს.

AI-ს ასევე შეუძლია დაეხმაროს მასწავლებლებს გაკვეთილებისა და პროექტების მომზადებაში, ტესტების, სამუშაო ფურცლების, შეფასებებისა და სხვა სასწავლო მასალების შექმნაში.

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მეშვეობით საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ, გააანალიზონ დიდი რაოდენობის მონაცემები და გააკეთონ პროგნოზები შაბლონებსა და ტენდენციებზე დაყრდნობით.

გემიფიკაცია

განათლებაში გემიფიკაცია ნიშნავს თამაშის ელემენტების დამატებას (ქულები, სამკერდე ნიშნები...), რათა სწავლა უფრო სახალისო და საინტერესო გახდეს, გაიზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა.

გემიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტია სამკერდე ნიშნების და ლიდერბორდების გამოყენება, რომელსაც შეუძლია, წაახალისოს ჯანსაღი კონკურენცია მოსწავლეებს შორის, ასევე ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის უნარების განვითარებას, რადგან ისინი ერთად მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად.

Duolingo, ენის შემსწავლელი აპლიკაცია, გემიფიკაციის ცნობილი მაგალითია. ის იყენებს ჯილდოების სისტემას, სამკერდე ნიშნებს და პროგრესის ტრეკერებს.

ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა

ვირტუალური რეალობა (VR) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, შეისწავლონ 3D-სამყარო, ხოლო გაძლიერებული რეალობა (AR) ციფრულ ინფორმაციას რეალურ სამყაროში ათავსებს. ეს ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში, ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა სამეცნიერო ექსპერიმენტები ან ვირტუალური საველე ვიზიტები.

მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ VR უძველესი ცივილიზაციების მოსანახულებლად. AR-ის საშუალებით შესაძლებელია სახელმძღვანელოს სტატიკური გამოსახულების გაცოცხლება.

ონლაინ მოკლე კურსები

ონლაინ მოკლე კურსები მოსწავლეებს სთავაზობს უამრავ სარგებელს, აცნობს ისეთ თემებსა და საგნებს, რომლებსაც შეიძლება არ შეეხონ ტრადიციული სწავლების პროცესში. მათ შეუძლიათ, განივითარონ ახალი უნარები, ისწავლონ კოდირება, გრაფიკული დიზაინი ან საჯარო გამოსვლა, რაც შეიძლება იყოს ღირებული როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის გარეთ.

მონაცემთა ანალიტიკა

სწავლის მართვის სისტემები (LMS) მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მასწავლებლებს შეუძლიათ, მიიღონ ინფორმაცია მოსწავლეთა დასწრებისა და სწავლის შესახებ, თვალყური ადევნონ მათ პროგრესს.

მაგალითად, თუ მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს კონკრეტული კონცეფცია, მასწავლებელს შეუძლია, შეცვალოს გაკვეთილის გეგმა, გამოიყენოს სწავლების განსხვავებული მიდგომა.

განათლებაში ციფრული ტრანსფორმაციის საბოლოო მიზანია სწავლის შედეგების გაუმჯობესება, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა და მუდმივად განვითარებად ციფრულ სამყაროში წარმატების მისაღწევად მომზადება.

გამოყენებული რესურსები:

1. https://diplomasafe.com/digital-transformation-trends-in-education/
2. https://www.twentyideas.com/blog/top-digital-transformation-trends-education



თინათინ ზარდიაშვილი

ლიტერატურა ბუნების გაკვეთილებზე

ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის პიროვნული თვისებებისა და უნარების განვითარებაში, ადამიანის მკითხველად ჩამოყალიბებაში, ანალიზისა და განზოგადების უნარების გაუმჯობესებაში. მე ლიტერატურა ბუნების სწავლების პროცესში ძალიან ეფექტურად გამოვიყენე. პლანეტები, კოსმოსი, ციური სხეულები მოსწავლეებისთვის შეუცნობელი და ამავე დროს უზომოდ საინტერესოა, უამრავი კითხვა აქვთ და პასუხსაც უსწრაფესად მოელიან. ესგ-ის ბუნებისმეტყველების სტანდარტის შესაბამისად, ასტრონომიის ნაწილი მეხუთე კლასში ისწავლება. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის შესაბამისად კი, მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეებს სხვადასხვა სახის უნარი განუვითაროს მრავალი მიმართულებით. ამ მიზნით მრავალფეროვანი აქტივობები განვახორციელე. მაგალითად, მოამზადეს კომიქსები, სადაც გმირები მათ მიერ არჩეული პლანეტები იყვნენ, შექმნეს მოთხრობები, აალაპარაკეს ციური სხეულები, დახატეს და დაამზადეს მზის სისტემის მოდელები. ჯგუფებს შორის ჩავატარე ვიქტორინა და გამოვლინდა გამარჯვებული ჯგუფი. საბოლოოდ, მშობლებს წარვუდგინეთ მოსწავლეების ნახატები. მოსწავლეების მოთხრობების გამოყენებით შევქმენი სცენარი, რომელსაც ქვემოთ გიზიარებთ. სცენარის შექმნისას ასევე გამოვიყენე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ის სტროფები, რომლებშიც ავთანდილი პლანეტებს ესაუბრება. აქ პლანეტების ძველქართული სახელებია. თითოეული სტროფი გავარჩიეთ გაკვეთილზე და პლანეტის თვისებები შევუსაბამეთ პოემაში წარმოდგენილ ინფორმაციას.

ერთი გაკვეთილი დავუთმე ვაჟა-ფშაველას ტექსტს ,,რა თქვა დედამიწამ“. ყველა აბზაცი დეტალურად გავშიფრე მოსწავლეების დახმარებით, სცენარში ტექსტის მხოლოდ მცირე მონაკვეთი გამოვიყენე. ვისაუბრეთ მზის, ვენერას, მთვარისა და სხვა ციური სხეულების გავლენაზე სხვადასხვა კულტურასა და ადამიანის ცნობიერებაზე. მოსწავლეებმა შეისწავლეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები მარსსა და ვარსკვლავებზე. რა თქმა უნდა, მეხუთეკლასელებისთვის გალაკტიონის ლექსის დეტალიზაცია სრულიად ზედმეტია, ამიტომ ზოგადად განვიხილეთ ქართულის მასწავლებელთან კონსულტაციის შემდეგ. გამოვიყენე სვანური სიმღერის ტექსტი, რომელიც მზის ღვთაების, ლილესადმია მიძღვნილი. სიმღერები და ცეკვები შევარჩიე მოსწავლეებისა და მუსიკის მასწავლებლის დახმარებით. მათ ასევე მოიძიეს ინფორმაცია იმ ქართული ცეკვების შესახებ, რომლებიც მზეს და სხვა ციურ სხეულებს უკავშირდება. ლიტერატურა ბუნებრივი მოვლენების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეები ტექსტებში ეძებდნენ ქიმიურ და ფიზიკურ მოვლენებს, გაეცნენ სინათლის არეკვლასა და ჩრდილის წარმოქმნის მიზეზს, წყლის სამ აგრეგატულ მდგომარეობას, აორთქლებას, კონდენსაციას, დნობასა და გამყარებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ დავიწყებიათ მეგობრობის როლი პლანეტების ურთიერთობაში. ყველა გაკვეთილი სახალისო და საქმიანი გამოვიდა. უკეთესად ურთიერთობდნენ ჯგუფური მუშაობის შემდეგ, ინაწილებდნენ როლებს. ვიმედოვნებ, ეს სცენარი ახალ იდეებს გაუჩენს მკითხველს, რაც უფრო საინტერესოს გახდის ჩვენი ახალგაზრდებისთვის სასკოლო ცხოვრებას.

მთხრობელი: ძველად, სულ ძველად, კოსმოსურ სივრცეში ცისფერი პლანეტა დაიბადა. მან თვალები გაახილა და მოღიმარი, ალერსიანი მზე დაინახა. მზემ დედამიწას სხივები დააფრქვია, გაათბო და გაანათა. ჩვენი პლანეტა უფრო გალამაზდა. ძალიან მოუხდა ჰაერის ცისფერი მოსასხამი და ცისფერი ქუდი.

მზე: შვილო, რა ლამაზი ხარ! დღეიდან ერთად ვიქნებით. შენ სულ ჩემ ირგვლივ იტრიალებ.

დედამიწა: რა კარგია! თვალს არასოდეს მოგაშორებ.

მზე: როცა შებრუნდები, ვერ მნახავ. ამას ღამე ჰქვია. არ შეგეშინდეს. მე შენ მეგობარს გამოგიგზავნი.

მთხრობელი: ღამე მოვიდა და ცაზე ვარსკვლავები მოაბნია. დედამიწა ვარსკვლავების თვლას შეუდგა. თვალა, თვალა, მაგრამ ყველა ვერ დათვალა. ეწყინა და გაიბუტა.
უცებ გვერდით ვიღაც ამოუდგა.

დედამიწა: შენ ვინ ხარ?

მთვარე: მე მთვარე ვარ, შენი თანამგზავრი, დღეიდან სულ შენ ირგვლივ ვიტრიალებ.

მთხრობელი: რა ლამაზი იყო მთვარე! ისიც ხომ მზისგან დედამიწაზე გამოგზავნილი სხივებით იყო განათებული.

დედამიწა: არასოდეს მიმატოვებ?

მთვარე: არასოდეს. ჩვენ ერთმანეთს უჩინარ ხელებს ჩავჭიდებთ, ერთმანეთს შევაკავებთ, სულ ასე ვიქნებით.

მთხრობელი: ასე დამეგობრდნენ დედამიწა და მთვარე. მიდიოდნენ, ტრიალებდნენ და ერთმანეთს დღისა და ღამის ზღაპრებს უყვებოდნენ.

მთხრობელი: სამი ციური სხეული დანარჩენ პლანეტებთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა გალაქტიკაში. ესენი იყვნენ უზარმაზარი „ჯუჯა“ ვარსკვლავი მზე, პატარა პლანეტა დედამიწა და სატელიტი – მთვარე. ერთ დღეს მზეს კითხვები გაუჩნდა. აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა.

მზე: ნეტა როგორი ვარ? როგორ დავინახო საკუთარი თავი? ნეტა სარკე მქონდეს.

მთხრობელი: უცებ მთვარე გაახსენდა მისი ვერცხლისფერი ზედაპირით და ჩაფიქრდა.

მზე: მთვარეს ხომ სარკესავით ზედაპირი აქვს, იქნებ ის დამეხმაროს. წავალ და ვკითხავ.

მთვარე: გამარჯობა, მეგობარო. როგორ ხარ? რამ შეგაწუხა? ხომ მშვიდობაა ჩვენს გალაქტიკაში?

მზე: კარგად ვარ. როგორც ჩანს, შენთანაც ყველაფერი რიგზეა. მე დახმარების სათხოვნელად მოვედი.

მთვარე: თუ შემიძლია, სიამოვნებით დაგეხმარები.

მზე: მაინტერესებს, როგორ გამოვიყურები და შეიძლება, შენს სარკეში ჩავიხედო?

მთვარე: დაგეხმარები, სანაცვლოდ შენც რამე უნდა გააკეთო ჩემთვის.

მზე: თუ გინდა, ღამით ჩემ ნაცვლად შენ ანათე, მე მაგ დროს დავისვენებ.

მთვარე: მე თანახმა ვარ, ღამით შენ მაგივრად ვანათო, ამ დროს შენი სარკე ვიქნები.

მთხრობელი: მზე და მთვარე შეთანხმდნენ. დღისით მზე ანათებდა, ღამით – მთვარე. მზე ყოველდღე ხედავდა საკუთარ თავს სარკეში, ტკბებოდა სილამაზით. მთვარეც ამოდიოდა და ჩადიოდა, დღეს ღამე მოსდევდა, ღამეს – დღე, მზე და მთვარე კი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს მთვარემ შეიფერა მდგომარეობა, განდიდების მანიამ შეიპყრო.

მთვარე: მზეო, მზეო... რა იქნება, მე ღამის მზე რომ მერქვას? ან უბრალოდ მზე? კიდევ უკეთესი, თუ შენ დღის მთვარეს დაგიძახებენ.

მზე და მთვარე წაიკიდნენ,
არა მე და არა მეო,
მზე ჰფიცავს, დღე გავანათე,
მთვარე ტირის, მე – ღამეო.
ნეტავ რომელს დავუჯერო
და ვირწმუნო რომლის ფიცი?
მზე თუ მთვარე გავამართლო,
მომეხმარეთ, აღარ ვიცი!

მანანა ტონია

ნათელმა მთვარემან ბრძანა:
„ბევრით მე ვჯობივარ მზესა!“
დაჯდა და წიგნი დაწერა,
ზენა ქარი მიართმევსა.
მზეს რომ წიგნი მიუვიდეს,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვსძულდებით ერთმანეთსა?!

ლიტერატურა ბუნებრივი მოვლენების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეები ტექსტებში ეძებდნენ ქიმიურ და ფიზიკურ მოვლენებს, გაეცნენ სინათლის არეკვლასა და ჩრდილის წარმოქმნის მიზეზს, წყლის სამ აგრეგატულ მდგომარეობას, აორთქლებას, კონდენსაციას, დნობასა და გამყარებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ დავიწყებიათ მეგობრობის როლი პლანეტების ურთიერთობაში.

ავი ამინდი რომ დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა,
მცივან კაცს ხომ ვერ გაათბობს,
თუ არ დაინთებდის ცეცხლსა.
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხეთ ძირს ღამის მეხრესა".
ღამის მეხრე დაიბარეს,
ულვაშებზე ისვამს ხელსა.
„დაჯე, ბიჭო, სწორადა თქვი,
თორემ მიგცემთ სატანჯველსა!" –
დასვეს და ალაპარაკეს,
მეუფე ყურს დაუგდებსა:
„მე უმზეოდ როგორ გავძლებ,
ღამეს კი გავტეხავ ბნელსა, –
დღისით შევზვერავ ბალახებს,
ღამით მივრეკავ ხარებსა".
ერთი მაზარა უბოძეს,
ღამე მავალია ესა;
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,
მზე მთვარეს შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
ძლივს თავის ტყავს მოათრევსა,
გათენებისას ამოდის, –
პანღური ჰკრეს, გააგდესა.
შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,
ის ძალიან დაათვრესა,
ხალათი გამოუცვალეს,
კაი ჩოხა ჩააცვესა".

ხალხური

მთხრობელი: მზე გაბრაზდა. რადგან სხვა სარკე არ ჰქონდა, დასახმარებლად დედამიწას მიმართა.

მზე: გამარჯობა, დედამიწავ. როგორ ხარ? ხომ კარგად გათბობენ ჩემი სხივები?

დედამიწა: გამარჯობა, ჩემო ვარსკვლავო. ისე კარგად მათბობენ, რომ ჩემს თავზე ორთქლის ღრუბლები დალივლივებენ, ოკეანეებში აისბერგები დაცურავენ და ჟუჟუნა წვიმაც არ მავიწყებს თავს.

მზე: ძალიან მიხარია. მე კი შენი დახმარება მჭირდება.

დედამიწა: მითხარი და თუ შემიძლია, აუცილებლად დაგეხმარები.

მზე: ალბათ გეცოდინება, მთვარე მეხმარებოდა, ის ჩემი სარკე იყო. ახლა მომთხოვა, რომ მე მერქვას მთვარე, ან დილის მზე. არადა, ხომ იცი, სამყაროში მზე მთავარია, ცენტრია და ყველა პლანეტა მის ირგვლივ ტრიალებს საკუთარი თანამგზავრებით.

დედამიწა: კი მაგრამ, რა შემიძლია, შენთვის გავაკეთო?

მზე: შეგიძლია, ჩრდილის წარმოქმნაში დამეხმარო? ჩადექი ჩემსა და მთვარეს შორის და ის შენი მაცხოვრებლებისთვის ყოველთვის მრგვალი არ იქნება, დაემსგავსება მწიფე ბანანს.

დედამიწა: კარგი, დაგეხმარები.

მზე: დიდი მადლობა. ძალიან მიხარია, სანაცვლოდ რომ არაფერი მთხოვე. შენ ნამდვილი მეგობარი ხარ.

მთხრობელი: მას მერე დედამიწა და მზე შეთანხმებულად მოძრაობენ, დედამიწა ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, მთვარეც ხან ბურთივით მრგვალი ჩანს, ხან მწიფე ბანანს ჰგავს. მას ამ დროს ნამგალა მთვარეს ეძახიან.

მორალი: იყავი ის, რაც ხარ, თუ შეუძლებელს მოითხოვ, ისევ შენ დაზარალდები.

სიმღერა: „მზე დედაა ჩემიო"

სიმღერა: „მზე ვარ, მზე ვარ"

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა".

ჰე მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!
მართალი ვარ, გამიკითხე! რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა?

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა.

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვითა თმასა.

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ ვწვლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ვბნდები,
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.
მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი"

ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის პიროვნული თვისებებისა და უნარების განვითარებაში, ადამიანის მკითხველად ჩამოყალიბებაში, ანალიზისა და განზოგადების უნარების გაუმჯობესებაში. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის შესაბამისად მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეებს სხვადასხვა სახის უნარი განუვითაროს მრავალი მიმართულებით.

გალაკტიონ ტაბიძე
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!

ვარსკვლავი იწვის, ვარსკვლავი ბრწყინავს,
ვარსკვლავიანი კამარა ელავს,
მოდის, მოცურავს შუაღამის ბინდი
და ჩრდილი ჩრდილზე მიდის, მიღელავს...
რძისფერ სინათლით გარშემოხვეულს,
ბავშვური ძილით ქვეყანას სძინავს...
ვარსკვლავიანი კამარა ელავს,
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს...
მომხიბვლელ ჯადოს მყუდროებისას
ქვეშ მოჰყოლია მაღალი მთები
და მუდმივ თოვლით გადაფარულნი
სხედან ამაყად, როგორც მდევები.
და ყინულისგან ქანდაკებული,
მათი გვირგვინი ბრწყინავს და ბრწყინავს.
სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნიავი,
ტყისა ფოთლებში როცა დაჰფრინავს
და მისი სუნთქვა, ვით დედის ნანა,
მძინარე სოფელს თავზე ევლება,
ალერსიანი ნიავი დაჰქრის,
ალერსიანი ნიავი კვდება...
ვდგევარ მთის წვერზე განმარტოებით,
გულშივ ვიკავებ მომსკდარ სიმღერას –
ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს
სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას...

გალაკტიონ ტაბიძე
მარსი

გზაზე არ მოჩანს არსით,
მხოლოდ ქარი ჰქრის ნელა,
ცაზე ანათებს მარსი
და ქვეყანაზე ბნელა.
ცაზე სანთლები დარგეს,
ნისლში მოძრაობს არსი,
მძინარ მდინარის სარკეს
დასჩერებია მარსი.
სულ სხვანაირად იცავს
მის რონინებას თარსი,
უახლოვდება მიწას
და ისევ ჰქრება მარსი.

სვანური სიმღერა
ლილეო

სავარაუდოა, რომ სვანური ლილე შუმერთა ენლილეს შემონახული სახეა,თუმცა ქალღმერთის სახედაა ქცეული, ვინაიდან სასიმღერო ტექსტებში მას „სინათლის დედად“ მოიხსენიებენ. ფრაგმენტებიდან დამუშავებული და სიმღერის გადმოქართულებული ტექსტი შესატყვისია და დაახლოებით იძლევა ამ მრავალათასწლოვანი ჰიმნის სიტყვიერ, ინტონაციურ და აზრობრივ სურათს

წყარო: აკაკი გელოვანი. „მითოლოგიური ლექსიკონი“. 1983.

ლილეო-და დიდება შენდა!
სინათლის დედავ, ნუ ჩახვალ, დარჩი!

ო, თეთრო მზეო, დიდება შენდა!
შენ ხარ იმედი პირმშოთა შენთა!
სინათლის დედავ, ნუ ჩახვალ, დარჩი!
მსხვერპლად შეგწიროთ ჯიხვი და არჩვი
სამთის ფერხულით გაგიძღვეთ წინ და
ფიქალის კოშკი აგიგოთ წმინდა,
რომ მისი მსგავსი არ იყოს არსად,
ქორ-შევარდენი უვლიდეს გარსა,
არწივი კრავდეს კამარას მაღლა,
შუნი და ჯიხვი წვებოდეს დაბლა!
ოქროს სასახლე გიდგას, ლილეო,
ოქროს გალავნით თვალს გაგიხარებს.
მთა საბუღრაოდ ეცოტავებათ
ოქროსრქებიან შენს საღმრთო ხარებს.
იალაღებზე რომ ბუღრაობენ,
იდრიკებიან თეთრი ქედები.
საღვთო ვერძებიც არყევენ ბურჯებს
შავი საუფლო რქების კვეთებით.

ჯახი მთაგრეხილს ხერხემალს ურყევს
და აქანავებს ცათა სწორ მურყნებს.
ო, თეთრო მზეო!
ჩვენდა იმედად რონინობ ცაზე,
ათასი წელი გადიდებთ ასე:
დიდება შენდა! დიდება შენდა!
გვარიდე სუსხი, სენი და სევდა,
ნუ მიგვატოვებ პირმშოთა შენთა!
იმედით სავსე,
შენ კი ჩადიხარ...
დიდება შენდა!

გაინტერესებთ, რა ათქმევინა ვაჟა-ფშაველამ დედამიწას?

– მე ვარ დედა, მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს თუ არა ჩანს, ყველას ჩემს კალთაზე უძევს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდოობს. შემოქმედმა მე დამბადა ყველა არსთა სიცოცხლის წყაროდ. გარეშე ჩემსა სულ პატარა მწყერსაც კი სული ამოჰხდება. ამიტომ არის, რომ დედას მიწოდებს ყოველი არსი. ვამაყობ ჩემის თავით, ჩემის სახელით.

– მრავალი, აუარებელი საქმე მაქვს, დიდი მძიმე ტვირთი მკიდია ზურგზე, მაგრამ არ ვდრკები. არ ვტირი, არ ვჩივი, მუდამ სველი მაქვს უბე და კალთები. ჩემს გულმკერდზე დიან მდინარენი. სდგანან ოკეანენი; უნდა იდინონ, უნდა მასველონ, უნდა მე ვითმინო, ხოლო ჩემმა შვილებმა გაიხარონ, ყველამ, განა თუ ერთმა და ორმა?!

– არა, არა, მე გული მიკვდება, მე ვიტანჯები, ავად ვარ, უძლური, უნაყოფო, მაშინ, როცა ყველა ჩემი შვილი ერთნაირად არ გაიხარებს ჩემის ამაგით... დედა ვარ, დედა! იცით კი, დედის გული როგორია? ნუ გგონიათ, ყელმოღერებული, რქებზურგზეგადაწყობილი ირემი ტურფა და ლამაზი მერჩივნოს საწყალს, გაქუცულ წრუწუნა თაგვს. ნუ გგონიათ, ნუ დაიჯერებთ!

– ნუ დაიჯერებთ აგრეთვე, ნადირთა მეფედ წოდებული კლანჭმაგარი და გულმაგარი ლომი თრითინაზე, საწყალ თრითინაზე მეტად მიყვარდეს. რატომ? იმიტომ, რომ დედა ვარ, ჩემი გული, ჩემი გრძნობა სხვაა, თქვენი – სხვა; ბევრჯერ ბევრ თქვენგანსა რაც მოსწონს, მე მეწუნება.

– ადამიანო, თუ მე დედა ვარ და თქვენ – ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთიმეორეს პირიდან ლუკმას? რად გაქვსთ ზოგს ათასი ლუკმა და სხვას – ერთიც არა? ათასი ლუკმის პატრონო, ეგ ხომ ჩემი ამაგია, რად თავხედობ და იჩემებ იმას, რაც შენი არ არის, არც ყოფილა და არც როდისმე იქნება?

– გრცხვენოდეს! შენ მტარვალი ხარ, შენ სჯალათობ, მკვლელი ხარ ძმისა და მისთან ერთად მკვლელი ჩემის გულისა. დაიდე გულზე ხელი, განსაჯე, იფიქრე კარგად და მიპასუხე: შენია ეგ ათასი ლუკმა? შენი ღვაწლი, შენი ამაგია?

– „მე ვიშრომეო!“ და თუნდ მაგრე იყოს, დაე, შრომით და ოფლით გქონდეს შეძენილი ეგ ათასი ლუკმა, მითხარი: რად იშრომე, ვისი გულმკერდი ჰკაწრე და ჰღადრე? ჩემი, ჩემი! და უჩემოდ ყოველი ამაოა, როგორც ქროლვა ქარისა, როგორც ბობოქრობა მღელვარე ზღვის ზვირთთა.

– ეგ საბუთი მხოლოდ გულუბრყვილო ჩემი შვილების მოსატყუებლად გაკერია პირზე და ისინიც ტყუვდებიან. შენი შრომა მხოლოდ თამაშობაა, გართობაა და სხვა არა რა. და თვით შენი შრომა, როგორც შენ, ჩემი ამაგი ხარ, ჩემი და მხოლოდ ჩემი.

– ვინ მოგცა ნება, დაეპატრონო მომეტებულს ჩემს ნაწილს, როცა მე ყველას ვეკუთვნი საერთოდ, როგორც დედა... ვიტანჯე დიდხანს, მინდა დავისვენო, მინდა გავიხარო დღეს. მინდა ვნახო, რომ ძმა ძმას აღარ სჩაგრავდეს უსამართლოდ.

– ადამიანო! ნუ იკვეხი, ნუ თვალთმაქცობ, ნუ ამბობ: ჩემის სისხლით, ჩემის ოფლით მოვრწყე დედამიწა და, მაშასადამე, მე მეტი მეკუთვნისო... შენი სისხლი, შენი ოფლი იგივე ჩემი სისხლი, ჩემი ოფლი, ჩემი ამაგია, ჩემი ღვაწლი... იფიქრე, კარგად იფიქრე! ჩაუკვირდი, ჩაუკვირდი, რას გეუბნები.

ლელა კოტორაშვილი

ფოტოამბავი – წერითი დავალება

ყოველი გაკვეთილი ცოცხალი პროცესია. ამჯერად მომაფიქრდა, მოსწავლეების ინტერესები ჩამერთო დავალების ინსტრუქციის გაცნობის პროცესში და ვთხოვე, მობილური ტელეფონის გალერეაში მოეძებნათ ბოლოს გადაღებული ფოტო.

წერითი ინსტრუქცია სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს. რისი მიღწევა მსურს კონკრეტული წერითი დავალებით? – ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხიც მიზნის შესაბამისია: ტექსტის გაგება, ახალი სიტყვების სწავლა, აზრის ჩამოყალიბება, პირადი მოსაზრების დაფიქსირება, მოსწავლეთა ინტერესების გაცნობა... შემდეგ იწყება წერითი დავალების ფორმასა და ინსტრუქციაზე ფიქრი, მოსწავლეებისთვის შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით დავალების დაწერა, მათთვის წაკითხვა და ბოლო ეტაპი არის წარმართვა იმ პროცესისა, რომელსაც მე ვუბიძგე – მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ საკუთარ ნაშრომებს, ვუსმენ, საინტერესო წინადადებებს/სიტყვებს ვინიშნავ და უკუკავშირს ვაძლევ.

„დღის ფოტოამბავი“ – ამ სტატიაში მოგიყევით, თუ როგორ გამოვიყენეთ მუზეუმში სტუმრობისას გადაღებული ფოტოები შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებად. კვლავ ამ წერითი დავალების შესახებ გიზიარებთ ჩემს გამოცდილებას, ამჯერად – განსხვავებული ინსტრუქციით.

დეკრეტული შვებულების შემდეგ სკოლაში დაბრუნება რომ გადავწყვიტე, გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, თუ რომელი აქტივობა შემერჩია ჩვენი პირველი შეხვედრისთვის. მსურდა, ერთწლიანი განშორების შემდეგ მოსწავლეებს გაეზიარებინათ, რა მოხდა მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული, ისეთი რამ, რაც სურდათ, ჩემთვის მოეთხროთ.

მაინტერესებდა მათი პიროვნული განვითარება, რაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, როგორი ინტერესები ჰქონდათ, რას შეარჩევდნენ, როგორ მომიყვებოდნენ. ფოტოამბავი ერთგვარ მულტიმედიურ დავალებად იქცა – თან ფოტოს მიზიარებდნენ და თან წერილობით მიყვებოდნენ შერჩეული ფოტოს შესახებ.

მოსწავლეებისთვის წერითი დავალების შეთავაზებისას ამ ბოლო დროს შემდეგი თანმიმდევრობით ვმუშაობ:

I გაკვეთილი:

1. ინსტრუქციის მოფიქრება;
2. ინსტრუქციის მიხედვით დავალების დაწერა;
3. მოსწავლეებისთვის ინსტრუქციის გაცნობა, მისი საფეხურების დაფაზე ჩამოწერა და რვეულში ჩანიშვნა;
4. მოსწავლეების შეკითხვებისთვის, რომლებსაც გაუგებარი საკითხების შესახებ სვამენ, პასუხების გაცემა;
5. ჩემი დაწერილი დავალების მათთვის ხმამაღლა წაკითხვა.

II გაკვეთილი:

1. მოსწავლეები კითხულობენ დავალებას;
2. დღიურში ვინიშნავ წინადადებებსა და სიტყვებს, რომლებიც მომწონს;
3. წაკითხვის დასრულების შემდეგ ვუბრუნებ უკუკავშირს – ხმამაღლა ვუკითხავ ჩანიშნულ წინადადებებს, სიტყვებს, ვეუბნები, რა გამახსენა და რაზე დამაფიქრა მათმა ნაწერმა.

გამოვხატავ მადლიერებას, რომ აქ და ახლა ვართ, ვუსმენთ ერთმანეთს, ხმამაღლა მიკითხავენ და მიზიარებენ საკუთარ აზრებს. ეს არის ენერგიების გაცვლა-გამოცვლის გულწრფელი, ამაღელვებელი, დასაფასებელი, დასამახსოვრებელი პროცესი.

„ფოტოამბავი“ – წერითი დავალების ინსტრუქცია:

შეარჩიე ერთი ფოტო და გამაცანი შენი ცხოვრების ერთი ამბავი, რომელიც შენთვის მნიშვნელოვანი, გამორჩეული, განსაკუთრებულია. დაწერე თემა შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით:

- დაარქვი ფოტოს სათაური;
- აღწერე, რა ხდება ფოტოს გადაღებისას. ყურადღება გაამახვილე დეტალებზე, გარემოზე, განწყობაზე, ამინდზე...
- მომიყევი, რატომ შეარჩიე ეს ფოტო;
- იმსჯელე, შენი აზრით, რა როლი აქვს ფოტოს ადამიანის ცხოვრებაში;
- დასვი ერთი შეკითხვა ამ ფოტოსთან დაკავშირებით;
- შენი ნაწერი წაიკითხე ხმამაღლა, შეასწორე, რასაც საჭიროდ ჩათვლი.
  - შეგიძლია და ძალიან გამიხარდება, თუ თაბახის ფურცელზე ამობეჭდავ შერჩეულ ფოტოს;
  - თუ ვერ მოახერხებ, დახატე თაბახის ფურცლის დასაწყისში ისე, როგორც შეძლებ.
  - თუ დახატვაც არ გსურს, მაშინ დაწერე ფოტოს ამბავი ინსტრუქციის მიხედვით.

დღიურში ჩამოვწერე ინსტრუქცია, თაბახის ფურცელზე ამოვბეჭდე ჩემი შერჩეული ფოტო და ინსტრუქციის მიხედვით დავწერე ამბავი. გადავწყვიტე, მათთვის გამეზიარებინა ფოტო, რომელიც უნივერსიტეტის წინ ჩემი სამაგისტრო თემის დაცვის შემდეგ გადავიღე ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად. სათაურად დავარქვი „თანადგომის ძალა“, რადგან ოჯახისა და მეგობრების თანადგომის გარეშე ნამდვილად ვერ შევძლებდი კვლევასა და ნაშრომზე მუშაობას.

მთავარი გზავნილები ჩემი მოსწავლეებისთვის იყო ის, რომ მასწავლებლობა სწავლის დასრულებას არ ნიშნავს; მეგობრებისა და ოჯახის წევრების თანადგომა როგორი ძლიერი საყრდენია; ამ ფოტოზე არიან ჩემი ყოფილი მოსწავლეები რაჭიდან, ახლა უკვე სტუდენტები, და ჩემი მეგობრები – ამით იმის თქმა მსურდა ჩემი ახლანდელი მოსწავლეებისთვის, თუ როგორი ძვირფასია ჩვენი ერთად ყოფნა.

ჩემი ფოტოამბავი სრულდებოდა შეკითხვით, რომელიც მიზნად ისახავდა გოდერძი ჩოხელის რომან „წითელი მგლის“ შესახებ ცნობისმოყვარეობის აღძვრას:

„გინდათ, ერთ გაკვეთილზე გაგაცნოთ ყველაზე უშიშარი ჯარჯი, წითელ გველეშაპზე ამხედრებული გარსია და კაცი, რომელიც აყვავდა?“

ყოველი გაკვეთილი ცოცხალი პროცესია. ამჯერად მომაფიქრდა, მოსწავლეების ინტერესები

მთავარი გზავნილები ჩემი მოსწავლეებისთვის იყო ის, რომ მასწავლებლობა სწავლის დასრულებას არ ნიშნავს; მეგობრებისა და ოჯახის წევრების თანადგომა როგორი ძლიერი საყრდენია.



ჩამერთო დავალების ინსტრუქციის გაცნობის პროცესში და ვთხოვე, მობილური ტელეფონის გალერეაში მოეძებნათ ბოლოს გადაღებული ფოტო. კლასი გახალისდა, გულღიად ეცინებოდათ იმაზე დაკვირვებისას, თუ რა გადაიღეს ბოლოს. უცნაური, სახალისო და გულის ამაჩუყებელი პასუხები მოვისმინე, მაგალითად: დედისთვის გაგზავნილი „სქრინი“, რომელზეც სამი სიტყვა იკითხებოდა: „დე, აქ ვარ“, „კარფურის“ ფასდაკლებების სია, კლასელებთან ერთად გადაღებული „სელფები“, საყვარელი ცხოველები, პატარა და-ძმები...

წერითი დავალება „ფოტოამბავი“ ჩემს ოთხივე (VI, VIII, X) კლასს შევთავაზე და აი, რა ამბები დაატრიალა ერთმა დავალებამ:

- სხვადასხვა ასაკის 100-ზე მეტი მოსწავლე გააერთიანა. თაბახის ფურცელზე ზოგს ამოებეჭდა, ზოგს კი დაეხატა შერჩეული ფოტო. იმის წარმოდგენამ, თუ როგორი გულმოდგინებით იზრუნეს ინსტრუქციის თითოეულ ნაბიჯზე, მადლიერებით ამივსო გული.
- კლასის წინ სათითაოდ წაიკითხეს და ერთმანეთს მოუსმინეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრებაში. ასეთი პატარ-პატარა ნაბიჯებით, კლასის წინ წაკითხული საკუთარი ნაშრომებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადებიან.
- დავაკვირდი, ვის რა უხარია, რა ადარდებდა, რაზე ასწორებდა ფოკუსს;
- გამოიკვეთა თითოეული კლასის საჭიროებები, სად უფრო მეტი ერთიანობაა ან სად უნდა გავამახვილო ღირებულებებით სწავლებაზე ყურადღება.
- ერთ-ერთ მერვე კლასში ასეთი რამ მოხდა: ორმა მოსწავლემ დამოუკიდებლად შეარჩია ერთი და იგივე ფოტო, კერძოდ, კლასის საერთო ფოტო, რომელიც დამრიგებელთან ერთად მუზეუმში სტუმრობას ასახავდა. ერთმა ფოტო ამობეჭდა, მეორემ – დახატა, ამბავსაც განსხვავებულად ჰყვებოდნენ, მაგრამ მთავარი ერთიანობის განცდა და სიხარული იყო. ამ დამთხვევამ შემდეგი ფოტოამბის თემისკენ მიბიძგა. გადავწყვიტე, გარკვეული დროის მერე თითოეულ კლასს შევთავაზო კლასის საერთო ფოტოს შესახებ ამბის დააწერა.
- რამდენიმე ახლი მოსწავლე მყავს. პირველი შეხვედრის მიუხედავად, სხვების მოსმენისას გათამამდნენ, მარტივად აუღეს ალღო ინსტრუქციას, დაწერეს, გაბედეს და კლასის წინაშე წაიკითხეს.
- რამდენიმე მოსწავლე პირველ დღეს არ იყო და მათთვისაც სხვების მოსმენა გახდა წერის სურვილის აღმძვრელი. იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ სკოლაში და მათაც გავაცანი ინსტრუქცია ან კლასელს ვთხოვე დახმარება.
- ორ მოსწავლეს რაღაც აბრკოლებდა – ხასიათი, თავდაუჯერებლობა ან ჩემთვის უცნობი მიზეზი. ორივეს პირადად გავესაუბრე და ამან იმოქმედა, მათაც დაწერეს.
- გამოიკვეთა პრობლემაც – ვინც ხშირად აცდენს სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ საერთო პროცესისთვის ფეხის აწყობა უჭირთ, თუმცა, სწორედ მათ სჭირდებათ ყველაზე დიდი ყურადღება, წახალისება, თანადგომა, დროის დათმობა.
- ჩემი დღიური გადაივსო ულამაზესი წინადადებებით. ყველას გაგიზიარებდით სიხარულით.
- სათაურები ცალკე მოსაყოლია. წერისას ერთი მათგანი გამახსენდა: „ჩემი ანგელოზი გამიფრინდა“, – რომლის წაკითხვა კლასის წინ მერვეკლასელმა გოგომ ვერ შეძლო, გვიან ღამით წავიკითხე და ვიტირე.
- ერთი ამბავი მეათე კლასში მოხდა. მეგომ პირველივე დღეს დაწერა, ერეკლე მეორე დღეს მოვიდა. თუკი არ უწერიათ დავალება, ვთხოვ, იქვე დაწერონ. გაკვეთილის ბოლოს მომიტანა ულამაზესი ნაწერით გადავსებული თაბახის ფურცელი. მეგი ინსტრუქციის საფეხურების გარკვევაში ეხმარებოდა. ერეკლეს ნაშრომიც მოგვიანებით წავიკითხე. „ეშმაკის ბორბალი“ დაურქმევია ფოტოამბისთვის და ამგვარი შეკითხვით სრულდებოდა: „თქვენ რომ „ეშმაკის ბორბალზე“ გაჭედილიყავით, რას იზამდით?“ მეორე დღეს შთაბეჭდილებები რომ გავუზიარე, რამდენჯერმე მკითხა, ხომ კარგად გამომდის წერაო. ერეკლე გულღია, კომუნიკაბელური ადამიანია. დარწმუნებული ვარ, თითოეული მოსწავლე დარწმუნდებოდა საკუთარ შესაძლებლობაში და იმაში, რომ წერა ყველა ბავშვს შეუძლია.
- ერთი ახალი მოსწავლეა მერვე კლასში. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ წერა დაეწყო. შინ დაბრუნებულმა წავიკითხე დათოს ფოტოამბავი. მიყვებოდა, როგორ მისწერა ერთ დილას მწვრთნელმა, რომ ვარჯიშზე ფანდური წაეღო თან. ფანდური და ჭიდაობა ყველაზე მეტად მიყვარსო, წერდა. დათოს ტელეფონის ნომერი არ მქონდა, თორემ მის მწვრთნელს მივბაძავდი და მივწერდი, რომ მეორე დღეს სკოლაში ფანდური წამოეღო. რამდენი ასეთი ამბავი მოვისმინე, დამაფიქრეს, დარდი და სიხარული გამიზიარეს.
- მასწავლებლის ძალისხმევა კვალს აუცილებლად ტოვებს თითოეული მოსწავლის წერითი უნარების გამოვლენისას.
- ფოტოამბის შესახებ ვიდეო ჩავწერე და თქვენც გიზიარებთ: https://www.youtube.com/watch?v=WZ6oafKKMFA

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებაში

ალბათ ძნელი იქნება ისეთი მშობლის პოვნა, რომელსაც არ სურს, აღზარდოს ძლიერი, განათლებული პიროვნება – ის, ვინც შეძლებს, გაუმკლავდეს სირთულეებს ცხოვრების გზაზე, გადალახოს დაბრკოლებები და მიაღწიოს წარმატებას. უმოკლესი გზა აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბავშვისთვის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავებაა. ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარი ეხმარება ბავშვს, გაფილტროს მიღებული ინფორმაცია და შეარჩიოს ის, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნული უნარი საშუალებას აძლევს მას, უკეთ შეიცნოს საკუთარი თავი, სხვა ადამიანები და გარე სამყარო.

ბევრი აღმზრდელი, როგორც მშობელი, ასევე მასწავლებელი, ფიქრობს, რომ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა დაწყებითი კლასების ბავშვებთან ნაადრევია და ამაზე ფიქრი სასკოლო ცხოვრების მეორე და მესამე საფეხურზე უნდა დავიწყოთ. ასეთი მიდგომით ჩვენ შეიძლება ძვირფასი დრო დავკარგოთ. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება ბავშვის განვითარებისა და სწორი აღზრდის პირობებში იქცეს ჩვევად. ჩვევები კი საჭიროა, ადრეული ასაკიდანვე გამოვუმუშაოთ მას. ამაზე ზრუნვა ჯერ კიდევ მანამდე უნდა დავიწყოთ, სანამ ბავშვი სკოლაში წავა და სასკოლო სწავლებით დაკავდება. აღნიშნული უნარი დაეხმარება მას, უფრო ადვილად გაუმკლავდეს სასწავლო პრობლემებს და წარმატებულ მოსწავლედ ჩამოყალიბდეს. ბავშვები, რომლებსაც აქვთ კრიტიკული აზროვნების უნარი, ხშირად უფრო მეტად არიან დაინტერესებული სასწავლო პროცესით, აქტიურ მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში. გარდა ამისა, კრიტიკული აზროვნების განვითარება ეხმარება ბავშვს ლოგიკურ აზროვნებასა და პრობლემების გადაწყვეტაში.

რეკომენდაციები – როგორ დავეხმაროთ ბავშვებს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებაში:

- წავახალისოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა. ეს არ უნდა გაგვიჭირდეს, იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში, განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გამო, ბავშვები განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით გამოირჩევიან, რაც მათ მიერ დასმული შეკითხვებიდანაც კარგად ჩანს. გვახსოვდეს, რომ კრიტიკული აზროვნება ბავშვებშიც და მოზრდილებშიც, პირველ რიგში, ცნობისმოყვარეობით იწყება. შეკითხვები: „რატომ?“, „რისთვის?“ – პირველი ნაბიჯებია სააზროვნო უნარების განვითარების გრძელ გზაზე. წავახალისოთ ბავშვი შეკითხვების დასასმელად, მოვიწონოთ მისი ცნობისმოყვარეობა, შევაფასოთ მისი ინტერესი დადებითად. გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი პასუხები ბავშვის მიერ გაუთავებლად დასმულ შეკითხვაზე: „რატომ?“ – მისი აზროვნების განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამიტომ შევეცადოთ, ღიად ვიმსჯელოთ და ავხსნათ ჩვენი აზროვნების ლოგიკა. პასუხების გაცემის შემდეგ შეგვიძლია ვკითხოთ ბავშვს: „რის გაგებაა შენთვის საინტერესო ახლა?“ ან „რატომ

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებით ჩვენ არა მხოლოდ ვეხმარებით ბავშვებს, გახდნენ წარმატებულნი, არამედ, ამასთან ერთად, ვაყალიბებთ საკუთარ თავში დარწმუნებულ პიროვნებებს, რომლებიც მზად არიან თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის.

ალბათ ძნელი იქნება ისეთი მშობლის პოვნა, რომელსაც არ სურს, აღზარდოს ძლიერი, განათლებული პიროვნება – ის, ვინც შეძლებს, გაუმკლავდეს სირთულეებს ცხოვრების გზაზე, გადალახოს დაბრკოლებები და მიაღწიოს წარმატებას. უმოკლესი გზა აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბავშვისთვის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავებაა.

არის ეს შენთვის საინტერესო?“ თუ ჩვენ არ შეგვიძლია, ვუპასუხოთ ბავშვის შეკითხვებს, შეიძლება ვუთხრათ: „ეს კარგი შეკითხვაა და მეც მინდა, ვიცოდე პასუხი!“ მივცეთ პატარას შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ეძებოს პასუხები. ამისათვის საჭირო იქნება, მივმართოთ მისი აზროვნება სწორი მიმართულებით.

ბავშვთან საუბრისას გამოვიყენოთ ისეთი შეკითხვები, როგორიცაა: „შენ რას ფიქრობ?“; „საიდან იცი ეს?“; „რა მოხდება, თუ...?“; „შენ რას გააკეთებდი?“; „როგორ გამოასწორებდი ამას?“; „სხვანაირად მოიქცეოდი?“; „არსებობს სხვა საშუალება, გზა ამის გასაკეთებლად?“; „რა იყო ყველაზე რთული?“; „შენ ამას ისევ გააკეთებდი?“ შეკითხვების სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ბავშვმა კრიტიკულად იაზროვნოს, დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის.

ნუ მოვთხოვთ ბავშვს უსიტყვო მორჩილებას. ბუნებრივია, მშობლებს მხოლოდ კარგი სურთ შვილებისთვის და ფიქრობენ, რომ მოსალოდნელი საფრთხეებისა და სირთულეების თავიდან ასაცილებლად ისინი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ. მაგრამ მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა იმის ახსნა, რატომ სურთ მათ, რომ ბავშვმა გააკეთოს ის, რასაც ისინი ითხოვენ. უფროსებისგან მოსმენილი უსიტყვო მორჩილებისკენ მიმართული ფრაზა: „იმიტომ, რომ მე ასე ვთქვი!“ – ვერ განუვითარებს ბავშვს აზროვნების, ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს. უფროსების მხრიდან ბავშვისადმი წაყენებული ბრმად მორჩილების და ბრძანებების უსიტყვოდ შესრულების მოთხოვნა ყველაზე ეფექტიანი ხერხია კრიტიკული აზროვნების განვითარების შესაფერხებლად.

მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა, აიღონ პასუხისმგებლობა და ვალდებულებები საკუთარ თავზე. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამო-



ვიდნენ კომფორტის ზონიდან და შეეცადონ, დამოუკიდებლად გადაჭრან ის პრობლემები, რომლებსაც მათ ნაცვლად ყოველთვის უფროსები წყვეტენ. როგორც წესი, ჩვენი მუდმივი მზადყოფნა, თავიდან ავაცილოთ ბავშვს ყველანაირი სირთულე, ვუკარნახოთ სწორი ხერხი რაიმეს გასაკეთებლად, რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად, თრგუნავს მის ბუნებრივ სურვილს, დამოუკიდებლად იაზროვნოს და თავად გადაწყვიტოს. ვენდოთ ბავშვს და მივცეთ საშუალება, სირთულეების დასაძლევად გზა იპოვოს. მხარი დავუჭიროთ სხვადასხვა პრობლემისა და ამოცანის გადაჭრაში. დავუსახოთ ისეთი ამოცანები, რომლებიც ითხოვს ანალიზსა და გადაწყვეტის ეფექტიანი გზების მოძიებას.

- მივცეთ ბავშვს შეცდომის დაშვების უფლება. იმისათვის, რომ ისწავლოს წარმატების მიღწევა, ბავშვისთვის აუცილებელია, განიცადოს წარუმატებლობა. შეცდომები სხვაგვარად ფიქრისა და ცვლილებების შესაძლებლობაა. დავეხმაროთ ბავშვს, გააანალიზოს თავისი შეცდომები და წარუმატებლობები. ვიმსჯელოთ მასთან ერთად, რის გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ მან გამოცდილება მიიღოს და გაიუმჯობესოს შედეგი. მივცეთ ბავშვს საშუალება, გააკეთოს საქმე ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ, მაშინაც კი, თუ მისი გადაწყვეტილება არაადეკვატური გვეჩვენება. განსხვავებული არ ნიშნავს არასწორს და ხანდახან, თუ ბავშვს ექნება შესაძლებლობა, გააკეთოს რაიმე ან გადაწყვიტოს პრობლემა ისე, როგორც თავად მიაჩნია საჭიროდ, შეიძლება, მოულოდნელად დადებითი შედეგიც მივიღოთ. ეს პროცესი კი ბავშვისთვის საგზაო ნუნარების განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გახდება.
- ვიკითხოთ ბავშვთან ერთად და განვიხილოთ წაკითხული. დავუსვათ შეკითხვები პერსონაჟების მოტივებზე, მოქმედების შედეგებზე, მოვლენების ალტერნატიულ ვერსიებზე. ვასწავლოთ ბავშვს ისეთი შეკითხვების დასმა, როგორებიცაა: „რატომ?“ და „როგორ?“ – იმისათვის, რომ უკეთესად გაერკვეს სიტუაციაში და ჩასწვდეს შეკითხვების არსს. ეს ავითარებს ანალიტიკურ მიდგომას ინფორმაციის განხილვისას.
- ვასწავლოთ ბავშვს მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. წავახალისოთ ის, გააანალიზოს ურთიერთკავშირი მოვლენებს შორის, გამოავლინოს, დაადგინოს მიზეზები და ივარაუდოს შესაძლო შედეგები. ვიმსჯელოთ მასთან ერთად, რა ფაქტორებს შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა გარკვეულ სიტუაციაზე და რა შეიძლება იყოს შესაძლო შედეგი.
- მოვაწყოთ დებატები და დისკუსიები სხვადასხვა თემაზე, სადაც ბავშვებს შეეძლებათ თავიანთი შეხედულებების არგუმენტირება. ეს ხელს შეუწყობს ინფორმაციის ანალიზის და საკუთარი აზრების დასაბუთებულად გამოხატვის უნარის განვითარებას.
- აქტიურად გამოვიყენოთ როლური თამაშები. დავეხმაროთ ბავშვს, შევიდეს სხვადასხვა როლში, რაც დაეხმარება მას, მიიღოს გადაწყვეტილება და გააანალიზოს საკუთარი მოქმედების შედეგები, ეს კი, თავის მხრივ, კრიტიკულ აზროვნებას განუვითარებს. ასე ბავშვი სწავლობს ალტერნატიული გზების მოძიებასა და მოქმედების ოპტიმალური ვარიანტების არჩევას.
- ყოველთვის ვეცადოთ, შევაქოთ და აღვნიშნოთ ბავშვის საქმიანობის არა მხოლოდ შედეგი, არამედ მისი ძალისხმევაც. მხარი დავუჭიროთ ბავშვს სწავლის პროცესში, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწორ პასუხამდე მისვლა, არამედ მისკენ მიმავალი გზაც.
- ვიყოთ მაგალითი ბავშვისთვის. შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ის იყოს, რომ თავად ვიაზროვნოთ კრიტიკულად. ვასწავლოთ ბავშვს არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ მოქმედებითაც. ვუჩვენოთ, როგორ გამოიყენოს ეს ღირებული უნარი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, ისიც გვახსოვდეს, რომ ბავშვებს აქვთ მიდრეკილება, გაიმეორონ უფროსების ქცევა. ამიტომ მათთან ერთად გამოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ მოვლენები, რომლებიც სიცრუედ გვეჩვენება, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ეჭვს იწვევს. საშუალება მივცეთ, დაუკვირდნენ ჩვენს მსჯელობას, მივაწოდოთ კრიტიკული აზროვნების ნიმუშები.

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებით ჩვენ არა მხოლოდ ვეხმარებით ბავშვებს, გახდნენ წარმატებულნი, არამედ, ამასთან ერთად, ვაყალიბებთ საკუთარ თავში დარწმუნებულ პიროვნებებს, რომლებიც მზად არიან თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის.

ინა იმედაშვილი

ჯადოსნური თილისმები წარსულიდან – ქართული მითოლოგიის სამყაროში

კიდევ ერთი სცენარი სასკოლო ღონისძიებისთვის

დამეთანხმებით, რომ ბავშვები გიჟდებიან მითოლოგიაზე, განსაკუთრებით კარგად კი ბერძნული მითოლოგია იციან და მოსწონთ. ქართულ მითოლოგიაზე მწირი ინფორმაცია აქვთ, ამირანით და დალით შემოიფარგლებიან. არადა, მითები, ისევე როგორც ხალხური ზღაპრები, ჩვენი იდენტობის მთავარი წყაროა, ჩვენი არსებობის, ყოფნისა და ეროვნულობის განმაპირობებელი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მეოთხე კლასთან პატარა სპექტაკლი დამედგა და პერსონაჟებად ქართული მითოლოგიის გმირები გამომეყვანა. ვფიქრობ, ბავშვებს მოეწონებათ, იხალისებენ კიდეც და ბევრსაც გაიგებენ ჩვენს ძალიან, ძალიან შორეულ წარსულზე.

სცენა მოწყობილია, როგორც ძველი დარბაზული სახლი. სასურველია, ბორჯღალებითა და მზის სიმბოლოებით იყოს გაფორმებული. კერასთან სხედან პაპა და ბებია. იქვე თამაშობს მათი ორი შვილიშვილი: მზექალა და ხვთისო.

ოჯახს გარშემო უვლის თეთრებში ჩაცმული სამი გოგონა (კერის ანგელოზები) და უმღერის: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“. გულზე დიდი მზეები ჰკიდიათ.)

ხვთისო: რა ბნელი ღამეა, მთვარეც არ ჩანს, გარეთ გასვლა ახლა საშიშია...

მზექალა: ამბობენ, ამ დროს ჭინკები და დევები გამოდიან სანადიროდო.

ხვთისო: რას ამბობ, მზექალავ, ეგენი აღარ არსებობენ და საერთოდაც, მოგონილი მგონია.

მზექალა: ხვთისო! შენ გინდა თქვა, რომ პაპა გვატყუებდა? ბებოს მოყოლილი ამბები მხოლოდ ზღაპრები იყო?

ხვთისო: არ ვიცი, მგონი, მეშინია, ნამდვილი არ აღმოჩნდეს...

პაპა *(ჩაიცინებს)*: ბავშვებო, ბავშვებო, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, უხსოვარ დროს რა ამბები ტრიალებდა ჩვენთან.

ბებო: უნდა მოვუყვეთ, კაცო, ხომ უნდა გაიგონ უკვე, დიდები არიან, მგონი, უკვე დროა.

პაპა: ჰო, მეც ასე მგონია, დრო მოვიდა, ყველა საიდუმლოს ფარდა აეხადოს.

ბავშვები *(ერთხმად)*: რას ამბობთ! გვითხარით დროზე! რას გვიმალავთ!

პაპა: ახლა, სწორედ ახლა, ილება დროის კარიბჭე!

ბავშვები *(გაოცებით)*: რაااااა?..

ბებო: როგორც უხსოვარი დროიდან შემორჩენილი ლეგენდა გვეუბნება, ყველაზე, ყველაზე ბნელ, უმთვარო ღამეს, როცა ძალიან ცივა და მკაცრი ქარი ქრის, ათასწლეულების შემდეგ, ბოროტებას ისევ მოუნდება დედამიწაზე დაბრუნება.

პაპა: ისევ შეებრძოლება სიკეთეს. სწორედ ამ დროს მთვარე გაწითლდება, თითქოს გველეშაპმა გადაყლაპაო, ჰოდა, წარსულის გმირები, ღმერთები და ქალღმერთები ჩვენს დასახმარებლად გადმოლახავენ უამრავ წელსა და საუკუნეს...

ბებო: ამ დროს გაიღება წარსულის კარიბჭე, ოღონდ მზე-ლილეს უნდა შევთხოვოთ, დაგვეხმაროს და დაგვიცვას! თქვენ უნდა დაიწყოთ ახალი ისტორია, ახალი ერა! თქვენ ხართ გმირების შთამომავლები, მათი საქმეების გამგრძელებლები! უნდა დაამარცხოთ სიბნელე და სინათლე მოჰფინოთ ქვეყნიერებას!

პაპა: მზად ხართ წარსულიდან საჩუქრების მისაღებად? მზად ხართ შორეული წარსულის გასაცნობად?

ბავშვები *(ერთხმად)*: მზად ვართ!

მზექალა:

ლილეოდა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციერო!
ოქროსი გიდგას სრა-სასახლე,
გარს აკრავს ოქროს გალავანი,
გალავნის ძირას ირმებია,
ქიმ-ქონგურებზე – შევარდნები.

ხვთისო:

შენს საღმრთო ხარებს, მეუფეო,
რქები ადგათ – რქები ოქროსი,
იალაღებზე ბუღრაობენ,
ირყევიან დიდი ქედები.

ბებო:

ნებიერი შენი ვერძები
რქებით ერთმანეთს აწყდებიან,
მთათა იმსხვრევა ხერხემალი,
ქანაობენ მძიმე ბურჯები.

პაპა:

ლილევოდა, დიდება შენდა,
ბნელი ახლოს ვერ გეკარება,
ზღვასა და ხმელზე დაგიყრია
მოელვარე სამკაულები.
ლილევოდა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციერო!

სამი ანგელოზი ტრიალებს მათ გარშემო და ჩურჩულებს: მოდიან, მოდიან, იწყება, იწყება!

უცებ გრუხუნია, შეიძლება, ბოლიც ავარდეს, იღება პორტალი და იქიდან კოპალა გადმოხტება.

კოპალა: აქეთ დევებს ხომ არ ჩამოუვლიათ? რაღაც ხმა მომესმა! რაღაც ძალამ გადმომისროლა!

პაპა: ეს ხომ კოპალაა!

კოპალა: დიახ, კოპალა ვარ! პატარა ბიჭი ვიყავი, არაგვის ხეობაში ვცხოვრობდი. დევებმა მომიტაცეს და თავად გამზარდეს. უამრავი დამცირება და სისასტიკე ავიტანე მათგან! ხან წყალს მაზიდვინებდნენ, ხან შეშას, თავშიც მიბარტყუნებდნენ, მაგრამ ვითმენდი და ვიზრდებოდი. ერთხელაც გავიპარე. გადავიარე მთები, ტყეები და თიანეთში, იხინჭის ეკლესიაში მივედი ბერებთან. დილიდან საღამომდე ღმერთს ვევედრებოდი, იმდენი ძალა მოეცა ჩემთვის, რომ დევებისთვის ხალხის ხოცვა-ჟლეტა არ შემერჩინა. ღმერთმა იცოდა, ფშავ-ხევსურებს როგორ აწიოკებდნენ დევები, ჰოდა, ისმინა ჩემი ვედრება და დიდი ძალ-ღონე მომცა. ვიგრძენი ძალა, იფნის ხე ამოვგლიჯე ცალი ხელით. მაშინვე წავედი დევებთან საბრძოლველად. უამრავი ამბავი გადამხდა თავს, ჩემი თილისმა ჩემი ლახტი იყო, რომელიც მეხივით ქუხდა და ცეცხლს აჩენდა.

სამი ანგელოზი გარს უვლის კოპალას.

პირველი ანგელოზი: კოპალას ნასროლი ქვა დევების ნასროლ ლოდებზე უფრო სწრაფად გაფრენილაო!

მეორე ანგელოზი: კოპალას ლახტით დევები სულ გაუწყვეტიაო!

მესამე ანგელოზი: კოპალას დევებისთვის ციხეგორა წაურთმევიაო!

კოპალა: საოცარი ღამეა! ჩემს ლახტს ახლა თქვენ დაგიტოვებთ, ვიცი, ჩვენი გვარისა ხართ, ახლა ჯერი თქვენზეა, ბოროტება უნდა დაამარცხოთ!

კოპალა ლახტს აძლევს ოჯახს. ოჯახი მადლობას ეუბნება და ცეცხლთან ეპატიჟება.

ამასობაში ისევ საშინელი გრუხუნია, ისევ იღება პორტალი და გადმოდის ქალღმერთი დალი.

ცეცხლის გარშემო ჩურჩულია: ეს ხომ დალია! დალია, დალი!

ანგელოზები ერთად შეჯგუფდებიან და გაკვირვებულები იყურებიან: დალი, დალი!

ქალღმერთი დალი: ოჰ, ჩემო საყვარელო ცხოველებო! ჩემო ოქროსრქიანო ირმებო! სად დამეკარგეთ, სად ხართ?

ანგელოზები *(ერთხმად):* „დალაი თქვით, დალაი, მხედრებო, დალაი, დალაი,
ძნელი არს დალაობაი, დალაი, დალაი!“

პაპა, ბებია, შვილიშვილები, კოპალა *(ერთხმად):* „დალაი თქვით, დალაი, მხედრებო, დალაი, დალაი,
ძნელი არს დალაობაი, დალაი, დალაი!“

დალი: როდესაც დიდი გასაჭირი დაგადგეს,
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,
მხარში ამოგიდგები,
ჯიხვსა და არჩვს არ დაგიძვირებ!
უძველესი ქალღმერთი ვარ, სალ კლდეებში ვცხოვრობ, როცა მომინდება, ირმად ვიქცევი, როცა მომინდება – ჯიხვად. ერთი კლიდან მეორეზე გადავფრინდები და მონადირეებს ხელს მოვუმართავ, თუ მონადირეები პატივს მცემენ. ფრთებიც მაქვს! ყოველ ნაბიჯზე სახლის სიმაღლე ნახტომის გაკეთება შემიძლია! ჩემი ფრთის შეხება ჭრილობას ამრთელებს! თუ ვინმეს დავასაჩუქრებ, მისი ოჯახი კარგ ბედსა და იღბალს ეწევა, ოღონდ თუ გამაბრაზეს... ო, მოდი, ამაზე დღეს არაფერს ვიტყვი.

მზექალა: რა ლამაზი ხართ! რა ძლიერი!

დალი: მე შენ თილისმას გაჩუქებ. აი, გამომართვი. ეს ჯადოსნური ირემია, სულს შეუბერავ და მაშინვე შენთან გაჩნდება ჩემი ძალა, ბოროტებას ერთად დავამარცხებთ!

ხვთისო: დალ, ჩემო ქალღმერთო!

ბებო: გმადლობთ, ქალღმერთო!

ანგელოზები *(გარს უვლიან და თმას ვარცხნიან, თან ღიღინებენ):* ძნელი არს დალაობაი, დალაი, დალაი!

დალს ცეცხლთან ეპატიჟებიან, ისიც ჩამოჯდება.

ამასობაში ისევ გრუხუნია, პორტალიდან იახსარი გადმოხტება.

ბებო: ეს ხომ იახსარია, იხსარ ღვთისშვილი!

იახსარი: იახსარი ვარ! ფშავის საყმოს, ქისტაურთა მფარველი ღვთისშვილი!

კოპალა *(დაინახავს იახსარს, იცნობს და წამოხტება):* იახსარ, ძმაო!

იახსარი: ძმაო კოპალა!

გადაეხვევიან ერთმანეთს, მოიკითხავენ. კოპალა უბრუნდება ადგილს.

იახსარი *(აგრძელებს):* დევებს, ქაჯებს, ეშმაკებსა და მაცილებს ვებრძოდი! ვიცავ ყველას, ვისაც შველა სჭირდება! ზეციური მოქალაქეც ვარ! დედამიწაზე სვეტის ან ჯვრის სახით ჩამოვდივარ! მორიგე ღმერთთან ადამიანების სათხოვარი მიმაქვს! მორიგე ღმერთმა მშვილდ-ისარი მიბოძა და დამლოცა. დევებს სადაც შევხვდები, მუსრს ვავლებ, ავიკეცავ ჩოხის კალთებს, დავტაცებ ხელს ქვას და ვესვრი! დევებს ეშინიათ, გამირბიან. სოფელ რომკის ზემოთ, აბუდელაურის ტბაში შეაფარა თავი ჩემგან გაქცეულმა უკანასკნელმა დევმა. მეც ჩავყევი, მაგრამ დევის სისხლმა ტბა შეკრა, მე ტბაში ჩავრჩი. ტბის პირი მხოლოდ მაშინ გაიხსნა, როცა მის ნაპირზე ოთხყურა და ოთხრქა ცხვარი მოიყვანეს. როგორც იქნა, ხმელეთზე ამოვედი, მტრედად ამოვფრინდი. მას შემდეგ ლიქოკის თავს, კარატის წვერზე ვსახლობ და ვიცავ ხალხსა.

ბებო, პაპა, შვილიშვილები, კოპალა, დალი *(ერთხმად):* დიდება იახსარის დროშას, ზარსა და საზარეს გაუმარჯოს. გაუმარჯოს ლაღ იახსარს, დევკერპთ ამომწყვეტს და გადამსხვავებელს. გაუმარჯოს ავის გორს უფალმა ღმერთმა!

იახსარი: ბოროტებასთან ბრძოლაში ჩემი ქვა გამოგადგებათ!

ოჯახს ქვას სჩუქნის და თავად ცეცხლთან ჯდება.

გრუხუნია, პორტალიდან გადმოვა ბარბალე.

დალი: ბარბალე, მზის ქალღმერთო და გველეშაპის დამმარცხებელო! კეთილი იყოს შენი მობრძანება ახალ ეპოქაში!

ბარბალე: დალ! კოპალა! იახსარ! თქვენც აქ ყოფილხართ! პირდაპირ მზის სასახლიდან მოვედი.

ანგელოზები გარს ევლებიან ბარბალეს.

პირველი ანგელოზი: მზის ოქროს სხივით მოსილი,
ცაში აგიზგიზდი, ბარბალე,
შენი ნათელი მოსავალი
მიწას აკურთხებს მარადვე.

მეორე ანგელოზი:
შენი ღიმილი დღევანდელია,
შენი მზე მარად ანათებს,
ხორბლის თავთავში ლოცვას ვხედავ,
ღვინოში – შენს ნაკვალევს.

მესამე ანგელოზი:
გზას დაგილოცავს მთვარე ღამით,
მზე დაგიკრავს ოქროს ზარს,
ღმერთთა შორის კვლავ გაბრწყინდი –
სიცოცხლე მოჰფინე მიწას დღესაც!

ბარბალე: ვმფარველობ: დედებს, ქალებს, საქონელს, მოსავალს... ვდგავარ მზისა და სინათლის მხარეს, ვებრძვი სიბნელეს, ბოროტებას. ვამარცხებ გველეშაპს, რომელსაც მზისა და მთვარის ჩაყლაპვა და დედამიწის ბნელში მოქცევა სურს! როდესაც გველეშაპი მთვარეს ყლაპავს, მთვარე სისხლისფერი ხდება, მაგრამ ამ დროს მე გველეშაპს ვანადგურებ და მთვარე გვიბრუნდება! ვანადგურებ მზის სხივებით, მზის სხივები ხომ სიბნელეს ფანტავს. განსაკუთრებით სვანებს ვუყვარვარ, ასე მიმღერიან: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს! მზე შენია, ბარბარ დოლამ!“ ხაჭაპურებს და ლობიანებს მიცხობენ დღესაც... მე მზე მოგიტანეთ, როდესაც დაგჭირდებათ, თქვით ჩემი სახელი, მზე აკაშკაშდება და სიბნელეს დაამარცხებს!

ბარბალე მზეს აძლევს ოჯახს და თავად კოცონთან ჯდება. ისევ გრუხუნია. პორტალი იღება და გადმოდის მინდია – ხოგაის-მინდი.

ყველა *(ერთხმად):* მინდია, ხევსური მინდია, ბუნების მცველი!

მინდია: ყველა აქ შეკრებილხართ! შორიდან, ათასწლეულების მიღმიდან მოვდივარ. მესმის, რაზე ჩურჩულებს ბალახი და რაზე ტირიან ხეები... ქაჯეთის ტყვე ვიყავი, შემზარავი და საშინელი ქაჯების. მათთან ყოფნას სიკვდილი მერჩივნა, ამიტომ შევჭამე ქაჯების საკვები – გველის ხორცი. სიკვდილის ნაცვლად კი უზარმაზარი ძალა მივიღე! ბუნების საიდუმლო მესმის, მესმის მცენარეების, ფრინველების, ცხოველების ენა. ვიცი, რომელი მცენარე რას კურნავს, რა დაავადებას არჩენს.
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი-ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუხებს ერთადა, –
ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,
მნახავენ თავის ღმერთადა: –
„არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესა-მე!
ყვავილი მოგიტანეთ, როგორც კი სიახლოვეს ბოროტებას იგრძნობს, მაშინვე შავდება, დააკვირდით, ის მნიშვნელოვანი მაცნეა!

მინდია სხვებთან ერთად ჯდება.
გრუხუნი. პორტალიდან გადმოდის აშექალი.
ყველა ჩურჩულებს: აშექალი მოვიდა, აშექალი!

აშექალი: რამ შეგაშინათ? სამტროდ არ მოვსულვარ, სამოყვროდ მოვედი. ქაჯავეთიდან მოვდივარ. ყველაფერი წინასწარ ვიცი, ყველას ბედს ვიგებ! სამ წელიწადს ხახმატის ჯვრის მეჯინიბე ვიყავი, ხახმატის გიორგის წითელი ცხენი ჰყავდა და შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა, ყველგან თან დაჰყვებოდა გიორგის. იმ ცხენს მე ვუვლიდი, სხვა ვერავინ ეკარებოდა და ვერც ვერავინ ხედავდა, მხოლოდ მე. როგორც კი წმინდა გიორგის ვინმე შველას სთხოვდა, მაშინვე ვაღებდი საჯინიბოს კარს, ცხენი ელვასავით გამოვარდებოდა და გიორგიც ისე სწრაფად მოევლებოდა ზურგზე, თვალს ვერ შეასწრებდი. ადამიანებს წინასწარ ვატყობინებ, რა

ელით, საფრთხეს თავი რომ აარიდონ. აი, ამ სარკეს გიტოვებთ, თქვით: „სარკეე, სარკეე, აშექალის ხათრით, გვითხარ, რა გველის?“ სარკეშიც მაშინვე გამოჩნდება მომავალი! ოღონდ ტყუილად არ მოაცდინოთ, მხოლოდ მაშინ, როცა ბოროტება გააქტიურდება!

აშექალი სარკეს სჩუქნის ოჯახს და იქვე ჯდება. ანგელოზები გარშემო უვლიან.

ისევ გრუხუნია, ამჯერად პირქუში გამოჩნდება.

ყველა: პირქუშია, ნამდვილად პირქუში!

პირქუში: პირქუში ვარ! ხევსური მჭედელი! ადამიანობაში დავითი მერქვა, ნაწილიანიც ვიყავი. როცა მეძინა, ბეჭებს შუა შუქი ამომდიოდა და ირგვლივ ღვთაებრივ ნათელს აფრქვევდა. ერთ დღეს ჩემს გრდემლზე წარწერა გაჩნდა და ჩემი ბედი ამოვიკითხე. ვერაფრით ამოვშალე ეს ავის მომასწავებელი წარწერა, რომ წინასწარმეტყველება გამეუქმებინა. მაგრამ რადგან პატიოსანი და ღირსეული ცხოვრებით ვცხოვრობდი, მორიგე ღმერთმა ხვთისშვილობა მიბოძა. ადამიანების მცველად ვიქეცი. დევები სოფლებს აწიოკებდნენ, ხალხს ხოცავდნენ. მათ წინააღმდეგ მეც ვიბრძოდი, ტყვედაც კი ჩავვარდი, მაგრამ კოპალამ მიხსნა *(კოპალასთან მიდის და გადაეხვევა).*
თქვენ კი ჩემ მიერ გამოჭედილ პატარა ჩაქუჩს გიტოვებთ, როცა დრო მოვა, ჩაიფიქრებთ და ჩაქუჩი უზარმაზარ იარაღად გადაიქცევა ბოროტების დასამარცხებლად.

პირქუში ჯდება. გრუხუნი. პორტალიდან ადგილის დედა გადმოდის.

ყველა გაინაბება. ანგელოზები ადგილის დედას გარს შემოერტყმებიან და ფერხულს უვლიან.

ადგილის დედა: ჩემო შვილებო! როგორ მიხარია თქვენი ერთად დანახვა! როგორც ჩანს, მოსულა ის დრო, რომელსაც ამდენი ხანია ველოდებოდით. ადგილის დედაც შემოგიერთდით! მე ყველა ქართველის მშვიდობიან ცხოვრებაზე ვზრუნავ. კალთის ქვეშ ვიფარებ ქალებს, ბავშვებს, ცხოველებს! ზოგჯერ ყვავილების მფარველსაც მეძახიან. ჩემს დღესასწაულზე სანთლებს ანთებენ, კვერებს აცხობენ, ცეკვავენ და მღერიან. ვპატრონობ ჩვენს მიწას. ჩემი ხალხი გულიან ქადებსაც მიცხობს. არ შეგეშინდეთ, მაგრამ ხანდახან გველად ქცევაც კი შემიძლია! სახლის საძირკველში ვიდებ ბინას და სახლის პატრონები ყოველ დილით რძეს მასმევენ! იციან, რომ არაფერს დავუშავებ, ამიტომ არ მერჩიან, პირიქით – ოჯახებისთვის ბედნიერება მომაქვს.
სანთელი მოგიტანეთ, უბრალო არ გეგონოთ, როგორც კი დაანთებთ, მაშინვე ისე აგიზგიზდება, ყველანაირ წყვდიადს გაფანტავს და ბოლოს მოუღებს!

ყველა მადლობას უხდის. ადგილის დედა კოცონთან ჯდება. გრუხუნი.

ბავშვები გიჟდებიან მითოლოგიაზე, განსაკუთრებით კარგად კი ბერძნული მითოლოგია იციან და მოსწონთ. ქართულ მითოლოგიაზე მწირი ინფორმაცია აქვთ, ამირანით და დალით შემოიფარგლებიან. არადა, მითები, ისევე როგორც ხალხური ზღაპრები, ჩვენი იდენტობის მთავარი წყაროა, ჩვენი არსებობის, ყოფნისა და ეროვნულობის განმაპირობებელი.

ნეტავ ახლა ვინ არის? ნეტავ ვინ? ნეტავ ვინ? – ისმის ჩურჩული.

პორტალიდან გადმოდის ოჩოპინტრე. ისმის შეძახილი:
– ნადირთ პატრონი!

ოჩოპინტრე: ოჩოპინტრე ვარ, ნადირთ მწყემსი და ნადირთ მფარველი! როდესაც მონადირე ჩემს ტყეებში გამოჩნდება, მაშინვე შევძახებ: „აბა, გაიქეცით, მონადირე გეპარებათ!“ ქალღმერთ დალს ვეხმარები გარეული ცხოველებისა და ფრინველების მწყემსვაში, უხილავი ვარ, სანამ ასე მსურს, როდესაც მოვინდომებ, ხილული ვხდები. როდესაც უხილავი ვარ, პატარა ნაფეხურებს ვტოვებ. ხალხი პაწაწინა პერანგებს მჩუქნის და ხის კენწეროებზე კიდებს. ძალიან მიყვარს ცხოველები, თუ სადმე პაწაწინა ბელი ან მგლის ლეკვი ვიპოვე, რომელსაც მონადირემ დედა მოუკლა, ვზრდი და მერე ისევ ტყეს ვუბრუნებ. ფრინველებსაც მე ვეხმარები ბუდის აშენებაში. მონადირეები ხშირად მთხოვენ დახმარებას, თუმცა მათი დახმარება არ მიყვარს. ძველად, როდესაც ადამიანებს სხვა საჭმელი არ ჰქონდათ, ხელს ვუმართავდი, მაგრამ ახლა დრო შეიცვალა, სულაც არ არის აუცილებელი ცხოველების სიკვდილი, რომ ადამიანებმა არ იშიმშილონ.
მე გიტოვებთ ამ მგლის ფიგურას. როცა დაგჭირდებით, ჩასჩურჩულეთ: „ოჩოპინტრე, გვჭირდები!“ – და ჩემი ერთგული თეთრი მგლები თქვენთან გაჩნდებიან!

ოჩოპინტრე ჯდება სხვებთან ერთად.

გრუხუნი. პორტალიდან გადმოდის კვირია.

ყველა: ხვთისშვილების წინამძღოლი მოვიდა, კვირია მოვიდა!
კვირია: დიახ, კვირია ვარ! უამრავი სახელი მაქვს: კვირიაე, კვირაე, კვირეე... მე ვარ ღმერთი, სამართალი მაბარია და სამართლიანობას ვამყარებ. მე შემთხოვენ ბედსა და იღბალს. მორიგე ღმერთთან ერთად ამინდსაც განვაგებ, ტაროსს. ასე მეხვეწებიან: „მორიგეს ღმერთსა და დიდ კვირაეს გახვეწებთ, თქვენ უშველეთ თქვენს მეხვეწერთ. ეს ზაფხული მშვიდობით დამდგარ, მშვიდობით გადააყენეთ“. მეც, როცა საჭიროა, წვიმა მომყავს, როცა საჭიროა, მზეს ვუხმობ. ხალხი ღვთის კარზე მოარულ ღვთაებასაც მიწოდებს, რადგან დამბადებლის ხშირი სტუმარი ვარ.
პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრე ვადიდოთ კვირაე, კვირაე კარაღვთისია,
მემრე ვადიდოთ ფიწალე, ლაშქრისა წინამძღვარია,
მემრე ვადიდოთ კოპალე, კოპალე კარატისია.
მე ცისკრის ვარსკვლავსაც მეძახიან, ამიტომ ვარსკვლავი მოგიტანეთ. როგორც კი სიბნელე დაისადგურებს, ვარსკვლავს სული შეუბერეთ – მაშინვე მილიონ ვარსკვლავად იქცევა და აკიაფდება, სიბნელეს სინათლე დაამარცხებს!

კვირია ჯდება სხვებთან ერთად.

ისევ გრუხუნია. გადმოდის თორღვა.

ყველა: მამაცი თორღვა, ვაჟკაცი თორღვა!
თორღვა: სულ ვიბრძვი და ვებრძვი ბოროტებას! თორღვას მეძახიან, ხანდახან თორღვა ძაგანსაც. როგორც კი დავბადებულვარ, იქიდანვე მქონია ბეჭებზე გამოსახული მზე და მთვარე, ასევე ჯვარიც. მარჯვენა ხელი დაბადებიდანვე სისხლისფერი მქონია. ვებრძოდი ყველა მოძალადეს და ავსულს. ქვესკნელშიც კი ვიყავი, თეთრ ყორანს გამოვეკიდე, რომ ნატვრისთვალი წამერთმია. მყინვარის ნაპრალში ჩავვარდი. იქ ვეშაპმა ჯადოსნური ჯაჭვი მაჩუქა. ამ ჯაჭვის მფლობელს ვერანაირი მახვილი ვეღარ მეკარებოდა! ჩემზე დაწერეს:
ჯაჭვის პერანგი მის ტანზე გველის ქერეჭივით ჭვიოდა
და იცავდა მას ავი თვალისაგან,
მახვილისაგან
და ხორციელი შიშისაგან...
პერანგი თორღვა ძაგანს ბეჭზე გამოსახულ თილისმებს უმალავდა:
მზე და მთვარე იყო თორღვას საიდუმლო ნიშნები
და ჯვარი, რომელიც ხერხემალზე ეხატა.
ნატვრისთვალი მოგიტანეთ, გველს რომ წავართვი. ინატრებთ და ბოროტება ნისლივით გაიფანტება, ამოვა მზე და თავის სხივებში გაგვხვევს.

მუსიკა ირთვება, ყველა, ხელიხელჩაკიდებული, ერთად დგება. წინ მზექალა და ხვთისო გამოდიან:

მზექალა: მაშ, გადავრჩებით!
ხვთისო: ბოროტებას დავამარცხებთ. ჩვენი გმირები, ჩვენი წინაპრები ზურგს გაგვიმაგრებენ!
ბებია: წინასწარმეტყველება აცხადდება!
პაპა: კარიბჭე ღიაა, ყველა აქაა! სიკეთე იზეიმებს!

ბოლოს ყველა მღერის.

მეგი კავთუაშვილი

მშობლები სამეურვეო საბჭოში

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, სკოლის ცხოვრებაში მშობლების როლი მხოლოდ შვილების აკადემიური წინსვლის მხარდაჭერით არ შემოიფარგლება. მშობლები სკოლის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და მათი აქტიური ჩართულობით, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, შესაძლებელია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ყველა ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობას.

მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. სამეურვეო საბჭოს წევრობა მშობელს საშუალებას აძლევს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში – ამ ურთიერთობას კანონი არეგულირებს (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მუხლი 12).

მშობლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში აუმჯობესებს ურთიერთობას მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან. საბჭოს კრებებში მონაწილეობით მშობლები უფრო ახლოს იცნობენ სკოლის საჭიროებებსა და გამოწვევებს; ასევე, უკეთ აფასებენ, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს სასწავლო პროცესი. მეორე მხრივ კი სამეურვეო საბჭოს წევრ მშობლებს მუდმივი მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ შესაბამისი საფეხურის მშობლებთან, რაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ეს ეხმარება სკოლას და მასწავლებლებს, უფრო ეფექტურად და მიზანმიმართულად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და საერთო კეთილდღეობაზე.

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭოს საქმიანობა მხოლოდ ფორმალური არ იყოს და რეალურად მოახდინოს ცვლილებები სკოლაში, მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა:

- **აქტიური ჩართულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შეხვედრაში და აქტიურად ჩაერთონ განხილვებში. მათი წვლილი და იდეები მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისთვის.
- **კომუნიკაცია:** კარგ კომუნიკაციას გადამწყვეტი როლი აქვს. წევრებმა უნდა შეძლონ, მკაფიოდ და ეფექტურად გააცნონ თავიანთი მოსაზრებები და შემოიტანონ საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მათთვის, ასევე სხვა მშობლებისა და მასწავლებლებისთვისაც.
- **პასუხისმგებლობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ საკუთარი შვილების, არამედ ყველა მოსწავლის კეთილდღეობაზე. მათი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ყველა მოსწავლის ინტერესს.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ სკოლები, სადაც მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოებში, უფრო მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობენ. ეს სკოლები გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური შედეგებით და უფრო პოზიტიური სასწავლო გარემოთი. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებასაც.

მშობლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში აუმჯობესებს ურთიერთობას მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან. საბჭოს კრებებში მონაწილეობით მშობლები უფრო ახლოს იცნობენ სკოლის საჭიროებებსა და გამოწვევებს; ასევე, უკეთ აფასებენ, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს სასწავლო პროცესი.

- **ინფორმირებულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები უნდა ეცადონ, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი სკოლის აქტივობების, საქართველოს განათლების სისტემის გარშემო განხორციელებული ცვლილებებისა და მსოფლიოს მასშტაბით განათლების ტრენდების შესახებ. ასევე, მათი მოვალეობაა სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სხვა მშობლების ინფორმირება.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ სკოლები, სადაც მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოებში, უფრო მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობენ. ეს სკოლები გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური შედეგებით და უფრო პოზიტიური სასწავლო გარემოთი. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებასაც. მშობლები აკონტროლებენ სკოლის ბიუჯეტს, ნორმებსა და წესებს, რაც სკოლის ადმინისტრაციას აძლევს სტიმულს, პასუხისმგებლობიანი და გამჭვირვალე იყოს.

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭომ ეფექტურად იმუშაოს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. **მრავალფეროვანი შემადგენლობა:** სასურველია, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ეკუთვნოდნენ მრავალფეროვან ჯგუფს, იქნება ეს სხვადასხვა სოციალური ფენა, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლობა. ეს უზრუნველყოფს საბჭოს სხდომაზე სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებას.
2. **კარგი მმართველობის სტრუქტურა:** საბჭოს უნდა ჰყავდეს ძლიერი და კომპეტენტური თავმჯდომარე, რომელიც კარგად წარმართავს სხდომებს და უზრუნველყოფს პროდუქტიულ მუშაობას. საბჭოს წევრებმა უნდა იცოდნენ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები. სასურველია, თითოეულ წევრს განსაზღვრული ამოცანები ჰქონდეს.
3. **გამჭვირვალობა:** საბჭოს მუშაობა გამჭვირვალე უნდა იყოს. ყველა გადაწყვეტილება და სხდომის პროტოკოლი სხვა მშობლებისა და საზოგადოებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
4. **სტრატეგიული დაგეგმვა და შეფასება:** საბჭომ უნდა განსაზღვროს სკოლის გრძელვადიანი მიზნები და სტრატეგიული გეგმები მათი მიღწევისთვის. საკუთარი აქტივობებისა და შედეგების პერიოდულად შეფასება კი მომავალი დაგეგმარების შესაძლებლობას იძლევა. რაც მთავარია, სკოლის განვითარებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის თითოეული ადამიანის სურვილი და აქტიურობა აუცილებელი წინაპირობაა.

ნათია ფურცელაძე

ქართველი მასწავლებელი პარიზში

ბედმა თუ გაგიღიმა და ახალგაზრდობისას მოხვდი პარიზში, მერე სადაც არ უნდა წახვიდე, იგი სიკვდილის დღემდე შენთან იქნება, რადგან პარიზი – განუყრელი დღესასწაულია, რომელიც მუდამ თან გახლავს.

ერნესტ ჰემინგუეის კერძო წერილიდან

მასწავლებლობის მე-15 წელს მოვხვდი პარიზში, ახალგაზრდა აღარ მეთქმის, თუმცა ის ვიცი, რომ „სიკვდილამდე ჩემთან იქნება“. ალბათ, ბევრისთვის პარიზის პირველ ასოციაციას ეიფელის კოშკი ქმნის, მე კი საფრანგეთის დედაქალაქი ელენე ახვლედიანის ნახატით გავიცანი ჯერ კიდევ ბავშვმა. ჟურნალში წავაწყდი და მოვინუსხე. ასე დაიწყო ჩემი და პარიზის ნაცნობობა, უფრო სწორად, პარიზი შემიყვარდა შორიდან, უნახავად. მერე, როგორც ხდება ხოლმე, გაფაციცებით ვაკვირდებოდი ფოტოებს, ვკითხულობდი, ფილმებს ვუყურებდი, განსაკუთრებით მაინტერესებდა საფრანგეთში გადასახლებული ქართველების ჩანაწერები.

წლების წინ მოსწავლეებისთვის საფეხმავლო შემეცნებით ტურს ვგეგმავდი, თბილისში ფეხით შემოვიარე ის ადგილები, რომლებიც ბავშვებთან ერთად უნდა დამეთვალიერებინა, ვეძებდი საინტერესო მასალებს, რომ მათთვის გამეზიარებინა. ქაშვეთის ტაძართან ვგეგმავდი შეკრებას, შემდეგ გუდიაშვილის ქუჩაც უნდა გაგვევლო და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მივსულიყავით. ვინაიდან ქაშვეთის გუმბათი ლადო გუდიაშვილის მოხატულია, იქვეა მისი მუზეუმიც, გადავწყვიტე, მხატვრის მოგონებები წამეკითხა. განსაკუთრებით მიყვარს ავტობიოგრაფიული პროზა. სწორედ მაშინ გავიგე, რომ ლადო გუდიაშვილი პარიზში სასწავლებლად წავიდა დავით კაკაბაძესთან ერთად. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი მხატვრების თვალით დანახულმა პარიზმა: „ჩავედით პარიზში. წვიმდა. ყველაფერს რუხი ფერი ედო. ვაგონები მთლიანად დაიცალა... ჩვენ კი ადგილიდან არ ვიძვროდით. პარიზი ზღაპარივით გვქონდა წარმოდგენილი...“ თითქოს ბავშვობის შეგრძნებები განმიახლდა. თავი გამახსენა ჩემი და პარიზის უცნაურმა სიახლოვემ. აღარც 90-იანი წლები იყო, ინტერნეტიც მქონდა და კიდევ ათასი შესაძლებლობა, ფოტოსურათები თუ საარქივო მასალები მომეძებნა და ისე დამეთვალიერებინა პარიზი, ვიდრე ვესტუმრებოდი. მოგონებების კითხვის დროს გუდიაშვილისეული პარიზი გავიცანი და უკვე ვიცოდი, რა გზას გავყვებოდი, როცა ამ ქალაქში ფეხს დავადგამდი. ამ ამბის შემდეგ გაიქროლა რამდენიმე წელმა. ფიქრები თუ ოცნებები ხანდახან ფერმკრთალდება, მაგრამ არ იშლება. არ წაშლილა პარიზთან შეხვედრის სურვილიც.

გასულ წელს ჩემმა მოსწავლემ ეიფელის სტიპენდია მოიპოვა და სწავლა დაიწყო სამაგისტრო პროგრამაზე. სწორედ მან მიმიწვია პარიზში. მიხაროდა, რომ ბავშვობისდროინდელ ცნობისმოყვარეობას დავიკმაყოფილებდი, უფრო მეტად კი მაბედნიერებდა ის, რომ ვესტუმრებოდი ჩემს მოსწავლეს, ნაცნობებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მოაზროვნე ადამიანს. მასწავლებლისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა მოსწავლე ასეთ წარმატებას აღწევს და ყველაზე მთავარი – აქვს სურვილი, მასწავლებელს უმასპინძლოს.

გასულ წელს ჩემმა მოსწავლემ ეიფელის სტიპენდია მოიპოვა და სწავლა დაიწყო სამაგისტრო პროგრამაზე. სწორედ მან მიმიწვია პარიზში. მიხაროდა, რომ ბავშვობისდროინდელ ცნობისმოყვარეობას დავიკმაყოფილებდი, უფრო მეტად კი მაბედნიერებდა ის, რომ ვესტუმრებოდი ჩემს მოსწავლეს, ნაცნობებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მოაზროვნე ადამიანს.

განსაკუთრებული იყო პირველი დილა პარიზში – ლადო გუდიაშვილის სიტყვები გამიცოცხლდა – იმდენჯერ მქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი, თითქოს წინა ცხოვრებაში გავიარე კიდეც ეს გზა. განთიადისას ჩემს მოსწავლესთან ერთად სტუდენტური საცხოვრებლის ეზოში ჩავედი, გული მიჩქარდებოდა, თავი ისევ სტუდენტი მეგონა. მერე ის ლექციებზე წავიდა, მე კი მარტო დავრჩი და საკუთარ თავს ვკითხე, საით წავსულიყავი, საიდან დამეწყო პარიზის გაცნობა. ბოლო წლების გამოცდილებით ვცდილობ, მოგზაურობისას ვენდო უცხო მიწას, მივყვე მის ქუჩებს და მაინტერესებს, „სადაურსა სად წამიყვანს“. ჩავხედე რუკას, მოსანახულებელი ადგილები მონიშნული მქონდა, თუმცა გულმა კაფე „როტონდასკენ“ გამიწია, ალბათ იმიტომ, რომ გამეხსენებინა საკუთარი თავისთვის, როგორ მიიღო ამ სივრცემ საუკუნის წინ ქართველი ხელოვანები. რას მივყავდი იქ? ცნობისწადილს? მადლიერების გრძნობას? სევდას თუ აღფრთოვანების სურვილს? ალბათ, ყველაფერს ერთად.

მეტროდან ამოსულმა, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და წითლად შემომანათა კაფე „როტონდამ“. აქამდე შავ-თეთრი ფოტოებით ვიცნობდი და ასეთ ნათელ ფერებს არ ველოდი. ყოველი კუთხე-კუნჭული დავათვალიერე, თან ლადო გუდიაშვილის მოგონებებს დავუბრუნდი, საუკუნის წინანდელს. სწორედ აქ გაიცნო მან პიკასო და მოდილიანი:

„თითქმის ყოველდღე კაფე „როტონდას“ სტუმრები ვიყავით.

სულ, ვგონებ, თორმეტიოდე მაგიდა იდგა იმ ნახევრად ბნელ, პაპიროსის კვამლისაგან ჩახუთულ ოთახში, სადაც მხატვრები და პოეტები იყრიდნენ თავს. რა იყო ეს კაფე? არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ განუმეორებელი პოეტური ელფერი მიანიჭეს მას მეოცნებე ადამიანებმა. ვინ არ მოდიოდა აქ... საიდან ჩამოსულებს არ ნახავდით. იყო ერთი ხმაური, ლექსების ხმამაღალი კითხვა, დავა, კამათი... საუბრები კუბიზმზე, აბსტრაქციონიზმზე, რეალიზმზე...

კაფე ძალიან საინტერესო სანახავი იყო იმიტომაც, რომ აქ ათასი ჯურის ხალხი იყრიდა თავს...

ვინ არ მინახავს და არ შემხვედრია აქ... მახსოვს პიკასო... მოდიოდა თავისი თეთრი ძაღლით... ძალიან ბევრი ცნობილი სახელი გავიდა აქედან ქვეყნად... ერთი მათგანი ამედეო მოდილიანი გახლდათ. ყოველ საღამოს თავის განკუთვნილ ადგილზე იჯდა იგი „როტონდაში“ და აკეთებდა ჩანახატებს. ხშირად ჩვენს თვალწინ იქმნებოდა მისი სასწაულებრივი სურათები...“.

ცნობილია, რომ კაფე „როტონდას“ პაოლო იაშვილიც სტუმრობდა, რომელიც პარიზს ფერწერის შესასწავლად ესტუმრა და მერე პოეზიამ მიიტაცა მისი დრო. ანდრო ბუაჩიძის წერილში წამიკითხავს ილია ერენბურგის მოგონება, როგორ ეკითხებოდა „როტონდაში“ მას პაოლო, მართალი იყო თუ არა, რომ იგი კაფეში წერდა ლექსებს.

კაფე „როტონდადან“ გამოსული, გზას გავუყევი. მივაბიჯებდი და ვაკვირდებოდი ადამიანებს, რომლებიც მზეს ეფიცხებოდნენ და კითხულობდნენ. ამდენი მკითხველი არცერთ ქალაქში არ შემხვედრია.

დაახლოებით 15 წუთში მივადექი ლუქსემბურგის ბაღს. აქ კი გერონტი ქიქოძის ჩანაწერები გამახსენდა, როგორ გაიცნო მან პარიზში პაოლო იაშვილი, როგორ უყვარდა პოეტს ამ ბაღში ყოფნა, თურმე პოლ ვერლენის ძეგლთან ახლოს ჯდებოდა. მყისიერად პაოლოს ლექსი მომაგონდა:

„ჩემო ქვეყანავ, ვიცი, პარიზი
არის გულის და თვალის ამხელი“.

ათასი ფიქრი მიტრიალებდა გონებაში, თან მთელი არსება აღმაფრენით მქონდა სავსე, რადგან საკუთარი თვალით ვნახე პარიზული კაფე და ლუქსემბურგის ბაღი, ქართველთა ფრანგული თავშესაყარი, როგორც დასტური, რომ საქართველო ნამდვილად ევროპის ნაწილია და რომ ჩვენი ქვეყანა ნასაზრდოებია ევროპული ღირებულებებით. ამ ენით აღუწერელ სიხარულთან ერთად სევდას და ბრაზსაც ვგრძნობდი და ვეძებდი პასუხს შეკითხვაზე – რატომ ართმევენ განვითარების შესაძლებლობას ისეთი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ევროპულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა?

ნათია ნაფეტვარიძე

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“

ანუ როგორ გამოვიყენოთ ზღაპარი სასწავლო რესურსად

ზღაპრები კულტურის განუყოფელი ნაწილია. საუკუნეების განმავლობაში ატყვევებდა ზღაპარი მსმენელს ჯადოსნური სამყაროს მომხიბლავი ისტორიებით, გმირული თავგადასავლებითა და მარადიული ღირებულებებით. უძველესი ფორმებიდან დღემდე, ზეპირი გადმოცემებიდან წიგნებში, ფილმებსა და პიესებში სახეცვლამდე ზღაპრები ამდიდრებდა ადამიანის წარმოსახვას; იყო არა მხოლოდ გართობის, არამედ ცოდნისა და სიბრძნის გადაცემის საშუალება. შესაბამისად, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ზღაპრის გამოყენება ხელს უწყობს სწავლებას, გართობას და ღირებულებების გადაცემასაც.

ეს სტატია სწორედ ზღაპრების მნიშვნელობაზეა, მათ ისტორიულ მახასიათებლებზე, მათ როლზე განათლებაში, იმაზე, რომ ეს ტექსტები დღესაც სწავლების მძლავრი ინსტრუმენტია როგორც ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის. ვიმსჯელებთ იმაზე, როგორ შეიძლება ზღაპრის გამოყენება სასწავლო პროცესში და რა სარგებლობა მოაქვს მას მოსწავლეებისთვის.

რატომ ზღაპარი?

ზღაპარი ერთგვარი უნივერსალური ენაა, ყველა ასაკის ადამიანისთვის თანაბრად გასაგები. სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებული მისი გამოყენება სასწავლო რესურსად სხვადასხვა ასპექტში:

1. ემოციური ჩართულობა – ზღაპრები იწვევს ემოციებს, რაც ზრდის მოსწავლეების ინტერესსა და ყურადღებას.
2. ღირებულებების გადაცემა – ხშირად ზღაპრები ერთგვარ „მორალურ გაკვეთილებს“ შეიცავს და ეხმარება მოსწავლეებს ეთიკური ღირებულებების გააზრებაში.
3. წარმოსახვის გააქტიურება – ზღაპრის სამყარო ხელს უწყობს კრეატიულ აზროვნებას.
4. კომპლექსური ცნებების გამარტივება – ზღაპრები გვეხმარება რთული იდეების მარტივად წარმოდგენაში.

ზღაპრის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგანში და სხვადასხვა უნარის განსავითარებლად.

ენისა და ლიტერატურის სწავლება

ზღაპრები იდეალური რესურსია ენობრივი უნარების განვითარებისთვის:

- **კითხვის უნარების განვითარება** – ხელს უწყობს კითხვის მიმართ ინტერესის გაღვივებას და გააზრებული კითხვის უნარის ჩამოყალიბებას.
- **ლექსიკის გამდიდრება** – ახალი სიტყვები და გამოთქმები ამდიდრებს მოსწავლის ლექსიკურ მარაგს.
- **წერის უნარის განვითარება** – ზღაპრების საფუძველზე შეიძლება, მოსწავლეებმა შექმნან საკუთარი ნაწარმოებები, მოახდინონ ზღაპრების ადაპტირება, გააგრძელონ ისინი და სხვა.

ზღაპარი მრავალფუნქციური სასწავლო რესურსია, რომლის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლებისას და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან. ის არა მხოლოდ ხელს უწყობს აკადემიური უნარების განვითარებას, არამედ ეხმარება მოსწავლეებს ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაშიც.

მათემატიკა

ზღაპრები შეიძლება მათემატიკური კონცეფციების სწავლებისთვისაც გამოვიყენოთ:

- **რიცხვითი თანმიმდევრობები** – მაგალითად, „სამი გოჭი“ გამოგვადგება დათვლისა და რაოდენობის კონცეფციების სწავლებისთვის.
- **პრობლემის გადაჭრა** – ზღაპრის გმირები ხშირად გადაჭრიან პრობლემებს, რაც კარგი მაგალითია ლოგიკური აზროვნების განვითარებისთვის (ეს უნარი არცაა მხოლოდ ერთ დისციპლინასთან დაკავშირებული).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ზღაპრები შეიძლება დაგვეხმაროს ბუნების შესახებ ცოდნის გადაცემაშიც:

- **ბუნების შემეცნება** – ზღაპრები ცხოველების შესახებ გვეხმარება ცხოველთა სამყაროს გაცნობაში.
- **ბუნებრივი მოვლენები** – ზოგიერთი ზღაპარი ასახავს ბუნებრივ მოვლენებს, რაც შეიძლება მათი ახსნისთვის გამოვიყენოთ.
- **ეკოლოგიური ცნობიერება** – თანამედროვე ზღაპრები ხშირად ეხება გარემოსდაცვით თემებს.



- **გეომეტრიული ფიგურები** – ზოგიერთი ზღაპარი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც გვეხმარება გეომეტრიული ფორმების გაცნობაში.

პედაგოგის კრეატიულობასა და ინოვაციურ მიდგომებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს ზღაპრებს სასწავლო პროცესში.
ამ უძველესი ლიტერატურული ჟანრის თანამედროვე განათლებაში ინტეგრირებით ჩვენ ვქმნით კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის, ვამდიდრებთ მოსწავლეთა გამოცდილებას და ვხდით სწავლას უფრო მნიშვნელოვანს, საინტერესოსა და დასამახსოვრებელს.

სოციალური უნარები

ზღაპრები ასევე გვეხმარება სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაში:

- **ემპათია** – ზღაპრის პერსონაჟების განცდების გაზიარება ავითარებს ემპათიის უნარს (მაგალითად „კონკიას“ ზღაპრის სხვადასხვა ვერსია გამოგვადგება, სადაც ობოლი, გასაჭირში მყოფი გოგონა სხვებს ეხმარება, როგორც შეუძლია).
- **კონფლიქტების მოგვარება** – ზღაპრებში არსებული კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები საინტერესო მაგალითებად გამოგვადგება ჩვენს მოსწავლეებთან („სამი გოჭი“, „ნაცარქექია“, „თერთმეტი გედი“, „თორმეტი ძმა“, „რაპუნცელი“ და სხვ.).
- **განსხვავებულობის პატივისცემა** – მრავალფეროვანი ზღაპრები გვასწავლის განსხვავებული კულტურებისა და ტრადიციების პატივისცემას („სინდბადი“ ან ნებისმიერი სხვა ტექსტი, რომელიც გმირის მოგზაურობას, თავგადასავალს, ამ დროს მიღებულ გამოცდილებას აღწერს და სადაც გმირი ამ გამოცდილებას სხვათა სასარგებლოდაც იყენებს).

პრაქტიკული მეთოდები ზღაპრის სწავლებისას

როლური თამაშები

ზღაპრის სცენების გათამაშება ეხმარება მოსწავლეებს:

- უკეთ გაიაზრონ პერსონაჟების მოტივაცია;
- განივითარონ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარები;
- გამოხატონ ემოციები უსაფრთხო გარემოში.

შემოქმედებითი დავალებები

- ზღაპრის გაგრძელება ან ალტერნატიული დასასრულის შექმნა;
- ზღაპრის პერსონაჟების დღიურის წერა;
- ზღაპრის ადაპტირება თანამედროვე კონტექსტში.

დისკუსია და ანალიზი

- ზღაპრის გმირების ქმედებების განხილვა;
- მორალური დილემების ანალიზი;
- ზღაპრის შედარება რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.

მნიშვნელოვანია, ზღაპრები შევარჩიოთ ჩვენი მოსწავლეების საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი დავუკავშიროთ ჩვენს სასწავლო მიზნებს, ვეცადოთ, გავამდიდროთ სხვადასხვა ვიზუალური ელემენტით, წავახალისოთ კრიტიკული აზროვნება და, რაც მთავარია, პატივი ვცეთ კულტურულ მრავალფეროვნებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზღაპარი მრავალფუნქციური სასწავლო რესურსია, რომლის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლებისას და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან. ის არა მხოლოდ ხელს უწყობს აკადემიური უნარების განვითარებას, არამედ ეხმარება მოსწავლეებს ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაშიც. ზღაპრის ინტეგრირება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სწავლის პროცესის გამრავალფეროვნებას და ხდის მას უფრო საინტერესოსა და სახალისოს.

პედაგოგის კრეატიულობასა და ინოვაციურ მიდგომებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს ზღაპრებს სასწავლო პროცესში. ამ უძველესი ლიტერატურული ჟანრის თანამედროვე განათლებაში ინტეგრირებით ჩვენ ვქმნით კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის, ვამდიდრებთ მოსწავლეთა გამოცდილებას და ვხდით სწავლას უფრო მნიშვნელოვანს, საინტერესოსა და დასამახსოვრებელს.

მაკა სახურია

ვისაც სამშობლომ არაფერი მისცა

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჟ კვირია მათურელის სახის დეკოდირებისთვის

ჩვენი ბობოქარი XXI საუკუნე უდავოდ ყველაზე მეტად არის ორიენტირებული ადამიანის ბედნიერებაზე. პიროვნული კეთილდღეობა ასე გაფეტიშებული არასდროს ყოფილა. ცივილიზაციის არნახულმა განვითარებამ პიროვნების ინდივიდუალიზმის, უნიკალურობისა და განუმეორებლობის დაცვისა და პატივისცემის იდეალები მოიტანა, რაც, თავისთავად, დიდ კომფორტს გვიქმნის თანამედროვე ადამიანებს, მაგრამ, ვფიქრობ, უნდა მოვიხედოთ უკან და დავინახოთ, როგორ მოდიოდა კაცობრიობა ამ იდეალებისკენ, რამდენი ტანჯვა, ტკივილი და ბრძოლა გამოიარეს თაობებმა, რომ დღეს ადამიანს თავი დაცულად და კომფორტულად ეგრძნო.

ისტორიაზე მეტად ადამიანის სულის ხვეულებზე ლიტერატურა გვესაუბრება. ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ ბუნების მესაიდუმლე და მგოსანი, არამედ ჰუმანისტური იდეალების მსოფლიო მასშტაბის მაესტროცაა. მისი პოემების პერსონაჟთა გალერეა მდიდარია დაუვიწყარი სახეებით, რომლებიც უკვდავ არქეტიპებად იქცნენ და მათ ყოველთვის მღელვარებითა და სიამაყით ვიხსენებთ.

ჩვენი ვირტუალური გაკვეთილის თემაა კვირია მათურელის სახე ვაჟას ისტორიული პოემა „ბახტრიონიდან“, რომელიც 1659 წლის კახეთის აჯანყებას მიეძღვნა.

დავიწყოთ პერსონაჟის სახელზე ფიქრით. „კვირია ქართული მითოსური ღვთაებაა. ქართველი მთიელების წარმოდგენით, ის ხვთისშვილთა წინამძღოლია, შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის და სამართლის შემოქმედია. მისი ეპითეტებია „კარავიანი“ და „ხმელთმოურავი“. ამ ღვთაებას დღესასწაულებს უწყობდნენ: კვირიცხოვლობა, ხალარჯობა ღამისთევით, მსხვერპლის შეწირვით და საკულტო ნადიმებით. დღესასწაულების დროს მწვანე ტოტებით ქოხებს აშენებდნენ. დასავლეთ საქართველოს მთიელებში კვირია ბუნების ნაყოფიერების მამაკაცური ღვთაებაა. მას ეძღვნებოდა ადრეული საგაზაფხულო დღესასწაულები, რომლებიც რვა ცალკეულ რიტუალს შეიცავდა. დღესასწაულთა დროს აშენებდნენ თოვლის კოშკს, აწყობდნენ მეზობელ სოფლებს შორის შეჯიბრებებს, მღეროდნენ ჰიმნებს, თამაშდებოდა სცენები, რომლებშიც თვალნათლივ ჩანდა ღვთაების ფალოსური ბუნება. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ცალკეულ სიმღერებში კვირია აგრეთვე უზენაეს ღვთაებად გვევლინება, რომელიც ზეცასა და ზეციურ წყალს განაგებს. კვირიას ჰიმნს გვალვის დროს მღეროდნენ, რომ წვიმა მოსულიყო“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი მე-5; ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბილისი, გამომცემლობა „ბაკმი“, 2007).

ასევე კვირიას სახელთან შეიძლება დავაკავშიროთ ქართული ეთნოგრაფიის ნიმუში – კვერი, პატარა ჩაქუჩი, რომელიც ხელოსნობაში გამოიყენებოდა. მას ბევრი ფუნქცია ჰქონდა. უძველეს წერილობით ძეგლებში კვერი ნიშნავს „საგვემელ იარაღს“, რომლითაც „კვერვა“ ანუ „სანგვა“ ხდებოდა. გამოკვერვა ნიშნავს რისამე გამოყვანას, შექმნას, გამოჭედვას. ასევე მრგვალტარიან დაკბილულ კვერს იყენებდნენ ხუროთმოძღვრებაში ქვის ზედაპირის დასაკბილავად, გათეგვისთვის. ვაჟა პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალურ სცენაში იყენებს ამ სიტყვას: როცა ქისტები ზვავისგან ნაგალ გორაში ჯოყოლას, აღაზასა და ზვიადაურს ხედავენ ხოლმე, იქვე ჩნდება „ჯანღი რამ, კურუმად შავის ფერითა“, რომელიც „დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერითა, ზედ აწევს ჯადოსავითა, არ დაიმტვრევა კვერითა“... ამ სიტყვასთან და ამ სიტყვით გამოხატულ იარაღთანაც შეიძლება დავაკავშიროთ კვირია მათურელის სახე სიმბოლურ-ალეგორიულად. ის მტრისთვის ნამდვილი კვერია, ურო, ჩაქუჩი, რომელიც გველეშაპს თავს გაუჭეჭყავს და ასევე არის დაკბილული კვერი, რომელიც ქვაზე აქანდაკებს ახალ საქართველოს, მტრისგან თავისუფალს, მკვდრეთით აღმდგარს.

სიმბოლურია, რომ პოემა „ბახტრიონის“ სიუჟეტი იწყება ფშავის სოფელ ხოშარაში უკაცრიელი ხატობის სცენით. როგორც სანათა ამბობს, ხოშარელებს სპარსელები დასხმიან თავს და მთელი სოფლის კაცები გაუწყვეტიათ, რის გამოც წმინდა გიორგის ხატს ქალი ემსახურებოდა, რაც აკრძალული იყო. შვიდი ვაჟისა და ქმრის დამკარგავ სანათას კვირიას გამოჩენა ეამა და მას ასე მიესალმა: „მოხვედი, შვილო, მშვიდობით, შვილო, წყალობა ხატისა! აღარ მეგონა, თუ მამრი კიდევ მიწაზე დადისა“. კვირია ზეცით მოვლენილს ჰგავდა სანათასთვის. ის წარმოშობით სოფელ მათურიდანაა, გივი მათურელის შვილია. უსახლკარო ფშაველი ოცი წლის წინ იძულებული გამხდარა, რომ მშობლიური ფშავი დაეტოვებინა და მწყემსად თუშეთს წასულიყო. კვირიას პორტრეტი სულისშემძვრელია. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ალალ-მართალი, გულწ-

რფელი, მამაცი, დაუზარელი, სამშობლოს მხსნელი მესია-გმირი. კვირია ასე ეცნობა სანათას:

„დედაო, დედა-შვილობამ, მეც ბევრი ვნახე ჭირია.
ოც წელს სრულ სხვის შვილადა ვარ, სამშობლო გამიწირია,
მათურელი ვარ ძირადა, სახელად მქვიან კვირია,
ჩემფერა უკეთურები ყუნჭებიც ბევრი ჰხირია.
ფშავს უბინადროდ რჩენილი წაველ საძებრად ბედისა, –
ვაჰ, მოგონება ჩემის დღის დამსხმელი არი რეტისა!
მზიდველი არი ეს ქედი ტანჯვისა მეტის-მეტისა.
ჩემი ამბავი შორს წავა, მოკლედ რო მოვსჭრა, სჯობია:
ვინ არ გეტყოდა ჩემს ამბავს, ვინაც კი ჩემი მცნობია,
ობლობის, ბეჩაობისა დღესაც ზედ მაძე ობია...
ოცი წელია მწყემსად ვარ თუშეთს, უცხოსა მხარესა
და ფშავის ხევის სტუმარსა მარტო ვხედავდი მთვარესა.

ისტორიაზე მეტად ადამიანის სულის ხვეულებზე ლიტერატურა გვესაუბრება. ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ ბუნების მესაიდუმლე და მგოსანი, არამედ ჰუმანისტური იდეალების მსოფლიო მასშტაბის მაესტროცაა. მისი პოემების პერსონაჟთა გალერეა მდიდარია დაუვიწყარი სახეებით, რომლებიც უკვდავ არქეტიპებად იქცნენ და მათ ყოველთვის მღელვარებითა და სიამაყით ვიხსენებთ.

საბაროდ გადმამავალთა ამბავს ვკითხავდი წეროთა, –
რა წერილობას გაგვიწევს, თოვლზე ამბავი ვწეროთა?
ოც წელს მიწა მაქვ ლოგინად, ცა მახურია საბნადა;
ავდარში შავი ნისლები ტანზე მეხვევა ნაბდადა“.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, კვირია მეოცნებე და ესთეტია. სხვას ვის შეუძლია, ასე პოეტურად აღიქვას სამყარო? გამორჩეულ პერსონაჟებში მკითხველი ყოველთვის ხედავს ავტორთან სულიერ ნათესაობას. ვაჟას თავისი რჩეული გმირებიდან ბევრი ენათესავება, მაგრამ, ვფიქრობ, კვირია მათ შორის უპირველესია.

ვაჟას შემოქმედებაში მრავლად გვხვდებიან ღირსებისა და ამაღლებული იდეალების სიმბოლოდ ქცეული პერსონაჟები, მაშ, რა აქვს კვირია მათურელს ისეთი, რაც მას ყველასგან გამოარჩევს? კვირია მათურელი ის კაცია, რომელსაც სამშობლომ არაფერი მისცა, სრულიად არაფერი, დატოვა საყვარელი კუთხის, საყვარელი ხალხის, ოჯახის, სახლის, ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობის გარეშე. ამ კაცს ერთი დღეც არ გაუხარია. უცხოობაში მხოლოდ ღარიბული ლუკმაპურისთვის შრომობდა, თბილი ლოგინი, მშვიდი გარემო და მზრუნველი ხელი არ ღირსებია, მაგრამ მისი სული კი არ გაუხეშებულა, გაბოროტებულა და დაბოღმილა, პირიქით, ამდენ ტკივილსა და ტანჯვას აბრეშუმივით გაუფაქიზებია მისი სულიერება, მსოფლაღქმა, ნაცვლად იმისა, რომ უყველაფროდ დარჩენილი ლუზერად, ხელმოცარულ მონსტრად ქცეულიყო, მისი სიყვარული ხალხისა და სამშობლოსადმი უცნაურად, გაუგებრადაც კი, გაღრმავებულა, გაფართოებულა და უკიდეგანო ფრთები შეუსხამს. კვირიას სიცოცხლის გარდა არაფერი აბადია, სრულიად არაფერი, დაკონკილ-ჩამოძონძილი დადის, ხეირიანი იარაღიც კი არ აქვს. როცა სანათას ემშვიდობება, ვაჟა იტყვის: „ქვით გაისმა ლოდებზე მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარაო“... ეს ფრაზა მიგვანიშნებს, რომ კვირიას იაფფასიანი იარაღი აქვს, მიწაზე დასთრევს ხმლის ბუნი. როგორც ეთნოგრაფები ამბობენ, ხმლის ბუნიკი მზადდებოდა რკინისგან, თითბრისგან, ვერცხლისგან, ზოგჯერ კი ოქროსგანაც. მეტალის ფასი და ხარისხი მფლობელის მატერიალურ შეძლებასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ალუდა ქეთელაური ხატობაზე „თითბრით ნაზიკი“ ხმლით ცხადდება, რაც მოწმობს, რომ ალუდა არ არის მდიდარი კაცი. მდიდრებს, მაგალითად, ბლოელ შარაგზის ყაჩაღს აფშინა მინდოდაურს ვერცხლით მორთული ცხენი ჰყავს და მისი იარაღიც ვერცხლით ნაზიკია, გმირი გოგოთური კი იაფფასიანი იარაღით დაიარება.

თავის წერილში „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“ ვაჟა გვიხატავს გმირის პორტრეტს და იქაც ხაზგასმით ამბობს: „გმირისთვის გარეგანი სამკაული, ფშავლის აზრით, ფუჭია, საქმე შინაგანი ღირსებაა. გმირი ამიტომ იარაღის საზიკებს – ოქრო-ვერცხლს – არ მიჰხედავს ტანზე სატარებლად“.

საოცარია კვირიას თავგანწირვა და დაუზარებლობა. ზეზვა გაფრინდაულმა თუშეთიდან ის გამოგზავნა მზირად, ფშაველ-ხევსურთა შემკრებად, რადგან, როგორც ჩანს, იცოდა კვირიას საქვეყნო გულისცემის ამბავი. დიახ, მხოლოდ სიცოცხლე აბადია კვირიას და იმასაც დაუნანებლად სწირავს სამშობლოს, თავისი ხალხის კეთილდღეობას. მას ხომ არაფერი ახარებს, არც არაფერს ელის ცხოვრებისგან. მისმა ახალგაზრდობამ ჩაიარა ტანჯვასა და სიღატაკეში. ის კი წამს არ კარგავს, დაპყრობილ კახეთზე დარდი არ ასვენებს, პირადი ღირსების საკითხად მიაჩნია ოკუპირებული კახეთის ხსნა. ხატობაზე სანათას მოთქმას თრთოლვით ისმენს. როცა სანათა ღამით დასვენებას სთავაზობს, კვირია უარზეა, დაქანცულია, მაგრამ მუხლჩაუხრელად აგრძელებს ფშავიდან ხევსურეთში მაცნედ სვლას.

კვირია თავმდაბალი კაცია. მან თავისი პირველი მისია აასრულა, ფშავ-ხევსურეთი შემოიარა და შეკრიბა მეომრები. ახლა კი, როცა ლუხუმის, ხოშარეულისა და გივი სუმელჯის დარი გმირები უდგანან სათავეში ჯარს, ის ჩუმადაა, თავჩახრილი ზის. სიზმარიც ისეთი წინასწარმეტყველური ნახა, სამშობლოსა და პირადი ბედისწერაც განჭვრიტა. იწინასწარმეტყველა, რომ გველეშაპს დასცემდა და ქვეყანას გაათავისუფლებდა, ხოლო თავად სულეთს შევიდოდა ამაყად, როგორც „კაი ყმაში“ იტყვის ვაჟა კვირიას მსგავს სხვა გმირზე: „სულეთს შავიდეს ხმლიანი ლაღი, ლაღისა ცხენითა, წინ მიუძღოდეს არწივი ხმით მოყაშყაშე, ფრენითა, ქება უყივლონ გმირებმა, გარდასულებმა ჩვენითა“.

კვირიას სიზმარში სულეთში ჩასულ გმირს არწივი კი არა, ქედანი ხვდება. ის ჭადარზე ზის და დაჰღუღუნებს კვირიას. ქედანი, იგივე Columba palumbus, მტრედისებრთა ოჯახის ფრინველია. მითოსიდან წამოსული ქედნის სახე ღვთიური ენერგიის, სულიწმინდის სიმბოლოდ ითვლება. კვირიამ თავადაც იცოდა, რომ ბახტრიონის ომი სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, ეს სიზმარმაც უწინასწარმეტყველა და იმ მეორე მისიამაც, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მოვლის შემდეგ საკუთარ თავს დააკისრა – ლელა ბაჩლელთან ერთად დესანტად შეპარვა ბახტრიონის ციხეში, რათა თავისი ხალხისთვის მტრის წიაღში შესასვლელი კარი შეეღო. კარის შეღება გადამწყვეტია საშიმი მტრის დასამარცხებლად. „ვეფხისტყაოსანშიც“ ქაჯეთის ციხის აღების ჟამს მთავარი ციხის კარის შეღება იყო. კვირიამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ ციხეში შეპარვითა და მოძმეთათვის კარის გაღებით სიცოცხლეს სამსხვერპლოზე დებდა, მაგრამ წამითაც არ დანანებია, არც დაუჩივლია, არც დაფიქრებულა, არც შეჩერებულა. გენიალური გეგმა მოიფიქრა და ხორციც შეასხა.

როცა კვირია ლელასთან ერთად გაიპარა ჯარიდან, მასში ეჭვი შეიტანეს, ხოშარეული ცხარობდა, ვინ იცის, ნათრევი და ღარიბი კაცია, მტერთან არ გაგვყიდოსო: „იფიქრეთ, ფშაველ-ხევსურნო, ეგრე არ გარგებთ ტარება, მზირმა მზირობა არ გვიყოს, თავს არ მოგვხვიოს წვალება, ვინ იცის, ნათრევ კაცია, არ იყოს ღალატიანი, დუშმანი არ გაგვიფრთხილოს, საქმე ქნას ნახლართიანი“. ხოშარეულისა და სუმელჯის ეჭვები ლუხუმმა გააქარწყლა. ლუხუმი განსაკუთრებული ლიდერია, დიდი ფსიქოლოგი, კარგად სცნობს ადამიანებს, არ ეშლება კაი კაცისა და ავკაცის გარჩევა. „კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ, მაგის მეტ არ გაქვთ შნოება?“ – შეუძახა მან ფშავლებს და ყველა დამშვიდდა.

სამშობლოს სამსხვერპლოზე ასე უშურველად სიცოცხლის მიტანა მხოლოდ კაი ყმას შეუძლია. ბახტრიონის ომიდან მომავალი გამარჯვებული ფშავლები სწორად აფასებენ კვირიას როლს. „ჩვენთვის სისხლდათხეულები“, – ასე იხსენიებენ ისინი კვირიასა და ლელას. მათ თავგანწირვას ასე ხსნიან: „მძიმეა თავის ქვეყანა, თავის წყალ-ჭალა ძლიერა! მიწაც ტკბილია მშობლური, გულს რომ ეყრება ფხვიერა“.

ასეთი პატრიოტიზმი მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. დღეს ხშირად გვესმის ჩივილი: რა მომცა ჩემმა ქვეყანამ? წავალ და იქ ვიცხოვრებ, სადაც თავს კარგად ვიგრძნობ! ასე მოაზროვნე ადამიანებს არ აქვთ გააზრებული, რომ ეს ქვეყანა ჩვენი ყველას ასაშენებელია. თუკი ყველამ იმაზე ვიფიქრეთ, თუ რას მოგვცემს სამშობლო და არ გვექნება ილიას „მგზავრის წერილების“ გმირის ფიქრები („შევძლებ კი, რომ მას (სამშობლოს) ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“), მაშინ ყველაფერი ამაოა.

გმირის იდეალზე ვაჟას ზემოხსენებულ წერილში ასევე ვკითხულობთ: „გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟკაცად“, „კაი ყმად“ იხსენიება; იგი თემიდამ გამოდის, გმირის მაღალი ზენობა და საგმირო საქმენი თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის... მისი საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ... გმირი იმდენად თავის თავისთვის არ ცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისთვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება. მხოლოდ ხატობის დროს ხევისბერი განსაკუთრებულ დიდის თასით გმირს საკარგყმოს ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილის შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევისბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მოაყოლებს შესანდობარს. დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძღობს, თითონ მშიერია, სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თითონ სიკვდილს ეძლევა პირში... დიაღ, გმირი სხვისთვის იბრძვის თავგანწირული და თითონ კი „მშიერა მგელია“.

ასეთი „მშიერა მგელია“ კვირია მათურელი. მან დაუნანებლად გაიმეტა სამშობლოსთვის ერთდერთი რამ, რაც ებადა, ყველაზე ძვირფასი და სასურველი – სიცოცხლე. სამშობლო ის არ არის, რასაც შეგვიძლია ვუსაყვედუროთ ჩვენ მიმართ გულგრილობა. სამშობლო ხშირად თავადვე „ჭამს“ რჩეულ შვილებს. იმდენი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ისტორიული და ლიტერატურული გმირების ცხოვრებიდან, რომ ეს ძალზე შორს წაგვიყვანს, ამიტომაც ამჯერად კვირიაზე შევჩერდეთ. ეს გმირი ნამდვილად იმსახურებს, რომ მასზე ბევრი ვიფიქროთ, პატივი მივაგოთ, ხშირად ვახსენოთ მისი უანგარო პატრიოტიზმი.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge